საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
30 ივნისი **ხუთშაბათი** 2011
№ 151 (13448) ფასი 80 თეთრი

## ჩვენთვის ევროპა მოლდოვით და სომხეთით იწყება

UEFA EUROPA LEAGUE



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

2

## ესპანელის ქართული PRIMERA და ახალი დინამოს პრემიერა

2

ალექს გარსია პირველად, ცხადია, ფრთხილობს **50/50**

## როჯერ, წასვლის დროა?



უიმბლდონი. 1/4 ფინალის მიმოხილვა

16

უეფას ევროპის ლიგა 2011-2012
I საკვალიფიკაციო ეტაპი
ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი
UEFA EUROPA LEAGUE
დინამო თბილისი
მილსამი ორჰეი
30 ივნისი 2011
21:00
დაუბრუნდი დინამოს!
ბილეთის ფასი 3, 5 ლარი
PrivatBank
GMG
www.fcdinamo.ge

პრესკონფერენცია



ალექს გარსია გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# ესპანელი ფავორიტის დასახელებას არ ჩქარობს

**"დინამოს" წინასამატჩო პრესკონფერენციაზე მასმედიის წინაშე გუნდის თავკაც ალექს გარსიასთან ერთად "დინამოში" დაბრუნებული დავით ოდიკაძე და კლუბის პრესატაშე გიგა გვენცაძე წარდგნენ.**

**გარსია:** შემდეგ ეტაპზე გამსვლელი ორი მატჩის შედეგით გაირკვევა, პირველი შეხვედრა კი "დინამოს" მომზადების დონესაც კარგად გამოაჩენს და ამ რაუნდის გადალახვის შანსებსაც. ახლა კი ვფიქრობ, შანსები 50/50-ზეა. სამწუხაროა, რომ დისკვალიფიცირებულები, ლევან ხმალაძე და გიორგი კახელიშვილი და ტრავმირებული შოთა კაშია დაგვაკლდებიან, მაგრამ მათ ღირსეული შემცვლელები ჰყავთ.

**- რამდენი ეტაპის გადალახვას ისახავთ მიზნად?**

- ამჟამად მხოლოდ "მილსამისთან" მატჩზე ვფიქრობ.

**- ძირითადი შემადგენლობა უკვე შეარჩიეთ?**

- თერთმეტ ფეხბურთელს იმ თვრამეტიდან შევარჩევ, ვისაც დღეს ვავარჯიშებ.

**- ხვალ რომელიმე ესპანელი თუ ითამაშებს?**

- თუ მისმა სატრანსფერო ფურცელმა დროულად ჩამოაღწია, "მილსამისთან" იაგუე ითამაშებს

**- კმაყოფილი ხართ თუ არა გუნდის მომზადების დონით?**

- ამ კითხვაზე მატჩის შემდეგ უკეთ გიპასუხებთ, თუმცა ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ გუნდი ჩემს საფეხბურთო ფილოსოფიას მონდომებით ითვისებს.

**- ესპანელი ფეხბურთელები რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ?**

- შეკრებამ დაგვანახვა, რომ პრობლემები განსაკუთრებით წინა ხაზში გვქონდა და ეს ტრანსფერებიც აქედან გამომდინარე განვახორციელეთ.

**- მოლდოვური სპორტული პრესა ფავორიტად "დინამოს" მიიჩნევს...**

- ეს სასიამოვნოა, მაგრამ ბევრს არაფერს ნიშნავს. დაველოდოთ პირველ შეხვედრას და ფავორიტზეც ამის შემდეგ ვიმსჯელოთ.

**- მეტოქის შესახებ რა იცით?**

- ძალიან ბრძოლისუნარიანი გუნდია და თანამედროვე ფეხბურთის თამაშს ცდილობს, იბრძვის მოედნის თითოეული მონაკვეთისთვის.

**ოდიკაძე:** გუნდი დიდი მონდომებით ემზადება. ძალიან მოტივირებულები ვართ და წარმატებისთვის თავს არ დავზოგავთ. ვეცდებით, გულშემატკივართა იმედები გავამართლოთ. ამჟამინდელ და იმ "დინამოს" შორის, რომელშიც წლების წინ ვთამაშობდი, უდიდესი განსხვავებაა, კლუბში ვითარება რადიკალურად გაუმჯობესდა, რაც ძალიან მახარებს. მჯერა, იმ განწყობით, რაც ახლა გუნდში სუფევს, ბევრის მიღწევა შეგვიძლია.

**ლევან ჯანეზაშვილი**



დავით ოდიკაძე გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ვარჯიში

# გარსიამ 18 უკვე შეარჩია

"დინამოს" გუშინდელი ვარჯიში გუშინწინდელს ჰგავდა და საათზე მეტი დროის განმავლობაში **ალექს გარსია** შეგირდებს სხვადასხვა კომბინაციებსა და კარში დარტყმებს სთხოვდა.

თუმცა "დინამოს" ბოლო ორ წვრთნას შორის ერთი დიდი სხვაობა მაინც იყო – გარსიამ მხოლოდ ის 18 ფეხბურთელი ავარჯიშა, რომელთაც დღევანდელ მატჩში უპირებს განაცხადში შეყვანას. დაგვეთანხმებით, საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა, ყოველ შემთხვევაში, საქართველოში მსგავსს ვერ ვიხსენებთ.

ასე რომ, ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, ვის გვარებს შევხვდებით დღეს საღამოს "დინამო"-"მილსამის" ოქმში.

მეკარეები: გიორგი ლორია, სოსო გრიშიკაშვილი;

მცველები: დავით ოდიკაძე, ირჟი ჰომოლა, გულვერდ თომაშვილი, ლევან კაკუბავა, გიორგი რეხვიაშვილი;

ნახევარმცველები: ალექსანდრე კოშკაძე, რობერტინიო, ნიკოლოზ ფირცხალავა, გოგა ბერაია, გიორგი თექთურმანიძე, ნიკოლოზ კვეკვესკირი, ირაკლი ლექვთაძე, ჯაბა ჯიღაური;

თავდამსხმელები: ალბერტ იაგუე ხიმენესი, ვახტანგ ფანცხავა, ლადო ახალაია.

მატჩი "დინამოს" ქომაგებისთვის საინტერესო ერთადერთი დღევანდელი მოვლენა არ არის – დილის 11 საათზე ეროვნული სტადიონის საკონფერენციო დარბაზში გუნდის ესპანელი ახალწვეულების, **ხისკოს, კოტოსა** და იაგუეს პრეზენტაცია მოეწყობა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



დინამოს ვარჯიში ეროვნულზე გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

მეტოქე



# სტუმართა მადლობა და იმედი

გუშინ მოლდოველებმაც ივარჯიშეს გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

მოლდოველთა პრესკონფერენციაზე "მილსამის" რუმინელი მთავარი მწვრთნელი **შტეფან სტოიკა**, კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **დრაგუშ ჰინკუ** და კაპიტანი **ადრიან სოსნოვსკი** გამოცხადდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, სტუმრებს "დინამოს" მიმართ კომპლიმენტები არ დაუშურებიათ.

**სტოიკა:** დარწმუნებული ვარ, ძალიან მძიმე თამაში გველოდება. წილისყრამ საკმაოდ ძლიერი მეტოქე გვარგუნა. თბილისის "დინამო" საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი გამორჩეული კლუბი იყო და მის ფეხბურთელებს სამართლიანად ადარებდნენ ბრაზილიელებს. თუმცა მაინც ოპტიმისტურად ვართ განწყობილი, რადგან "დინამოს" ბოლო წლებში ევროასპარეზზე განსაკუთრებული წარმატებებისთვის არ მიუღწევია. ვისურვებდი ლამაზი ფეხბურთის ხილვას, დაე, ღირსეულმა გაიმარჯვოს.

**- წყვილს ფავორიტი თუ ჰყავს?**

- "დინამო" ბოლო დროს საგრძნობლად გაძლიერდა და ფავორიტად სწორედ იგი უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ უშანსოდ არც ჩვენ ვართ და შევეცდებით, საკუთარი შესაძლებლობები სრულად წარმოვაჩინოთ.

**- რამდენიმე დღეში კიდევ ერთი ქართულ-მოლდოვური დაპირისპირება გაიმართება. რას ფიქრობთ "ზესტაფონისა" და "დაჩიას" მატჩებზე?**

- დარწმუნებული ვარ, იქაც დაძაბული ბრძოლა იქნება, ამ კლუბების შეფასება კი ჩემი მხრიდან არაკორექტული იქნება.

**ჰინკუ:** "დინამოსთან" თამაში ჩვენთვის დიდი პატივია. მადლობელი ვართ გულთბილი მიღებისთვის, ქართველები სტუმართმოყვარეობით ყოველთვის გამოირჩეოდნენ და ამის გამო თქვენი ხალხი და ქვეყანა ძალიან გვიყვარს. კარგი ფეხბურთის ხილვას გისურვებთ.

**სოსნოვსკი:** რუსეთში დიდი ხნის განმავლობაში ვთამაშობდი და ქართველი ფეხბურთელების შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ. "დინამოს" ისტორიასაც კარგად ვიცნობ და ასეთი წარსულის კლუბს ყოველთვის დიდი ამბიციები აქვს. თუმცა საკუთარი კოზირები ჩვენც გვაქვს და შევეცდებით, ევროტურნირებზე ღირსეულად ვითამაშოთ.

პრესკონფერენციის შემდეგ "მილსამიმ" ეროვნული სტადიონის საფარი მოსინჯა. მოლდოველთა ვარჯიშში თვალში საცემი მათი ხალისიანი და საქმიანი განწყობა იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

უსაფრთხოება სტადიონზე



# პეტარდა შარია!

"დინამო"-"მილსამის" მატჩზე დასწრება გულშემატკივრებს 3 ან 5 ლარად შეეძლებათ. თბილისური კლუბის ხელმძღვანელობა ქომაგებს სთხოვს, ტრიბუნებზე პეტარდების გამოყენებისგან თავი შეიკავონ, წინააღმდეგ შემთხვევაში "დინამოს" უეფასგან სერიოზული ფინანსური სანქცია დაეკისრება.

დღეს ეროვნული გამოცდები იწყება და იმ აბიტურიენტებს, რომლებსაც თან აბიტურიენტის ბარათი ექნებათ, შეხვედრის ნახვა უფასოდ შეეძლებათ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მეტალურგი-ბანანცი

# რუსთაველებს ერევანში ფანები ჩაუვლენ

დღეს ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის „მეტალურგი" ერევნის "ბანაცს" ეთამაშება.

სომხური კლუბი მეტოქეს ერევნის რესპუბლიკურ სტადიონზე დაუპირისპირდება. რუსთაველი კლუბი ერევანში 28 ივნისს გაემგზავრა და 4 ვარსკვლავიან სასტუმრო „ANI PLAZA"-ში დაბინავდა.

იმავე საღამოს რუსთაველებმა "ბანანცის" საფეხბურთო აკადემიის ბუნებრივსაფრიან მინდორზე ივარჯიშეს, გუშინ კი - „რესპუბლიკურზე". ვარჯიშის წინ რუსთაველთა მწვრთნელმა **არჩაზ ჯელაძემ** პრესკონფერენცია გამართა.

დღეს ერევანში "მეტალურგის" გასამხნევებლად გუნდის ფანკლუბის 100-მდე წევრი მიემგზავრება. მატჩი თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

**მერაბ მამულაშვილი**

ფიფას რეიტინგი

# ადგილი 56-ე, კალათა მეოთხე

გუშინ ფიფას ივნისის სანაკრებო რეიტინგი გამოქვეყნდა, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრები ერთი საფეხურით დაწინაურდა და 56-ე პოზიციაზე გადავიდა. ამით **თემურ ქეცბაიას** გუნდმა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრისთვის, რომელიც 30 ივლისს გაიმართება, მეოთხე კალათაში მოხვედრა დაიბევა.

რაც შეეხება ჩვენი ევროშესარჩევი ჯგუფის ბინადრებს, ხორვატიის ნაკრები ორპუნქტიანი დაწინაურებით დღეს მსოფლიოში მერვეა, საბერძნეთი მეთორმეტეზე დარჩა, ისრაელი 33-დან 30-ეზე გადავიდა, ლატვია 77-ედან 82-ეზე დაქვეითდა, მალტამ კი 161-ე ადგილი შეინარჩუნა.

საკმაო ცვლილებებია ზეათეულშიც. მართალია, მსოფლიოს ჩემპიონმა ესპანეთმა და ვიცე-ჩემპიონმა ჰოლანდიამ პირველი-მეორე პოზიციები შეინარჩუნეს, მაგრამ, სამაგიეროდ, ბრაზილია მესამედან მეხუთეზე დაეშვა, გერმანია - მეოთხედან მესამეზე, ინგლისი კი მეექვსედან მეოთხეზე ავიდა. ხუთი პუნქტით გაუარესდა არგენტინის მდგომარეობა, იტალიამ ნინ სამი ნაბიჯი გადადგა, მექსიკამ კი მეტისმეტად სოლიდური ნახტომი გააკეთა და 19 საფეხურით ალზევდა.

მსოფლიოს ნაკრებთა საუკეთესო ათეული დღეს ასეთია: **1. ესპანეთი, 2. ჰოლანდია, 3. გერმანია, 4. ინგლისი, 5. ბრაზილია, 6. იტალია, 7. პორტუგალია, 8. ხორვატია, 9. მექსიკა, 10. არგენტინა.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

**მათე ვაწაძე რუსეთის პრემიერლიგის "ვოლგაში" შარშან, დეკემბერში ჩაირიცხა. 9 მატჩში გატანილი 1 გოლი – პირველი ეტაპის შემდეგ ასეთია საქართველოს ნაკრების 22 წლის ფორვარდის მონაგარი, რომლითაც ის უკმაყოფილოა და მიაჩნია, რომ თავის უკეთ წარმოჩენაც შეეძლო. მათე ახლა თბილისშია, ყოფილი კლუბის, თბილისის "დინამოს" ვარჯიშებს არ აცდენს და დღეს მოლდოვურ "მილსიმისთან" თავისიანებს უქომაგებს. მათესთვის მნიშვნელოვანი იყო რუსეთის პრემიერლიგაში ნალჩიკის "სპარტაკთან" გატანილი პირველი გოლი: მართალია, 9 მატჩში 1 გოლი კარგი სტატისტიკა არ არის, მაგრამ იმ გოლით ნიჟნინოვგოროდელები წაგებისგან იხსნა, თავად კი ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახა:**




# რუსეთი ადვილი გგონიათ?

## რა სამწუხაროა, რომ იქ არის ის, რაც არ არის აქ

- მთავარი იყო, პირველი გოლი გამეტანა. "სპარტაკთან" გოლს ჩემთვის ამიტომ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. თავდამსხმელისთვის გოლი ყველაფერია, თავდაჯერებაც და საკუთარი ძალების რწმენაც. მწვრთნელი და გუნდი შენგან გოლს მოითხოვენ, ეს არის შენი საქმე.

თუმცა ამ სეზონით კმაყოფილი არ ვარ და ვერც ვიქნები, რადგან იმდენი ვერ ვითამაშე, რამდენიც მინდოდა. მაგრამ საქართველოს ჩემპიონატთან შედარებით დიდი განსხვავებაა, პრემიერლიგასთან შესაგუებლადაც დრო მჭირდებოდა. თავიდან ეს ძნელი იყო, ახლა კი ნელ-ნელა ვეჩვევი.

**- რა იყო მთავარი პრობლემა – მაღალი ტემპი, გამძლეობა, მცველების ათლეტურობა თუ ფიზიკური მომზადება?**

- არც ერთი, მხოლოდ ფსიქოლოგიური მომზადება. ამავე დროს, რუსეთის პრემიერლიგაში არიან გრანდები, რომელთან თამაში მე კი არა, ყველას ძალიან უჭირს. ჩემი აზრით, "ზენიტი" და ცსკა იმდენად ძლიერი კლუბებია, ნებისმიერ ევროპულ გუნდს გაუჭირდება მათთან თამაში. ორივემ უეფას თასი მოიგო, რაც შემთხვევითი ამბავი ნამდვილად არ არის.

**- ალბათ, ახლა მეტს ითამაშებ, რადგან ოთარ მარცვალაძე "კრასნოდარში" გადავიდა.**

- ჩემი თამაში ოთარ მარცვალაძის წასვლაზე დამოკიდებული არც ყოფილა, მე ისედაც შევეცდები, მწვრთნელის ნდობა დავიმსახურო და მეტი ვითამაშო.

**- მწვრთნელი ახსენე – ომარ თეთრაძის გაშვების შემდეგ ბევრი შიშობს, რომ "ვოლგაში" ქართველების მდგომარეობა გაუარესდება. როდესაც უკმაყოფილოები არიან მწვრთნელით, უკმაყოფილოები იქნებიან მისი ჩაყვანილი ფეხბურთელებითაც.**

- ჩემთვის არაფერი შეცვლილა და ჯერ ვერც იმას ვამბობ, ახალი მწვრთნელის დმიტრი ჩერიშევის დანიშვნა ქართველების მდგომარეობას გააუარესებს თუ გააუმჯობესებს. ეს მეორე წრეში გამოჩნდება. ვინ იცის, იქნებ ჩვენთვის კარგიც იყოს.

**- "ვოლგა" უცნაური გუნდია, ვერ იტყვი, ვის მოუგებს, ვისთან წააგებს და ვისთან "აფეთქდება".**

- გეთანხმებით, მართლაც უცნაური გუნდია, მაგრამ არის საიმისო რესურსი, პრემიერლიგის აუტსაიდერებში რომ არ ვიყოთ და უფრო მაღალი ადგილებისთვის ვიბრძოლოთ. ახლა ბევრია დამოკიდებული იმაზე, როგორ მოვემზადებით, რა ცვლილებები მოხდება გუნდში და სხვა ფაქტორებზე.

**- გულშემატკივარს მუდამ აინტერესებს შედარებები და გვითხარი, შენი აზრით, რა შანსი ექნებოდა, მაგალითად, თბილისის "დინამოს" პრემიერლიგაში, რუსული კლუბების პირობებში რომ ემზადებოდეს?**

- ჩემი დროის თბილისის "დინამოს" არ აკლდა მომზადება, თუნდაც ფიზიკური. მთავარი ფაქტორია, რა დონის ჩემპიონატში თამაშობ და ვინ არის შენი მოწინააღმდეგე. რაც უფრო მაღალ დონეზე ასპარეზობ, უფრო მეტია მოთხოვნები, გუნდიც იზრდება და მოთამაშეც.

საქართველოში კი არ არის ისეთი საფეხბურთო გარემო, როგორიც რუსეთშია. იქ სტადიონზე გაქვს ყველანაირი პირობა, რომ ითამაშო. ჩვენთან კი არის სტადიონები, სადაც გასახდელში შესვლა არ მოგინდება. შეხვალ და თამაშის ხალისი გიქრება. ნებისმიერი ფეხბურთელი ჩემსავით გიპასუხებთ, ცუდი ინფრასტრუქტურა, უხარისხო მოედნები, მოუწყობელი გასახდელები და კიდევ ბევრი რამ სათამაშო განწყობას გიკარგავს, რაც ფეხბურთში სულაც არ არის წვრილმანი, პირიქით, ძალიან ბევრს ნიშნავს.

სტადიონზე ხალხის დასწრებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. გიხარია, როდესაც ტრიბუნები შევსებულია და ხალხი 90 წუთი მხარს გიჭერს. ეს ძალიან დიდი სტიმულია.

**- ალბათ, მეორე სუნთქვა სხვაგვარად არც გაგეხსნება.**

- რა თქმა უნდა. ცარიელი ტრიბუნების წინ ეს გამორიცხულია. საქართველოში მხოლოდ "ეროვნულზე" და ზესტაფონში თამაში მიხაროდა, თბილისში კარგი სტადიონია, ზესტაფონში კი ტრიბუნები სულ სავსეა და კარგი გულშემატკივრობა იციან. საქართველოში მაყურებელს რომ ხედავ, მნიშვნელობა აღარ აქვს, შინ თამაშობ თუ სტუმრად, მთავარია, რომ ბევრი ხალხი გიყურებს და ვიღაცას აინტერესებ.

რუსეთში კი მაყურებელი ყველა გუნდს ჰყავს, რა თქმა უნდა, ზოგს მეტი, ზოგს - ნაკლები, მაგრამ ცარიელი ტრიბუნის წინ არასოდეს თამაშობ. თუმცა საქართველოს შემდეგ სავსე სტადიონებსაც მიჩვევა სჭირდება.

**- დღევანდელი გადასახედიდან კმაყოფილი ხარ, "ვოლგაში" რომ გადახვედი?**

- დიახ, კმაყოფილი ვარ, თავიდან კი, სიმართლე გითხრათ, მეგონა, შეცდომა დავუშვი. ვფიქრობდი, სადმე წავალ-მეთქი.

**- როგორც ვიცით, მაშინ "ანჟიში" შენი იჯარით გაშვებაზეც ფიქრობდნენ.**

- ლაპარაკი იყო, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ "ვოლგას" ვჭირდებოდი და უნდა დავრჩენილიყავი. ჩემთან ეს საკითხი არც დასმულა.

**- თეთრაძის გაშვების შემდეგ გელაპარაკათ "ვოლგას" პრეზიდენტი, ვისგან რას ითხოვს და რა უნდა?**

- ყველას ერთად შეგვხვდა და გვითხრა, თეთრაძემ თავისი შესაძლებლობები ამოწურა და ახალი მწვრთნელია საჭიროო, ჩვენზე კი არაფერი უთქვამს.

ტრანსფერი

# კრასნოდარი 2 600 000 ევრო ღირს



## ასეთია ცხოვრება! მარცვალაძემ ვოლგელებს სიყვარული და სიტუაცია აუხსნა

მოსახდენი მოხდა და ველარ დაიმალა - ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" ხელმძღვანელებმა დაადასტურეს ის, რისი დაჯერებაც კლუბის გულშემატკივრებს არ სურდათ - გუნდის საუკეთესო ბომბარდირი და ფეხბურთელი **ოთარ მარცვალაძე** „კრასნოდარში" გაყიდეს.

ოთარი კლუბს თავაწეული დაემშვიდობა: აუტსაიდერი გუნდიდან მოხვდა პრემიერლიგის ტოპფეხბურთელთა ათეულში და ტოპთავდამსხმელთა სამეულში, პრემიერლიგაში 5 გოლი გაიტანა, ბოლო ტურში კი „ტომთან" დუბლის, საგოლე გადაცემისა და ჩინებული თამაშის გამო ლამის ყველა გამოცემამ დაასახელა სიმბოლურ ნაკრებში, ტურის ფეხბურთელად და ტურის გოლის ავტორად.

*„ვოლგას" გულშემატკივრებს ძალიან ვაფასებ და მიყვარს, რადგან ყოველთვის მხარს მიჭერდნენ. ნიჟნი ნოვგოროდში ყოფნისას ეს ქალაქი ჩემთვის მშობლიური გახდა. მაგრამ ახლა წასვლის დროა. „კრასნოდარში" გაცილებით უკეთესი პირობები შემომთავაზეს, ცხოვრებას კი თავისი ლოგიკა აქვს. ამის მიუხედავად, „ვოლგას" ხელმძღვანელებთან და თანაგუნდელებთან კვლავ ვიმეგობრებ"* – ამბობს ნიჟნინოვგოროდული კლუბის ვებგვერდზე ქართველი თავდამსხმელი, რომელიც „კრასნოდარს" 3 ივლისს შეკრებაზე შეუერთდება.

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელს პრემიერლიგის ერთ-ერთმა ყველაზე მდიდარმა და ამბიციურმა კლუბმა სამწლიანი კონტრაქტი ორი კვირის წინ გაუფორმა. მართალია, 26 წლის ქართველის ტრანსფერი „ვოლგამ" სეზონის დასაწყისში გამოისყიდა, მაგრამ კონტრაქტში მითითებული იყო კონკრეტული თანხა, რომლის გადახდის შემთხვევაშიც დაინტერესებულ კლუბი მისი გადაყვანის უფლებას იღებდა.

ასეთივე პუნქტი იყო ჩადებული „კაისერისა" და **ალეკო ამისულაშვილის** კონტრაქტში - 3 მილიონი ევრო. „კრასნოდარმა" უკან არ დაიხია, თანხა გადაიხადა და თებერვალში ამისულაშვილი დაიმატა, რომელიც დღეს გუნდის კაპიტანია.

კლუბის მეპატრონე **სერგეი გალიცკიმ** მარცვალაძის შემთხვევაშიც იმავე პუნქტით ისარგებლა. მართალია, ამ ტრანსფერის საზღაურს რუსული კლუბები არ ამხელენ, თუმცა საქმეში ჩახედულებმა გაგვიმხილეს. ჯერ ის ვთქვათ, რომ „ტრანსფერმარკტის" შეფასებით, მარცვალაძის სატრანსფერო ღირებულება შარშანდელთან შედარებით 400 ათასი ევროთი გაიზარდა და 1.200.000 ევრო გახდა. თუმცა „ვოლგას" ქართველი ლიდერი ასე იაფად არ დაუთმია – მარცვალაძის კონტრაქტში ხელშეკრულების გაწყვეტის საფასურად მლნ ევრო კი ეწერა, მაგრამ „კრასნოდარმა" 2,6 მლნ ევრო გადაიხადაო.

„კრასნოდარი" მარცვალაძის მეექვსე კლუბია: „ვიტ ჯორჯიას" შემდეგ იყო კიევის „დინამოში", უჟგოროდის „ზაკარპატიეში", მახაჩყალის „ანჟიში", 2010 წლის დასაწყისში კი „ვოლგაში" ჩაირიცხა და 21 გოლით პირველი ლიგის ბომბარდირი და ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

ოთარ მარცვალაძის ტრანსფერი ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია მათ შორის, რომლებშიც ქართველი ფეხბურთელი მონაწილეობდა. მართალია, თანხის ოდენობა ხშირად კონფიდენციური იყო, მაგრამ მაინც არ იმალება.

გთავაზობთ მარცვალაძის „კრასნოდარში" გადასვლამდე განხორციელებულ გამორჩეულ ქართულ ტრანსფერთა ცხრილს:

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**



ოთარ მარცვალაძე კლუბს დაემშვიდობა

| ფეხბურთელი | წელი | ძველი კლუბი | ახალი კლუბი | თანხა ($) |
|---|---|---|---|---|
| კახა კალაძე | 2001 | კიევის დინამო | მილანი | 16 მლნ |
| გიორგი ქინქლაძე | 1998 | მანჩესტერ სიტი | აიაქსი | 8 მლნ |
| გიორგი დემეტრაძე | 2000 | დინამო კ | სოსიედადი | 4,5 მლნ |
| ალეკო ამისულაშვილი | 2011 | კაისერი | კრასნოდარი | 3,6 მლნ |
| გიორგი ქინქლაძე | 1995 | დინამო თბ | მანჩესტერ სიტი | 3,2 მლნ |
| შოთა არველაძე | 2001 | აიაქსი | რეინჯერსი | 3,2 მლნ |
| უჩა ლობჟანიძე | 2010 | ზესტაფონი | დნიპრო | 2,6 მლნ |
| გოგა გახოკიძე | 1998 | ალანია | ეინდჰოვენი | 2 მლნ |
| თემურ ქეცბაია | 2000 | ნიუკასლი | ვულვერჰემპტონი | 1,44 მლნ |
| ბექა გოცირიძე | 2009 | ზესტაფონი | დნიპრო | 1,3 მლნ |
| მიხეილ აშვეთია | 2001 | ტორპედო ქ | კოპენჰაგენი | 1 მლნ |
| მალხაზ ასათიანი | 2003 | ტორპედო ქ | ლოკომოტივი (მოსკ) | 1 მლნ |

საქართველოს ჩემპიონატი

# ჩამოასხით!

## ჩემპიონატი ენერგომატარებელს ჩაება

საწვავი უფასო ნავთობმომპოვებელ ქვეყნებშიც არ არის, ქართული კლუბები კი ერთი სეზონი მაინც დატკბებიან "საწვავის კომუნიზმით".

*"დღეს დამთავრდა მოლაპარაკებები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და კომპანია "სოკარს" შორის. როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ განაცხადა, მოლაპარაკება საქმისთვის და ქართული ფეხბურთისთვის სასიკეთოდ დასრულდა და ამ სეზონში ეს კომპანია საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ტექნიკური სპონსორი და გენერალური პარტნიორი იქნება.*

*ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდების ტრანსპორტირების საკითხის მოგვარება აიღო თავის თავზე, ეს ხელშეკრულებაც ამის დასტურია"* - იუწყება ფედერაციის პრესსამსახური, რომლის ხელმძღვანელ **ლაშა დვალიშვილის** თქმით, კონტრაქტის მიხედვით სპონსორის მიერ აღებული ვალდებულება კლუბებს გარკვეულ შეღავათს უწესებს.

*"გასული სეზონის დასასრულს კლუბებს შევპირდით, რომ მომავალი ჩემპიონატისთვის საწვავით უზრუნველვყოფდით და პირობა შევასრულეთ. თუ გავიაზრებთ, საკმაოდ სერიოზული ხარჯი მოეხსნებათ და არცთუ მცირე შეღავათი ექნებათ. ამ თვალსაზრისით ეს თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია.*

*კომპანია ქართულ ფეხბურთს სხვა მხრივაც ეხმარება - თავისი ხარჯით უკვე დააგო საფარი ეროვნული ნაკრების ბაზაზე. ახლა კი მიხეილ მესხის სტადიონზეც იმავე სამუშაოს აფინანსებს, სადაც მალე ახალი, უმაღლესი ხარისხის საფარი დაიგება"* – გვითხრა დვალიშვილმა.

## ქართული ფეხბურთი

● მეტოქეობის ისტორია

**ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყებას მუდამ ოპტიმისტური განწყობით ვხვდებით ხოლმე და გამონაკლისი არც წლეულს იქნება. ქართული გუნდებიდან ევროტურნირებზე დღეიდან თბილისის „დინამო" და რუსთავის „მეტალურგი" ჩაებმებიან, ორი კვირის შემდეგ უკვე „ზესტაფონსა" და „გაგრას" უნდა ვუქომაგოთ, — მოკლედ, საკმაოდ დატვირთული და საინტერესო ივლისი გველის. რაც მთავარია, ყველას დიდი სურვილი გაქვს, რომ ევროტურნირებზე მოასპარეზე ჩვენმა ოთხივე გუნდმა რაც შეიძლება მეტი ეტაპი გაიაროს და ქართული ფეხბურთის პრესტიჟი აამაღლოს.**

**... ევროტურნირების კენჭისყრამ ისე „ინება", რომ საწყის ეტაპზე ქართული გუნდები („გაგრას" გარდა) „ძველ ნაცნობებთან" დააწყვილა. დღეს საუბარი სწორედ ქართულ-მოლდოვური და ქართულ-სომხური გუნდების ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაზე გვექნება; ძირითად აქცენტს, რალა თქმა უნდა, საკლუბო დონეზე გავაკეთებთ, თუმცა გვერდს არც სანაკრებოს ავუვლით, — მით უფრო, რომ მოლდოველებთანაც და სომხებთანაც აშკარად არაერთგვაროვანი „საფეხბურთო დამოკიდებულება" გაგვაჩნია...**

# უსიამოვნო სტატისტიკა

ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს მოლდოვის (მაშინდელი — მოლდავეთის) ფეხბურთს სათვალავში არავინ აგდებდა: ამ რესპუბლიკის უძლიერესი გუნდის, კიშინიოვის „ნისტრუს" გლობალური თუ ლოკალური ამოცანა ხომ „ათასში ერთხელ" უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვება იყო. რადიკალურად სიტუაცია არც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეცვლილა: მოლდოვის ნაკრებსა თუ კლუბებს (თუ არ ჩავთვლით ტირასპოლის „შერიფის" ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ორჯერ გასვლას) საერთაშორისო დონეზე ჯერჯერობით არაფრისთვის მიუღწევიათ. თუმცა, ფეხბურთის მოლდოველ ქომაგებს ის მაინც აქვთ საამაყო, რომ ზოგიერთ მეტოქესთან (სანაკრებო და საკლუბო დონეზეც) დადებითი ბალანსი გააჩნიათ; ერთ-ერთი ასეთი მეტოქე კი... საქართველოს ნაკრებია: ოფიციალურ თუ ამხანაგურ მატჩებში მოლდოვის ნაკრებს ცხრაჯერ ვეთამაშეთ და აქედან 3 შეხვედრა მოვიგეთ, 2 ფრედ დავამთავრეთ და 4 წავაგეთ. მცირე ნუგეშს, ალბათ, ის უნდა გვაძლევდეს, რომ ბურთების სხვაობაში ჩვენ გვაქვს უპირატესობა (11-10). საქართველოს და მოლდოვის ნაკრებების ურთიერთდაპირისპირების ისტორიაზე ადრეც არაერთხელ გვისაუბრია, ამჯერად კი მხოლოდ საკლუბოზე გავამახვილებთ ყურადღებას; შეგახსენებთ, რომ წლევანდელ ევროტურნირებზე ერთდროულად ორი მოლდოვური კლუბი შეგვხვდა: კიშინიოვის „დაჩია" და ორჰეის „მილსამი". იმედი დავიტოვოთ, რომ ქართული გუნდები (შესაბამისად — „ზესტაფონი" და „დინამო") მოლდოვურ ბარიერს დასძლევენ და საკლუბო დონეზე მაინც გვექნება ამათთან დადებითი ბალანსი. არადა, დღემდე მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ევროტურნირებზე ქართული და მოლდოვური გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და, ჩვენდა სამწუხაროდ, მომდევნო ეტაპზე სწორედ მოლდოვური კლუბი გავიდა. ჰო, ძველი ამბავია, დღესაც მწარედ რომ გვახსენდება: ჩემპიონთა ლიგის 1999-2000 წლების გათამაშების მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამომ" მოლდოვური „ზიმბრუს" ბარიერი ვერ დასძლია. ეს ფაქტი იმდროინდელ ქართულ მედიაში სენსაციად შეფასდა, თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ, რომ სწორედ 1999 წლის ზაფხულიდან დაიწყო თბილისის „დინამოში" კრიზისი და ამის შემდეგ ზედიზედ სამი სეზონი გუნდი საქართველოს ჩემპიონი ვერ ხდებოდა. თუმცა, ისევ „ზიმბრუსთან" პაექრობებს დავუბრუნდეთ. და ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ უკვე პირველსავე მატჩმა არაერთი კითხვის ნიშანი გააჩინა. წყვილში უპირობო ფავორიტად, რალა თქმა უნდა, „დინამო" მიიჩნეოდა, სადაც მთავარ მწვრთნელად ჰოლანდიელი **იოჰან ბოსკამპი** მუშაობდა. ბოსკამპმა „დინამო" 1999 წლის მაისში ჩაიბარა (ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე) და პარალელურად საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელიც გახლდათ. „ზიმბრუსთან" საშინაო მატჩში „დინამოს" შემადგენლობაში უამრავმა ახალწვეულმა ითამაშა: **გიორგი შაშიაშვილმა, დავით ჭიჭველიშვილმა, ვასო გიგიაძემ, თენგიზ სიჭინავამ, დენი დონდტმა, დე სოუზამ;** დონდტი ამპლუით მეკარე იყო, დე სოუზა — ცენტრფორვარდი და ამ უცხოელი ფეხბურთელების ტრანსფერების ინიციატორი ბოსკამპი გახლდათ. დონდტი მართლაც მაღალი კლასის მეკარე გამოდგა — „ზიმბრუსთან" აქაურ მატჩში ხომ არაერთხელ გადაგვარჩინა, მერეც, ცოტა ხანი რომ ითამაშა საქართველოს ჩემპიონატში, ყოველ შეხვედრაში მართლაც ჩინებულად გამოიყურებოდა. აი, დე სოუზას მოწვევა კი „დინამოს" სატრანსფერო ისტორიაში ერთ-ერთ დიდ შეცდომად უნდა მივიჩნიოთ: ბრაზილიელი ფორვარდი მეტოქის საჯარიმოში ხელსაყრელ პოზიციაზე რომ აღმოჩნდებოდა, ბურთს ფეხის მაგივრად... მინას ურტყამდა! ასეა თუ ისე, თბილისური მატჩი დიდი ნერვიულობის ფასად, მაგრამ მაინც შემოვაბრუნეთ: 68-ე წუთზე სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ შეცვლაზე შემოსულმა **ლევან ხომერიკმა** და **კლიმენტი წიტაიშვილმა** ბოლო შვიდ წუთში მეტოქის კარში ორი გოლი გაიტანეს. აი, განმეორებით მატჩში კი მასპინძლებმა ორი უპასუხო გოლი გაიტანეს „დინამოს" კარში და მომდევნო ეტაპზეც გავდნენ, სადაც, სხვათა შორის, ჰოლანდიურ პსვ-სთან ღირსეულად იასპარეზეს.



კიშინიოვის „ზიმბრუსთან" თბილისის „დინამოს" იოჰან ბოსკამპი წვრთნიდა

### ჩემპიონთა ლიგა

II საკვალიფიკაციო ეტაპი

**დინამო–ზიმბრუ 2:1**

28.07. 1999. თბილისი. ეროვნული. 5000 მაყურებელი

0:1 ბერკო (68), 1:1 წიტაიშვილი (82), 1:2 ხომერიკი (90)

დინამო: დონდტი-შაშიაშვილი, ჭიჭველიშვილი, დიდავა, სახვაძე (63. ხომერიკი) — ვ. გიგიაძე, კიკნაძე, სიჭინავა, ალექსიძე — დე სოუზა (63. წიტაიშვილი), აშვეთია

გაფრთხილება: სიჭინავა

არბიტრი: დ. დრაბეკი (ავსტრია)

**ზიმბრუ–დინამო 2:0**

04.089. 1999. კიშინიოვი. რესპუბლიკური. 7000 მაყურებელი

1:0 დოდული (25), 2:0 ეპურეანუ (90)

დინამო: დონდტი-ხიზანეიშვილი, ჭიჭველიშვილი, სიჭინავა, დიდავა-ვ. გიგიაძე (55. გ. შენგელია), კიკნაძე, ალექსიძე-აშვეთია (70. წიტაიშვილი), დე სოუზა, ხომერიკი.

გაფრთხილება: ტელესნენკო; სიჭინავა, დე სოუზა

არბიტრი: ლ. ჰიუ (ბელგია)

# სასურველი მეტოქე

...საბედნიეროდ, თანამედროვე ფეხბურთში ისეთი გუნდებიც არიან, სანაკრებო თუ საკლუბო დონეზე დადებითი ბალანსი რომ გაგვაჩნია! სომხებზე მოგახსენებთ, სანაკრებო დონეზეც რომ ვჯობივართ და საკლუბოზეც; თუმცა, მოლდოველთან ურთიერთდაპირისპირებისა არ იყოს, ამ შემთხვევაშიც მხოლოდ საკლუბო დონეზე ვისაუბრებთ; უბრალოდ, მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და სომხეთის ნაკრებები დღემდე ხუთჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და უპირატესობა ჩვენ მხარეზეა: 3 მოგება, 1 ფრე და 1 წაგება; ბურთების სხვაობა კი მართლაც შთამბეჭდავია — 11:4. თანაც, არც ის დაგვავიწყდეს, რომ სომხებს ბოლოს ოთხი თვის წინ შევხვდით და კვიპროსულ ლიმასოლში ჩატარებულ იმ შეხვედრაში **თემურ ქეცბაიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე ჩვენმა ნაკრებმა ნახევრად ექსპერიმენტული შემადგენლობითაც აჯობა მეტოქეს.

აი, საკლუბო დონეზე კი ქართული და სომხური გუნდები დღემდე ხუთჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და მომდევნო ეტაპზე სამჯერ ჩვენ გავედით, ორჯერ კი — სომხები. თუმცა, ბევრად უფრო შთამბეჭდავია უშუალოდ შეხვედრებში დაფიქსირებული უპირატესობა: 10 მატჩიდან 7 ქართული გუნდების გამარჯვებით დამთავრდა, 1 ფრედ დასრულდა და 2 წავაგეთ (ბურთების სხვაობა 26-10). ოღონდ, ეს სტატისტიკური მაჩვენებლები გარკვეულ კორექტირებასაც მოითხოვს: სულ პირველ დაპირისპირებაში, 1997 წლის ზაფხულში რომ ჩატარდა, ბათუმის „დინამომ" პირველ მატჩში ერევნის „არარატს" 4:2 კი მოუგო, მაგრამ... 0:3 წაგება ჩაეთვალა! ამის მიზეზი კი ქართული კლუბის ხელმძღვანელთა დაუდევრობა იყო: ბათუმელთა შემადგენლობაში თამაშობდა **დავით სოლოღაშვილი,** რომელსაც, წესითა და რიგით, ეს მატჩი დისკვალიფიკაციის გამო უნდა გამოეტოვებინა. სოლოღაშვილი წინა წელს ფოთის „კოლხეთში" „ინტერტოტოს თასზე" ასპარეზობდა და ის გათამაშება ორი ყვითელი ბარათით დაასრულა. მოკლედ, ბათუმელთა ახალწვეულს „არარატთან" პირველი მატჩი უნდა გამოეტოვებინა, მაგრამ მავანთა დაუდევრობამ 0:3 „მოგვიტანა". ამის მიუხედავად, ბათუმელები ძალიან ახლოს იყვნენ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად: განმეორებით მატჩში **როსტომ თორღაშვილმა** ანგარიში პირველსავე წუთზე გახსნა, შესვენებამდე **ივანე მახარაძემ** კიდევ ერთი გოლიც გაიტანა, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად, მეორე ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა.

სომხურ გუნდებთან რევანში ერთი წლის მერე ავიღეთ: „ინტერტოტოს თასზე" მოასპარეზე ქუთაისის „ტორპედომ" წყვილში გამარჯვებულის ვინაობა პირველსავე მატჩში გაარკვია, როცა ერევნის „ერებუნი" 6:0 დაამარცხა! სხვათა შორის, ტორპედოელთა შორის „დუბლი" ორმა ფეხბურთელმა შეასრულა: **დავით ჯანაშიამ** და **გიორგი მეგრელაძემ;** 13 წლის წინანდელ ამბავს კი იმიტომ ვიხსენებთ, რომ მეგრელაძე დღესაც აგრძელებს კარიერას და, რაც მთავარია, კვლავაც მშობლიური ქალაქის გუნდის ღირსებას იცავს.

„ტორპედო"-„ერებუნის" დაპირისპირების შემდეგ ქართული და სომხური გუნდები მხოლოდ 7-წლიანი პაუზის მერე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თანაც, ისე მოხდა, რომ ერევნის „ბანანცი" ზედიზედ ორჯერ შეხვდა ქართულ გუნდებს და ორივეჯერ ეს მატჩები მეტად და მეტად „უცნაური" სცენარით მიმდინარეობდა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, თბილისურ შეხვედრებში „ბანანცი" იმარჯვებდა, ერევანში ჩატარებულ მატჩებში კი — ქართული გუნდები! თუმცა, სხვაობა ის იყო, რომ თბილისის „ლოკომოტივი" თუ სენსაციურად გამოეთიშა ასპარეზობას, აი, „ამერმა" შეძლო და „ბანანცის" ბარიერი დასძლია.

ევროტურნირებზე სომხურ გუნდებთან ბოლო დაპირისპირება კი აშკარად დადებით ემოციებს იწვევს: **კახა კაჭარავას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე თბილისის „დინამომ" 2006 წლის ზაფხულში, „ინტერტოტოს თასის" პირველ ეტაპზე ორივე მატჩი დიდი ანგარიშით მოუგო სომხურ „კილიკიას" (5:1, 3:0). სხვათა შორის, ხუთი წლის წინანდელი იმ შემადგენლობიდან „დინამოში" დღესდღეობით კვლავაც თამაშობენ: **გიორგი ლორია, შოთა კაშია, გულვერდ თომაშვილი, ლევან ხმალაძე** და **სანდრო იაშვილი.**

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**



საქართველო-სომხეთი 7:0

## საკლუბო დონეზე

### თასების მფლობელთა თასი

(პირველი შესარჩევი წრე)

**დინამო (ბთ)–არარატი (ერ) 4:2**

15.08.1997. ბათუმი. ცენტრალური. 8000 მაყურებელი

1:0 ჩუხუა (23), 2:0 ჩუხუა (23), 2:1 ტერ-პეტროსიანი (60), 3:1 ღლონტი (77), 3:2 ნაზარიანი (83), 4:2 შეყილაძე (90).

დინამო: ტოგონიძე-ი. მახარაძე, შანიძე, შეყილაძე, მინდაძე-ღლონტი, თ. სიჭინავა, თორღაშვილი (75. აფხაზავა), სოლოღაშვილი-ტულუში, ჩუხუა (88. ყულეჯიშვილი).

გაფრთხილება: ტულუში.

არბიტრი: მ. შუტენგრუბერი.

*შენიშვნა: იმის გამო, რომ მასპინძელთა გუნდში დისკვალიფიცირებულმა ფეხბურთელმა (დავით სოლოღაშვილმა) ითამაშა, ბათუმის „დინამოს" ტექნიკური წაგება ჩაეთვალა - 0:3*

**არარატი–დინამო 0:2**

28.08.1997. ერევანი. „რაზდანი". 5000 მაყურებელი

0:1 თორღაშვილი (1), ი. მახარაძე (36).

დინამო: ტოგონიძე-ი. მახარაძე, მ. მახარაძე, შეყილაძე, მინდაძე-ღლონტი, თორღაშვილი (75. შანიძე), სიჭინავა, ჭიჭველიშვილი-ჩუხუა, ყულეჯიშვილი (69. აფხაზავა).

არბიტრი: მ. კოვალჩიკი

### ინტერტოტოს თასი

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

**ტორპედო (ქ)–ერებუნი (ერ) 6:0**

21.06.1998. ქუთაისი. „გივი კილაძე". 4000 მაყურებელი

1:0 გ. მეგრელაძე (3), 2:0 გ. მეგრელაძე (28), 3:0 ვაჩიბერაძე (30), 4:0, 5:0 დ. ჯანაშია (43, 81), 6:0 კვეტენაძე (83)

ტორპედო: გრ. ჭანტურია-ჩხაბერიძე, ვაშაკიძე, შ. ხუჯაძე (65. ვ. თურმანიძე), ჩხაიძე-დ. ჯანაშია, ჯინჭარაძე, კვეტენაძე, ვაჩიბერაძე (61. კ. ჩხეტიანი)-გ. მეგრელაძე (85. მალლაკელიძე), კ. მეტრეველი.

არბიტრი: ი. ხაიმი (ისრაელი).

**ერებუნი–ტორპედო 1:1**

27.06.1998. ერევანი. რაზდანი. 100 მაყურებელი

1:0 ოვანესიანი (22), 1:1 ხუჯაძე (30).

ტორპედო: გრ. ჭანტურია (84. მამარდაშვილი)-ჩხაბერიძე, ვ. თურმანიძე, ვ. მაისურაძე, შ. ხუჯაძე-ნატროშვილი (67. კ. ჩხეტიანი), კვეტენაძე, ჯინჭარაძე (78. შეყრილაძე), ვაჩიბერაძე-დ. ჯანაშია, გ. მეგრელაძე.

არბიტრი: რ. ჰანლონი (ისრაელი)

### უეფას თასი

I საკვალიფიკაციო ეტაპი

**ბანანცი (ერ)–ლოკომოტივი (თბ) 2:3**

14.07.2005. ერევანი. რესპუბლიკური

0:1 ალავერდაშვილი (41), 0:2 ლ. ქებაძე (48), 0:3 გ. ონიანი (53), 1:3 არამ აკოფიანი (82), 2:3 ყარაბახჩიანი (89).

ლოკომოტივი: შეყრილაძე-სეთურიძე, გ. ონიანი, მახვილაძე, რ. ონიანი-ფურთუხია (67. დ. ფოფხაძე), ინომოვი, სირაძე (70. გ. ჩივაძე), ქებაძე-კახელიშვილი, ალავერდაშვილი (84. გ. ყიფიანი).

არბიტრი: ი. მადიებირო (უნგრეთი)

**ლოკომოტივი–ბანანცი 0:2**

28.07.2005. თბილისი. მიხეილ მესხი. 5000 მაყურებელი

0:1 არამ აკოფიანი (22), 0:2 ხაჩატრიანი (81).

ლოკომოტივი: შეყრილაძე-სეთურიძე, გ. ონიანი, მახვილაძე, რ. ონიანი-ფურთუხია (46. დ. ფოფხაძე), ინომოვი, სირაძე (83. თავბერიძე), ლ. ქებაძე-კახელიშვილი, ალავერდაშვილი (73. გ. ჩივაძე).

არბიტრ: მ. სტრახონია (ხორვატია).

### უეფას თასი

I საკვალიფიკაციო ეტაპი

**ამერი (თბ)–ბანანცი (ერ) 0:1**

13.07.2006. თბილისი. მიხეილ მესხი. 2000 მაყურებელი

0:1 ტადევოსიანი (10).

ამერი: ქვაჩახია-კედელაშვილი (67. სევასტოპულო), დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე- დოლიძე (82. დობროვოლსკი), გაბისკირია (54. დ. ბოლქვაძე), დეკანოსიძე, გ. ჯელაძე-დავითაშვილი, წინამძღვრიშვლი.

არბიტრი: ა. ტუსანი (ლუქსემბურგი)

**ბანანცი–ამერი 1:2**

27.06.2006. ერევანი. რესპუბლიკური. 3000 მაყურებელი

1:0 ტადევოსიანი (38), 1:1 წინამძღვრიშვილი (60), დობროვოლსკი (62)

ამერი: ქვაჩახია-ჩიკვილაძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე-დოლიძე (73. მჭედლიშვილი), დობროვოლსკი (81. გაბისკირია), დ. ბოლქვაძე, დეკანოსიძე-დავითაშვილი (73. ტატანაშვილი), წინამძღვრიშვილი.

არბიტრი: ხ. რისტოსკოვი (ბულგარეთი)

### ინტერტოტოს თასი

პირველი ეტაპი

**კილიკია (ერ)–დინამო (თბ) 1:5**

18.06.2006. ერევანი. „რაზდანი"

0:1 ტორნინი (36), 0:2 დვალი (38), 1:2 ერზრუმიანი (42), 1:3 დვალი (58), 1:4 ხუციშვილი (72), 1:5 ბობოხიძე (90).

დინამო: ლორია-ამბროზიო, შ. კაშია, ორბელაძე, გიგაური-მერებაშვილი, გრიგალაშვილი (68. ჩირიკაშვილი), ხუციშვილი, კობახიძე-დვალი (76. ზამ. ჯანაშია), ტორნინი (58. ბობოხიძე)

**დინამო–კილიკია 3:0**

24.06.2006. თბილისი. მიხეილ მესხი. 1000 მაყურებელი

1:0 გრიგალაშვილი (28), 2:0 გიგაური (41), 3:0 იაშვილი (82)

დინამო: ლორია-ამბროზიო (21. კ. მახარაძე), შ. კაშია, თომაშვილი, გიგაური-მერებაშვილი (46. ხმალაძე), გრიგალაშვილი, ხუციშვილი (71. ს. იაშვილი), კობახიძე-დვალი, ბობოხიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი


ჯეკ უილშირი

# უილშირს ფული არ აკლია

ზაფხულია, ფეხბურთელები ისვენებენ, ტაბლოიდები კი ცარიელ გვერდებს სენსაციური ამბებით ავსებენ. თუმცა ინგლისურ ყვითელ პრესაზე ნამდვილად არ შეიძლება იმის თქმა, რომ ცნობილი ხალხის პირად ცხოვრებას თუნდაც შუა სეზონში აკლებს ყურადღებას. ამჯერად ტაბლოიდების ანკესზე „არსენალის“ 19 წლის ვარსკვლავი, **ჯეკ უილშირი** წამოეგო — ლონდონში სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. არჩევენ მასობრივი ჩხუბის ამბავს, რომელიც უილშირს გამოუწვევია. პროცესი გრძელდება და თემიდას საბოლოო სიტყვა ჯერ არ უთქვამს, მაგრამ დაახლოებით ასეთი სურათი იკვეთება: ინგლისის დედაქალაქის ერთ-ერთ კლუბში უილშირს გოგო მოეწონა, შეუჩნდა და უთხრა, შენს მხლებლებს თავი დაანებე, ჩვენთან წამოდი, ჩვენ მეტი ფული გვაქვსო. ამ ნათქვამის შეფასება თქვენთვის მოგვინდია, იმას კი დავადასტურებთ, რომ უილშირს ფული არ აკლია — „მეთოფეები“ კვირაში 50 ათას ფუნტს უხდიან.

**კიმბერლი პლისტედი** ჰქვია გოგონას, რომელიც იმ დღეს 21-ე დაბადების დღეს იხდიდა. ჩხუბს რომ იხსენებდა, სასამართლოს წინაშეც ლაპალუპით ღვრიდა ცრემლებს. პლისტედი, რომელიც სადლაც, ვილაცის თანაშემწედ მუშაობს, ამბობს, რომ ფეხბურთელმა ბევრჯერ გაუმეორა:

*„მოდი, დასალევს გიყიდი. მე ბევრი ფული მაქვს. დაანებე შენს მეგობრებს თავი“.*

მოგვიანებით, როდესაც ახალგაზრდათა ჯგუფი კლუბ „ამიკადან“ გამოვიდა, უილშირი კვლავ მასთან მივიდა და სექსუალური შინაარსის რალაც უთხრა. კერძოდ რა უთხრა, ეს ქალმა ნაფიც მსაჯულებს ხმადაბლა გაანდო, ჩვენ კი ეჭვი გვაქვს, რომ უშნო ქათინაურზე უნდა იყოს ლაპარაკი. ამის შემდეგ ატყდა ჩხუბი. კიმბერლი პლისტედის თანამგზავრმა ბიჭებმა, როგორც ჩანს, უილშირის სიტყვებს ყური მოჰკრეს და... ორმა მათგანმა პოლიციაში ამოჰყო თავი. თავად ჩხუბის მიზეზი ბიჭების გაშველებას ცდილობდა თუ რა იყო ვერ გეტყვით, მაგრამ სასამართლოზე დაადასტურა, რომ მკლავი მოტყდა.

*„მეგონა, რომ ყველაფერი საათობით გრძელდებოდა. ისეთი ჩხუბი ატყდა, რომ მეც მომხვდა“* — თქვა გოგონამ, რომელსაც 21-ე დაბადების დღე არასდროს დაავიწყდება. შემდეგი სამი დღე მან მართლაც საავადმყოფოში გაატარა.

ყველაზე საინტერესო კი რა არის იცით? ის, რომ თავად უილშირს არ უჩხუბია. მის ძმაკაცებს სხეულის დაზიანება ჰბრალდებათ, კიმ პლისტედის მეგობრებსაც სასამართლოში აქვთ საქმე, თუმცა ისინი იმეორებენ, რომ არავის მიმართ აგრესიულები არ ყოფილან, მხოლოდ ამხანაგს იცავდნენ. უილშირი კი — ქუჩაში, რომელილაცა დაწესებულების სათვალთვალო კამერამ გადაილო — თავის ძმაკაცს პიჯაკის სახელოზე ექაჩებოდა, სავარაუდოდ, ჩხუბიდან გამოყვანას უპირებდა. ეს უცნაური ამბავი პროკურორმა **უორვიკ ტეტფორდმაც** აღნიშნა.

ჩელსი

# რომანის ჟანრი


რობერტო დი მატეო


ნეიმარი

„ჩელსის“ მეპატრონემ, რუსმა მილიარდერმა **რომან აბრამოვიჩმა** ჯიბიდან 40 მილიონი ფუნტი ანუ დაახლოებით 45 მილიონი ევრო გამოაჩინა და ბრაზილიური „სანტოსის“ პრეზიდენტი, **ლუის ალვარო რიბეიროც** გაიწია - მობრძანდი და ჩვენს 19 წლის ვარსკვლავ **ნეიმარს** თავად დაელაპარაკე, მე ხელს არ შეგიშლიო. რიბეიროს თქმით, თავდამსხმელის გამოსასყიდი თანხის გადახდაზე უკვე ხუთმა ევროპულმა კლუბმა გამოთქვა თანხმობა. მართალია, ბრაზილიელ საფეხბურთო მოხელეს დანარჩენი ოთხი კლუბი არ დაუსახელებია, მაგრამ ეჭვია, რომ ლაპარაკია „რეალზე“, „იუვენტუსზე“, შესაძლოა „ბარსელონაზე“ და... მახაჩყალის „ანჟიზე“. რიბეირომ თქვა:

*„ჩვენ ნეიმარის გაყიდვა არ გვინდა, მაგრამ არსებობს კონტრაქტი, სადაც წერია, რომ „სანტოსმა“ ხელი არ უნდა შეუშალოს მყიდველს, რომელიც ამ თანხას (ევროებში 40 მილიონი) იხდის. უკვე ხუთმა მნიშვნელოვანმა ევროპულმა კლუბმა გამოთქვა ფულის გადახდის მზადყოფნა. მათ ფეხბურთელთან პირადად დალაპარაკების ნებართვა გვთხოვეს და ჩვენც, რასაკვირველია, ნება დავრთეთ. მინდა ხაზი გავუსვა, რომ თითოეული მათგანი ეთიკურად მოიქცა. „სანტოსის“ ზურგს უკან არაფერი გაუკეთებიათ. ისინი ჯერ ჩვენ დაგვიკავშირდნენ და მერე ნეიმარის მამას და სხვა აგენტებს.*

*შარშან ამ დროს „ჩელსი“ სხვანაირად იქცეოდა. მაშინ ლონდონელები ჯერ მოთამაშის წარმომადგენლებს დაუკავშირდნენ, თუმცა ჩვენ ყოჩაღად დავდექით და გარიგება ჩავშალეთ“.*

ყმაწვილკაცს, რომელსაც ზოგი მიმომხილველი **ლეო მესიზე** დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს, მალე კოპა ამერიკაზე ვნახავთ. აქამდე ყველა დარწმუნებული იყო, რომ მის მყიდველთა შორის გამოკვეთილი ლიდერი „რეალი“ გახლდათ, მაგრამ ინგლისურ ტაბლოიდებს „ჩელსის“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ასეთი რამ უთხრა:

*„ნეიმარზე ძალიან დიდი ხანია ვნადირობთ და გამორიცხულია, ვინმეს გავატანოთ. ეჭვი არ გვეპარება, რომ ის „სტემფორდ ბრიჯზე“ ითამაშებს“.*

თამაში კი, თუნდაც სატრანსფერო, შეტევის გარდა თავდაცვასაც გულისხმობს. აბრამოვიჩს, მაგალითად, მადრიდის „რეალის“ მოგერიება უწევს — „თეთრების“ თავკაცმა, **ჟოზე მოურინიომ** დასავლეთ ლონდონიდან ყოფილი შეგირდის, 28 წლის **მიკაელ ესიენის** წაყვანა გადაწყვიტა. იმის შეხსენება თუ რატომ არის ესიენი მოურინიოს ყოფილი შეგირდი, ვფიქრობთ, გულშემატკივარს არ სჭირდება, თუმცა იმის შეხსენება, რომ განელი „ჩელსიში“, 2005 წელს, „ლიონიდან“ სწორედ პორტუგალიელმა გადაიყვანა, ვფიქრობთ, არ იქნება ურიგო. აღსანიშნავია, რომ ესიენს „ჩელსიში“ კიდევ ოთხი წელიწადი აქვს გასატარებელი. მისი ხელფასი კვირაში 110 000 ფუნტია და არავის სმენია, რომ ის „სტემფორდ ბრიჯზე“ რაიმეთი უკმაყოფილო იყოს.

„რეალი“ „ჩელსის“ ესიენის სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს სთავაზობს, თუმცა აბრამოვიჩი კატეგორიულია და აცხადებს, რომ განელს არ გაყიდის... ყოველ შემთხვევაში მოურინიოს ნამდვილად არ მიჰყიდის.

და კიდევ ერთი სიახლე „ჩელსის“ ცხოვრებიდან: „ჩელსის“ ყოფილი ვარსკვლავი, შვეიცარიული წარმოშობის იტალიელი მწვრთნელი **რობერტო დი მატეო** საყვარელ კლუბში ახალი თავკაცის, **ანდრე ვილას-ბოასის** დამხმარის რანგში ბრუნდება.

დი მატეომ „სტემფორდ ბრიჯზე“ ფეხბურთელობის პერიოდში ექვსი წელიწადი დაჰყო. ათი წლის წინ, მან ფეხი მოიტეხა და კარიერის დასრულება მოუხდა. „ჩელსიში“ თამაშის წლებში ის ადგილობრივი ფანობის უსაყვარლესი მოთამაშე გახლდათ.

როგორც მოგახსენეთ, ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ დი მატეო მწვრთნელი გახდა. ჯერ „მილტონში“ სცადა ბედი, შემდეგ კი „ვესტ ბრომვიჩ ალბიონში“, სადაც 2009-11 წლებში იმუშავა. მას მერე, რაც იანვარში „ვესტ ბრომვიჩიდან“ გაუშვეს, უმუშევარი იყო.



ბოლტონი

# რაიტ-ფილიპსის მიდრეკილება

**შონ რაიტ-ფილიპსს** ძველი ამბავი გაახსენდა და ამ ზაფხულს „ბოლტონში“ გადაწყვიტა გადასვლა. ბოლტონელები 29 წლის ინგლისელის გადაბირებას ჯერ კიდევ იანვარში ცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მიზეზი: რაიტ-ფილიპსს „მანჩესტერ სიტიში“ დიდი ხელფასი აქვს, კვირაში 60 ათას ფუნტს უხდიან და ეს თანხა სატრანსფერო 4 მილიონთან ერთად არ აღმოაჩნდა. თუმცა, იანვრისგან განსხვავებით ახლა სხვა ვითარებაა: რაიტ-ფილიპსმა დაბეჯითებით გაიგო, რომ ისტლენდელთა მწვრთნელს, **რობერტო მანჩინის** მისი გუნდში ყოლა აღარ სურს, ანუ უახლოეს მომავალში თავიდან მოიშორებს და „ბოლტონში“ მოთამაშე ძმაკაც **ზეტ ნაითს** გაანდო, რომ მათთან გადასვლით არის დაინტერესებული. სავარაუდოდ, **იან რაიტის** გერი ძალიან დიდ ხელფასსაც აღარ მოითხოვს. „ბოლტონის“ ცენტრალურმა მცველმა ნაითმა თქვა:


შონ რაიტ-ფილიპსი

*„შონი ჩემი უახლოესი მეგობარია, მე მას ველაპარაკე და ძალიან გამიხარდა, რომ „ბოლტონში“ გადმოსვლას ფიქრობს. ვფიქრობ, ხელფასის შემცირებას თუ დათანხმდება, ამ საქმეს ხელს ვერაფერი შეუშლის. დღეს რაიტ-ფილიპსი იმ ასაკშია, როდესაც ფეხბურთელს აუცილებლად სჭირდება ყოველ ტურში მოედანზე ყოფნა. შონის კარიერას რომ ვუყურებდი, ვხედავდი, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მას რეგულარულად არ ათამაშებდნენ. არადა, ის ძალიან ძლიერი ფეხბურთელია. მე, მაგალითად მოვლენებს ასე ვუყურებ: თუ შონ რაიტ-ფილიპსი „ბოლტონში“ გადმოსვლას აპირებს, ესე იგი ჩვენი გუნდი ძალიან წინ წასულა და მასში თამაში უკვე ვარსკვლავებსაც მონდომებიათ“.*

აღსანიშნავია, რომ რაიტ-ფილიპსის ყიდვა „ფულჰემსაც“ სურდა, მაგრამ ეს მაისის ამბავია. მაშინ დასავლეთლონდონის ამ კლუბში მწვრთნელად **მარკ ჰიუზი** მუშაობდა, სპეციალისტი, რომელმაც თავის დროზე, უფრო ზუსტად კი სამი წლის წინ ის „მანჩესტერ სიტიში“ მიიყვანა. დღეს ჰიუზი „ფულჰემში“ აღარ მუშაობს. მისი თანამდებობა ჰოლანდიელ **მარტინ იოლს** გადააბარეს.

ამრიგად, „ჩელსის“ ყოფილ ფეხბურთელს „სიტი“, ამ ზაფხულს თავიდან მოიშორებს, მაგრამ ყველანაირად შეეცდება, რომ არ იზარალოს. 2008-ში ისტლენდელებმა მის სანაცვლოდ „ჩელსის“ ხომ 9 მილიონი ფუნტი გადაუხადეს.

ახლა კი იმის შესახებ, თუ ვის ყიდვას აპირებს „სიტი“. მოგეხსენებათ, არაბ მეპატრონეთა დიდძალი ფულის მიუხედავად მანჩესტერელებს ბოლო დრომდე არავინ უყიდიათ, მაგრამ ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ ისინი ბელგრადის „პარტიზანიდან“ მცველ **სტეფან სავიჩს** ყიდულობენ. მანჩინის უთქვამს, რომ 20 წლის ჩერნოგორიელი ჯერჯერობით მისი მთავარი სამიზნეა, რადგან „ბოლტონის“ **გერი კეჰილზე** ხელი აიღო — კეჰილი, სავარაუდოდ, „არსენალის“ ლუკმა გახდება.

მეორე მხრივ, „პარტზანს“ თავისი ინტერესი აქვს. ბელგრადელებმა გამოაცხადეს, რომ სავიჩს მანამდე არ გაყიდიან, სანამ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე მაკედონიის გუნდ „შკენდიას“ არ ეთამაშებიან. ახლა, მოდი უეფას წესებში ჩავიხედოთ: თუ ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე რომელიმე გუნდის შემადგენლობაში ითამაშა, მაგრამ ეს გუნდი გავარდა, ფეხბურთელი კი ახალ გუნდში გადავიდა, მას იმავე შეჯიბრების ჯგუფურ ეტაპში — ახალი გუნდის შემადგენლობაში — მონაწილეობის უფლება აქვს. ამრიგად, „მანჩესტერ სიტისთვის“ მთავარია სექტემბრამდე „პარტიზანი“ შეჯიბრებას გამოეთიშოს...

ბელგრადელები სტეფან სავიჩს 10 მილიონ ევროდ აფასებენ.

შეგახსენებთ, რომ ისტლენდელებს ყველაზე მეტად „უდინეზეს“ ჩილელი ვარსკვლავის, 22 წლის **ალექსის სანჩესის** ყიდვა უნდათ, მაგრამ სანჩესმა თქვა, რომ თუ მის საოცნებო „ბარსელონაში“ არ გაყიდიან, უდინეში დარჩება.

არსენალი


ემილიანო ვივიანო

# არსენი ვივიანოს უმიზნებს

„ინტერის“ 25 წლის მეკარე **ემილიანო ვივიანო** „არსენალს“ მოსწონს და ჩრდილოლონდონელთა თავკაცი, **არსენ ვენგერი** მილანელებს მასში 8 მილიონ ფუნტს ანუ თითქმის 9 მილიონ ევროს სთავაზობს. ამბობენ, რომ ვენგერი ვივიანოს ყიდვამდე ესპანელი **მანუელ ალმუნიას** გაყიდვას აპირებს — ყველაფრის მოსწრება უნდა.

საინტერესოა, რომ წარმოშობით ფლორენციელი ვივიანო „ნერაძურიმ“ „ბოლონიასგან“ სულ ახლახან გამოისყიდა — 4,2 მილიონი ევრო გადაუხადა. მანამდე გოლკიპერი ერთბაშად ორი კლუბის საკუთრება გახლდათ და ბოლო ორი წლის განმავლობაში „ბოლონიაში“ თამაშობდა. აქ, მას 72 შეხვედრა აქვს ჩატარებული. იტალიის ნაკრებში კი ვივიანო ხუთჯერ მიუწვევიათ.

ემილიანო ვივიანო მაღალია, 195 სანტიმეტრი გახლავთ. არ არის გამორიცხული, რომ მას „არსენალის“ წინადადება ძალიან გაუხარდეს, რადგან, ჯერ ერთი „არსენალი“ „ინტერზე“ უსახელო გუნდი არ არის და მეორეც, **ვოიცეხ შჩესნის** კონკურენტობა **ჟულიო სეზარის** სათადარიგოობას უნდა სჯობდეს.

რაც შეეხება ალმუნიას, მან გასულ სეზონში რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და გულშემატკივრებმა ვენგერს კატეგორიულად დაუყენეს საიმედო გოლკიპერის ყიდვის საკითხი. სხვა საქმეა, რომ ვივიანოს შეძენა იმას ნიშნავს, რომ ვენგერს მისთვის უფრო სასურველ **უგო ლორისში** „ლიონისთვის“ 22 მილიონი ევროს გადახდის საშუალება არ აქვს.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარსელი

# ვიცე-ჩემპიონი ძლიერდება

მარსელის „ოლიმპიკმა" უკვე მესამე ახალწვეულის (**მორგან ამალფიტანოსა** და **ჟერემი მორელის** შემდეგ) შეძენის თაობაზე გააკეთა ოფიციალური განცხადება. **ტაიე ტაივოსა** და **გაბრიელ ჰაინცეს** წასვლის შემდეგ ვიცე-ჩემპიონებმა პრიორიტეტად დაცვის გაძლიერება დაისახეს. ბოლო შენაძენიც სწორედ უკანახაზელია - „მონაკოს" 21 წლის კამერუნელი ლეგიონერი **ნიკოლას ნკულუ**. ფრანგული ვებგვერდების ცნობით, კლუბებმა შეთანხმება მცირე დროში მოახერხეს. საინტერესო ის არის, რომ **დიდიე დეშამს** ნიკოლას გამოყენება რამდენიმე პოზიციაზე შეეძლება. კამერუნელს თანაბრად ძლიერად შეუძლია ფლანგის მცველად და საყრდენ ნახევარმცველად ასპარეზობა, მას უთამაშია ასევე კლასიკური სტოპერის ადგილზეც.



მარსელის ახალწვეული ნიკოლას ნკულუ

ნკულუ „მონაკოში" 2007 წლიდან ირიცხებოდა. პირველ ეტაპზე ის გუნდის დუბლების წევრად მიიჩნეოდა, შემდგომ ნელ-ნელა გაუშინაურდა ძირითად გუნდს და 2008-09 წლების სეზონიდან უკვე ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა. ამავე პერიოდიდან იწვევენ მას კამერუნის ნაკრებშიც. ეროვნულ გუნდში დებიუტის დღიდან შეუცვლელ ფეხბურთელად იქცა. „მოუთვინიერებელი ლომების" შემადგენლობაში მან 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა, თუმცა დიდი ვერაფერი თამაში აჩვენა, ისევე როგორც მთლიანად მისმა გუნდმა. ნიკოლას ბედმა არც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდგომ გაუღიმა. „მონაკო" ჯერ აუტსაიდერებში გაერია, შემდგომ კი სულაც ლიგა 2-ში გავარდა, რიც გამოც მონეგასკებს წამყვან ფეხბურთელებთან განშორება მოუხდათ. მათ რიცხვში აღმოჩნდა ნკულუც. მისი გადაბირება რამდენიმე ფრანგულ კლუბს სურდა, მაგრამ ფეხბურთელმა არჩევანი „მარსელის" სასარგებლოდ გააკეთა. პროვანსელებმა მასში 3,5 მილიონი ევრო გადაიხადეს. სატრანსფერო დოკუმენტებში გათვალისწინებულია ასევე სხვა ბონუსებიც.

„მარსელის" ფანებისთვის სხვა სასიამოვნო ინფორმაციებიც გვაქვს: „ეკიპის" ცნობით, 31 წლის **ალუ დიარას** ტრანსფერთან დაკავშირებით „ბორდოსა" და „ოლიმპიკს" შორის მცირე დეტალებიღაა გასარკვევი, რომლის მოგვარებას ისინი რამდენიმე დღეში შეეცდებიან. სასიხარულოა ასევე ისიც, რომ 25 წლის კამერუნელმა საყრდენმა ნახევარმცველმა **სტეფან მბიამ** კლუბთან ახალი 4-წლიანი კონტრაქტის დადებაზე თანხმობა განაცხადა.

სკანდალი



# მექსიკელები დაისაჯნენ

მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ იმ 8 ფეხბურთელს, ვინც სანაკრებო შეკრების დროს გუნდისთვის დაწესებული რეჟიმი დაარღვია, 6-6-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ესენი არიან: **ისრაელ ხიმენესი, ნესტორ ვიდრიო, ჯონათან დოს სანტოსი, მარკო ფაბიანი, ხორხე ერნანდესი, ხავიერ კორტესი, დავიდ კაბრერა** და **ნესტორ კალდერონი**. ისინი ავტომატურად გამოტოვებენ კოპა ამერიკას. ნაკრების პრესატაშე **ექტორ გონსალეს ინიარიტუ** მოერიდა იმ მიზეზის დასახელებას, რის გამოც ფეხბურთელებს ასეთი მკაცრი სასჯელი დაეკისრათ, თუმცა მის ზოგად კომენტარს მაინც შემოგთავაზებთ: *"დეტალებზე ლაპარაკს არ დავიწყებ. გეტყვით, რომ ფეხბურთელებმა დისციპლინური კოდექსი დაარღვიეს. ისინი წუხან მომხდარის გამო და ჩადენილ საქციელს ინანიებენ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, მათ ეს საქციელი ჩაიდინეს და ამისთვის უნდა დაისაჯონ".*

ნაკრების ფეხბურთელების სახელს ინიარიტუ კი გაუფრთხილდა, მაგრამ სიმართლე მაინც არ დაიმალა. ეკვადორულმა ტელევიზიამ ამ საქმეს სპეციალური გადაცემაც კი მიუძღვნა. ეთერში აჩვენეს სასტუმროს უსაფრთხოების კამერებით გადაღებული კადრები, სადაც კარგად ჩანს, რომ ფეხბურთელებთან სტუმრად 4 მეძავი მიდის. აღნიშნულ ორგიაში სწორედ ეს რვა ფეხბურთელი მონაწილეობდა. გარდა იმისა, რომ ნაკრებიდან მოიკვეთნენ, სპორტსმენებმა აღმოაჩინეს, რომ "საპატიო სტუმრების" გაცილების შემდეგ ბევრმა მათგანმა ნოუთბუქები, აიპედები და მობილური ტელეფონები დაკარგა.

ჰოლანდიური ამბები

# რაიკაარდი, ნეესკენსი და სხვები

"ბარსასა" და "გალათასარაის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი, 48 წლის **ფრანკ რაიკაარდი** საუდის არაბეთის ნაკრების დამრიგებლად დაინიშნა. ყველაფერი უკვე შეთანხმებულია, 3-წლიან ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ოფიციალური ცერემონია კი დღეს ლონდონში უნდა შედგეს. კონტრაქტის თანახმად ფრანკი 11 მილიონ ევროს მიიღებს.

ახალ სამუშაოს მოჰკიდა ხელი მეორე ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა, "გალაში" რაიკაარდის ყოფილმა თანაშემწე **იოჰან ნეესკენსმაც**, არა ისეთ მაღალანაზღაურებადს, როგორსაც ფრანკმა, მაგრამ მაინც. 1974 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა სამხრეთაფრიკული "მამელოდი სანდაუნზი" ჩაიბარა. აღნიშნულ ინფორმაციას გერმანული "ბილდი" ავრცელებს. 59 წლის სპეციალისტს დამოუკიდებლად მუშაობის დიდი გამოცდილება მაინცდამაინც არ აქვს. აქამდე მას "ბრედაში", ჰოლანდიის მეორე ნაკრებსა და გერმანულ "ზინგენში" (ეს უკანასკნელი სამოყვარულო ლიგაში ასპარეზობს) უმუშავია. ასისტენტად კი ნეესკენსი ჰოლანდიისა და ავსტრალიის ეროვნულ გუნდებში, ასევე "ბარსელონაში" ირჯებოდა.



ჟორჟინიო ვაინალდუმი კარიერის გადასარჩენად ფეიენოორდიდან გარბის

ახლა ჰოლანდიურ საკლუბო ფეხბურთს მივხედოთ... მაშ ასე, ტიტების ქვეყანაში ყველაზე აქტუალური საკითხი დღეს **დემი დე ზეუვის** მოსკოვის "სპარტაკში" გადასვლა-არგადასვლაა. "დე ტელეგრააფის" ცნობით, 28 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა მოსკოვურ კლუბთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, "აიაქსმა" კი ფეხბურთელის ტრანსფერში 6 მილიონი ევრო მიიღო. აღნიშნულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ ერთი მხრივ დე ზეუვის აგენტი **ედვინ ოლდე რიკერინგი**, მეორე მხრივ **ფრანკ დე ბური**. მოლაპარაკებები მიდის, მაგრამ საქმეს გადაწყვეტამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლიაო, ამბობენ ისინი. საკითხის გასარკვევად რიკერინგს რუსი ჟურნალისტები დაუკავშირდნენ.

- ნუ გჯერათ ყველაფრის, რაც ჰოლანდიურ პრესაში იწერება. არ დაგიმალავთ, მოლაპარაკებები მიდის, დემი "სპარტაკის" წინადადებით დაინტერესებულია, მაგრამ ამას იქით საქმე არ წასულა.

**- ჩვენი ჰოლანდიელი კოლეგები ამტკიცებენ, რომ თქვენ მალე ეწვევით მოსკოვს, რათა დასკვნითი პუნქტები შეათანხმოთ.**

- დღეს მე ჰოლანდიაში ვარ.

ახლა კი ფრანკ დე ბურის კომენტარს შემოგთავაზებთ: *"თუკი "სპარტაკი" გადაიხდის იმ თანხას, რასაც ჩვენ ფეხბურთელში ვითხოვთ, დემის შეეძლება წასვლა,"* – უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთმანეთში კლუბები ვერ თანხმდებიან.

საინტერესო ამბები ხდება "ეინდჰოვენის" თავს. ფილიპსელები პრაქტიკულად შეუთანხმდნენ "ფეიენოორდს" **ჟორჟინიო ვაინალდუმის** ტრანსფერთან დაკავშირებით. "ფეიე" იძულებული გახდა ამ ნაბიჯზე წასულიყო, რადგან ჟორჟინიოს კონტრაქტს ვადა მომავალ წელს ეწურებოდა, ფეხბურთელმა კი მის გაგრძელებაზე უარი თქვა. უნიჭიერესი მარჯვენა ნახევარმცველი როტერდამული კლუბის აღზრდილია და ძირითად გუნდში 2007 წლიდან თამაშობდა. სულ ერედივიზიეში მან 110 თამაში ჩაატარა და 22 გოლი გაიტანა. პსვ-ს დამრიგებელი **ფრედ რუტენი** ისეთ ფეხბურთელებს ეძებს, რომელთაც არ ეშინიათ ინიციატივის აღება, 20 წლის ჰოლანდიელი კი სწორედ ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება.

ვაინალდუმის გარდა პსვ-ს კიდევ ორი ფეხბურთელის ტრანსფერი "უდგას წკიპზე". კლუბის გენერალურმა დირექტორმა **მარსელ ბრანდსმა** განაცხადა, რომ "უტრეხტის" ორი ნახევარმცველი, 21 წლის ჰოლანდიელი **კევინ სტროოტმანი** და 24 წლის ბელგიელი **დრის მარტენი**, მომდევნო სეზონში სავარაუდოდ მათთან ითამაშებს. რუტენის განცხადებით ის მარტენს "ანჟიში" გადასული **ბალაშ ჯუჯაკის** შემცვლელად განიხილავს.

აქვე გეტყვით, რომ ქალაქ ეინდჰოვენის ადმინისტრაციამ კლუბის უმძიმესი ფინანსური პრობლემები გაითვალისწინა და მას 49 მილიონი ევროს დაბალპროცენტიანი სესხი გამოუყო. 45-ს კლუბი უახლოეს ხანებში მიიღებს, დანარჩენ 4-ს კი უახლოესი 10 წლის განმავლობაში.

დაბოლოს, საკლუბო ამბები "ალკმაარის" შესახებ მცირე ინფორმაციით მოვილიოთ. ჰოლანდიის 2009 წლის ჩემპიონების ტექნიკურმა დირექტორმა, ვეტერანმა ამერიკელმა ფეხბურთელმა **ერნი სტიუარტმა** ერედივიზიეში მისი თანამემამულე **ჯოზი ალტიდორის** შესაძლო გადაბარგებაზე განცხადება გააკეთა. 21 წლის ამერიკელმა ბოლო სეზონი იჯარით თურქულ "ბურსასპორში" გაატარა. მისი კონტრაქტი "ვილიარეალს" ეკუთვნის. ესპანელები სულაც არ არის ან წინააღმდეგნი, თუკი თავდამსხმელი მომდევნო სეზონსაც სხვაგან გაატარებს. აი, რას აცხადებს სტიუარტი: *"ჯოზისთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. ის მართლა კარგი ფეხბურთელია და ჩვენი ინტერესიც სწორედ აქედან მოდის. ამჟამად ვმუშაობთ, რომ ჩვენი ერთ-ერთი თავდამსხმელი გავყიდოთ, რათა მისთვის ადგილი გამოვათავისუფლოთ".* თავად ფეხბურთელი ოფიციალურ განცხადებებს ჯერჯერობით მხოლოდ ტვიტერზე თავის გვერდზე წერს - "ჰოლანდიური ენის სწავლა ძალიან რთული იქნება," – ამბობს ის.

ამბები



დავიდ დე ხეა (მარცხნივ) და ალექს ფერგიუსონი

## ეშმაკი დე ხეა

"მანჩესტერიუნაიტედმა" ოფიციალურად დაადასტურა მადრიდის "ატლეტიკოდან" უნიჭიერესი მეკარის, 20 წლის **დავიდ დე ხეას** ტრანსფერი. ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელთან "ეშმაკებმა" 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმეს. კონკრეტული თანხა, რომელიც მანკუნიანელებმა მადრიდელებს გადაუხადეს, არ სახელდება, თუმცა ესპანური ვებგვერდები ერთხმად წერენ, რომ დავიდის შეძენა მათ 20 მილიონი ფუნტი დაუჯდათ. რამდენიმე დღის წინ ჩვენ უკვე ვწერდით, რომ მეკარე მანჩესტერის კლინიკაში სამედიცინო შემოწმებას გაივლიდა და კლუბთან პირადი კონტრაქტის დეტალებს საბოლოოდ შეათანხმებდა. მას მერე 48 საათიც არ გასულა და თავის მხრივ კლუბებმა უკვე ერთმანეთშიც მოილაპარაკეს.

*"მეამაყება და უკვე ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება სეზონი. მაშინ, როცა შენი სამსახურით ისეთი დიდი კლუბი ინტერესდება, როგორიც "მანჩესტერ იუნაიტედია", თავს უკვე გრძნობ ბედნიერად. ჩემთვის ამ კლუბის წევრობა უფრო მეტი მოტივაციის წყარო იქნება. ამიერიდან უფრო მეტს ვიშრომებ, რათა ყველაფერი ვაჩვენო, რაც შემიძლია. ეს უზარმაზარი პრივილეგიაა და მე მინდა, რომ ჩემი თავი აქ საუკეთესო კუთხით წარმოვაჩინო,"* – აცხადებს დავიდ დე ხეა.

## კიდევ ერთი კორეელი

"როიტერის" ინფორმაციით, სამხრეთ კორეის ნაკრების თავდამსხმელი **ჩოი სუნ კუკი** ბოლოს დროს ქვეყანაში აგორებულ კორუფციულ სკანდალში გაეხვია. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ კორეელის აღიარება მისივე ინიციატივა იყო. რა სანქციებს მიმართავენ მის წინააღმდეგ, ბუნებრივია, ჯერჯერობით უცნობია. გამოძიებას ამ ეტაპზე 10 ბრალდებული ჰყავს. მათ შორის ერთს, 27 წლის **კიმ დონ ჰენმა** ფედერაციისგან უკვე მიიღო სამუდამო დისკვალიფიკაცია.

## კიუელი უფასოდ

ავსტრალიური ფეხბურთის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელმა **ჰარი კიუელმა** კარიერის სამშობლოში გაგრძელების პერსპექტივაზე ილაპარაკა. ის იმდენად მონდომებულია, რომ მწვანე კონტინენტზე კლუბებს საკუთარ თავს უფასოდ სთავაზობს. ჰარი აცხადებს, რომ მზადაა ანაზღაურების გარეშე ითამაშოს. თუმცა აქ ერთი პირობაა, ის დამსაქმებლებისგან მისი წყალობით გაყიდული ბილეთებისა და მოზიდული ინვესტორების მიერ კლუბში დახარჯული თანხის გარკვეულ წილს ითხოვს. ავსტრალიური კლუბები უკვე დაინტერესდნენ 32 წლის ვეტერანის სამსახურით. უკვე დაიწერა, რომ კიუელს კონტრაქტი შესთავაზეს "სიდნეიმ", "მელბურნმა" და "ბრისბენმა".

შეგახსენებთ, რომ კიუელი 1-ლი ივლისიდან თავისუფალი აგენტის სტატუსს მოიპოვებს. შესაბამისად, კლუბებს მასთან კონტრაქტის გაფორმება ერთი ცენტიც არ დაუჯდებათ.

გვერი მოამზადა

**ლევან ბიბილაშვილმა**

ინტერვიუ. მარტა



# აქ სექსი არ მაქვს, ვისთან უნდა მქონდეს?

## გულახდილი საუბარი მსოფლიოს საუკეთესო ქალ ფეხბურთელთან

2006 წლის შემდეგ მარტა ზედიზედ ხუთჯერ გახდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ქალი

**ქალთა ფეხბურთი ყურადღების ცენტრში ძალიან იშვიათადა ხდება ხოლმე და ახლა სწორედ ის იშვიათი შემთხვევაა, რადგან გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. მუნდიალის ერთ-ერთმა ფავორიტმა, ბრაზილიის ნაკრებმა ასპარეზობა გუშინ დაიწყო, მანამდე კი, ჩვენი გერმანელი კოლეგები, კერძოდ გაზეთ „ბილდის" რედაქტორები მსოფლიოს საუკეთესო ქალ ფეხბურთელს, 25 წლის მარტას შეხვდნენ – ინტერვიუ ძალიან საინტერესო გამოვიდა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ 2006 წლის შემდეგ მარტა ზედიზედ ხუთჯერ გახდა წლის საუკეთესო ფეხბურთელი ქალი, რომ მაშინვე მივხვდებით, რატომაა ბრაზილიელი ყურადღების ცენტრში. ქალების „სელესაოსთვის" მას 51 მატჩში 53 გოლი აქვს გატანილი. კიდევ გიკვირთ, რომ მარტას „კაბიან პელეს" ეძახიან?**

**- მარტა, ხალხს ჰგონია, რომ ქალი ფეხბურთელები ქალურები არ არიან, მაგრამ აი, ჩვენ ვხედავთ, რომ ფეხის ფრჩხილები ცისფრად გაქვთ შეღებილი...**

- არ ვიცი, ვის რა ჰგონია, მე ის ვიცი, რომ როცა ქალი ფეხბურთს თამაშობს და თანაც კარგად, ეს განსაკუთრებული შემთხვევაა. რაც შეეხება ჩემს ფრჩხილებს, მით უმეტეს, ფეხისას, ხან ცისფრად ვიღებავ, ხან ლურჯად, ხან წითლად და ხანაც ყვითლად. უმეტესად ბრაზილიის დროშის ფერებს ვირჩევ ხოლმე. აბა, დამაკვირდით, ხომ ლამაზი ფეხები მაქვს? თქვენც იტყვით, რომ ქალური არ ვარ?

**- ფეხები მართლაც ძალიან ლამაზი და მოვლილი გაქვთ.**

- რა თქმა უნდა! სხეულს ყოველდღე ვუვლი. ვერ ვიტან, როცა ქალს მოუვლელი ფეხები აქვს. ამაზე დიდი საშინელება არაფერია.

**- ქალ ფეხბურთელთა შორის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორი ხართ. რამდენ გოლს გაიტანს თქვენი მარცხენა, აი, ეს ფეხი ამ მუნდიალზე?**

- იმდენს, რამდენიც მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იქნება საკმარისი. ჩვენ აქ იმისთვის ჩამოვედით, რომ შევძლოთ ის, რაც კაცების „სელესაომ" ბოლოს მხოლოდ 2002 წელს მოახერხა. დიახ, ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონობა გვინდა და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ სამშობლოში მსოფლიოს თასით ხელდამშვენებულები დავბრუნდეთ.

**- მხოლოდ ჩემპიონობა დაგაკმაყოფილებთ?**

- მხოლოდ ჩემპიონობა! დიდი ხანია, ამაზე ვოცნებობ და არ მინდა, რომ ეს ოცნება აუხდენელი დამრჩეს.

**- ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირების დროს ფეხბურთელ მამაკაცებს სექსს უკრძალავენ ხოლმე, რადგან სხვადასხვა მკვლევარებმა არაერთხელ დაადგინეს, რომ მნიშვნელოვანი თამაშის წინ სექსი მამაკაცისთვის არ არის რეკომენდებული. აი, ქალების შემთხვევაში კი პირიქითაა – ამბობენ, მატჩის წინ სექსი ქალზე კარგად მოქმედებს და აუცილებელიცააო. თქვენს შემთხვევაში როგორ არის საქმე?**

- სიმართლე გითხრათ, ამაზე არ მიფიქრია. ჩემი აზრით, ეს არ არის პრობლემატური საკითხი – თუ გინდა, გექნება, თუ არა და არა. ფაქტია, რომ ახლა სექსი არ მაქვს, ან აქ ვისთან უნდა მქონდეს? (იცინის). ესეც რომ არ იყოს, მწვრთნელმაც აგვიკრძალა, ოღონდ არ ვიცი, რატომ. მოკლედ, მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე როგორმე უსექსოდაც გავძლებ.

**- ფეხბურთელები მატჩის დროს საკმაოდ ხშირად იფურთხებიან, თქვენც?**

- არასდროს! კაცი ფეხბურთელები ხშირად იფურთხებიან, ზოგიერთი ქალიც, მაგრამ მე მოედანზე არასდროს ვიფურთხები.

**- ამბობენ, ქალი ფეხბურთელები გაცილებით მშვიდები არიან, ვიდრე მამაკაცებიო...**

- ეს მე არ მეხება. მოედანზე საკმაოდ აგრესიული ვარ.

**- 2007 წელს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდით. ოქროს მედალი ვერც 2004 და 2008 წლების ოლიმპიადებზე მოიპოვეთ. ბოლოს და ბოლოს, არის თუ არა მზად ბრაზილიის ქალთა საფეხბურთო ნაკრები იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს?**

- ფაქტი ის არის, რომ ასეთი ძლიერი გუნდი არასდროს გვყოლია. თამამად ვიტყვი, რომ დღეს ყველაზე ძლიერი გუნდი გვყავს და ძალიან გვინდა, რომ თასი ავიღოთ. ბრაზილიაში არ გვალიარებენ, ხშირად ამბობენ, ქალებს მსოფლიოს ჩემპიონობა არ შეუძლიათო და ჩვენ საპირისპიროს დამტკიცება გვინდა. ერთი სიტყვით, ჩემი აზრით, მოვიდა დრო, რომ თასი ავიღოთ.

**- მაგრამ მთავარი ფავორიტი ტურნირის მასპინძელი გერმანიაა...**

- მართალია. გარდა იმისა, რომ გერმანიას ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავს, ბირგიტ პრინცი და კომპანია ახლა საკუთარ კედლებში თამაშობენ, რაც მათ უდიდეს უპირატესობას აძლევს.

**- ჩელია ოკოინო და მბაბი როგორ მოგეწონათ?**

- ძალიან კარგი ფეხბურთელია. ვნახე, როგორი გოლი გაუტანა კანადას და მის შესაძლებლობებში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. თანაც, ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და მთელი კარიერა წინ აქვს.

**- ძალიან დიდი ხანია, უმაღლეს დონეზე თამაშობთ. როგორ ახერხებთ ამას?**

- არასდროს ვნებდები და მაქსიმუმს ვაკეთებ იმისათვის, რომ მუდმივად ფორმაში ვიყო. ასეთი მონდომებითა და კონცენტრაციით რომ არ ვიმუშაო, სხვები აუცილებლად მაჯობებენ, მაგრამ მინდა ყველას ვუთხრა: მარტას კიდევ დიდხანს ვერ აჯობებთ!

**გოტფრიდ ლენცი**

სავარაუდო ტრანსფერი

# სანტონი გაურკვევლობაშია



სანტონს "ინტერში" უნდა

"გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "რომას" მთავარი მწვრთნელი **ლუის ენრიკე დავიდე სანტონის** გადაბირებით არის დაინტერესებული. 20 წლის მცველი "ინტერის" საკუთრებაა, თუმცა გასული სეზონი იჯარის წესით "ჩეზენაში" გაატარა. ისეთი პირი უჩანს, რომ სანტონი "ინტერს" არც მომდევნო სეზონში დასჭირდება, შესაბამისად, მისი სხვა გუნდში გასვლის საკითხი დგას დღის წესრიგში. ნიჭიერი უკანახაზელის გაყიდვას "რომას' მესვეურები ერიდებიან და სურთ, რომ დავიდე კიდევ ერთი სეზონით გაანათხოვრონ. მაგრამ, მოვლენათა ასეთ განვითარებას თავად ფეხბურთელი აპროტესტებს და შემდეგს აცხადებს:

*"ჩემი სურვილია, რომ "ინტერში" დავრჩე და ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ვიბრძოლო. თუმცა, კარგად მესმის, რომ ეს მხოლოდ ჩემზე არაა დამოკიდებული და შესაძლოა, კლუბმა ჩემი სხვაგან გაშვება მოისურვოს. ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად ტრანსფერი უნდა შედგეს, რადგან არენდით ასპარეზობის სურვილი აღარ მაქვს. ვიცი, რომ ჩემით "რომას" მესვეურები არიან დაინტერესებულნი და წინააღმდეგი არ ვიქნები თუ დედაქალაქში მომიწევს გადაბარგება".*

სანტონის "რომაში" გაშვების წინააღმდეგნი არც მილანელები არიან, მაგრამ როგორც ზემოთ ვთქვით, მხოლოდ არენდის წესით. "ნერაძურის" გენერალურ დირექტორ **მარკო ბრანკას** ამ საკითხზე შემდეგი მოსაზრება აქვს: *"უახლოეს დღეებში ჯანპიერო გასპერინისთან ვაპირებ შეხვედრას და მას დავიდე სანტონზეც ჩამოვუგდებ სიტყვას. თუ მისი ეიმედება და გუნდში დატოვების სურვილი აქვს, მაშინ ყველა პრობლემა მოიხსნება – წინააღმდეგ შემთხვევაში კი ან უნდა გავანათხოვროთ, ანაც გავყიდოთ. თავად ფეხბურთელს საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება არ სურს და ბუნებრივია, მისი პოზიციის გათვალისწინებაც მოგვიწევს".*

ყველაფერი მართლაც **გასპერინის** სიტყვაზეა დამოკიდებული – აქვე უნდა ვთქვა, რომ სანტონის "ჩეზენაში" გაშვების სანაცვლოდ, "ინტერში" **ნაგატომო** გადაბარგდა - თუ დავიდემ "ბიანკონერი" დატოვა და საქმეს სწორედ ასეთი პირი უჩანს, მაშინ მილანური გრანდის მესვეურებს იაპონელის დათმობა, ან გამოსყიდვა მოუწევთ – ესეც იმაზე იქნება დამოკიდებული, რას იტყვის ჯანპიერო გასპერინი.

**ლაშა ნიკლაური**

შალკე



ჯეფერსონ ფარფანი და ბენედიქტ ჰიოვედესი

# ჰიოვედესი კაპიტნად? ფარფანი უნდა დარჩეს!

## პროფესორ რანგნიკის განხორციელებული და განსახორციელებელი გეგმები

ბუნდესლიგის ახალი სეზონის დაწყებამდე ჯერ თვეზე მეტია დარჩენილი, მაგრამ გერმანული კლუბები უკვე გამალებულ მზადებაში არიან. ყველაზე დიდი ცვლილებები ამ ეტაპზე „შალკეში" ხდება – გუნდის ახალი მწვრთნელი **რალფ რანგნიკი** სერიოზულ რეორგანიზაციას ატარებს. მან უკვე გაუშვა 13 ფეხბურთელი და ამბობს, წმენდა კიდევ გაგრძელდება, რადგან ფელიქს მაგათს ზედმეტად ბევრი მოთამაშე ჰყავდა, მე კი ამხელა განაცხადი არ მჭირდებაო. ამასთან, „შალკეში" ახალ ფეხბურთელებზეც ფიქრობენ. გარდა ამისა, ჯერაც გაურკვეველია, ვინ იქნება გუნდის ახალი კაპიტანი მას მერე, რაც **მანუელ ნოიერი** „ბაიერნში" გადავიდა.

გერმანიის თასის მფლობელი „შალკე" ახალი სეზონისთვის ორშაბათის შემდეგ ემზადება. ტაქტიკისა თუ ფიზიკური კონდიციების აღდგენის გარდა, მთავარ მწვრთნელ რალფ რანგნიკსა და მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტს** საკადრო სამუშაოების მხრივაც ძალიან ბევრი საქმე აქვთ. მათ უკვე დაითხოვეს 13 ფეხბურთელი (ამაზე რამდენიმე დღის წინაც ვწერდით და ახლა აღარ დავკონკრეტდებით) და კიდევ რამდენიმე მოთამაშესთან გამოთხოვებას გეგმავენ, რადგან „პროფესორ რალფს" განაცხადში 24-25 ფეხბურთელზე მეტი არ სჭირდება.

წასვლის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატი საყრდენი ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯონსია**, რომელიც რანგნიკის წინამორბედმა მაგათმა მოკვეთა და აშშ-ის ნაკრების ფეხბურთელმა გასული სეზონი არენდით „ბლექბერნში" გაატარა. „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში რანგნიკი ამბობს, ჯონსმა მითხრა, რომ ინგლისში თავს ძალიან კარგად გრძნობდა და იქ დარჩენა უნდაო. ახლა მთავარი ისაა, რომ „ბლექბერნმა" „შალკეს" კონკრეტული წინადადებით მიმართოს.

ჯონსისგან განსხვავებით, რანგნიკს აბსოლუტურად საპირისპირო მოსაზრება აქვს **ჯეფერსონ ფარფანთან** დაკავშირებით. პერუელ გარემარბს გელზენკირხენულ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული, რანგნიკს და ჰელდტს კი უნდათ, რომ ხელშეკრულება ახლავე გაუგრძელონ – 2015 წლამდე. მათ 26 წლის ფეხბურთელს უკვე მიმართეს კონკრეტული წინადადებით, ფარფანმა კი მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. *„ფარფანს არაფრისდიდებით არ დავთმობთ, მე ის ძალიან მჭირდება,"* - აცხადებს რანგნიკი.

მასთან ერთად, შეუცვლელი ფიგურაა ცენტრალური მცველი **ბენედიქტ ჰიოვედესიც**. მეტიც: დიდია იმის შანსი, რომ ეს უკანასკნელი სულაც გუნდის კაპიტანი გახდეს. *„გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია, მაგრამ არ დაგიმალავთ, რომ ჰიოვედესზე სერიოზულად ვფიქრობ* - ამბობს რანგნიკი „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში, - *მას ყველაფერი აქვს საიმისოდ, რომ გუნდის თავი გახდეს, ბენედიქტი ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს."*

### ჰოლტბი მე-10 ნომრით ითამაშებს

„შალკეს" ყოფილ თავკაც **ფელიქს მაგათს** ექსპერტებმა ერთ-ერთ უდიდეს შეცდომად **ლუის ჰოლტბის** „მაინცში" განათხოვრება ჩაუთვალეს, რადგან 20 წლის შემტევმა ნახევარმცველმა გასული სეზონი „მაინცის" რიგებში უმაღლეს დონეზე ჩაატარა და გერმანიის ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი აღმოჩენა გახდა. ახლა კი, ჰოლტბი ისევ „შალკეში" დაბრუნდა და რაც ყველაზე საინტერესოა, **ლევან ყენიას** კლუბში მე-10 ნომრით ითამაშებს, რაც მის პასუხისმგებლობას აორმაგებს.

*„შალკეში" ჩემი მიზანი ის არის, რომ რეგულარულად ვითამაშო და გუნდს მინიმუმ ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებაში დავეხმარო. 10-ნომრიანი მაისურა არ მითხოვია, მწვრთნელმა და ხელმძღვანელებმა თავიანთი ინიციატივით გადმომცეს და ეს ჩემთვის უდიდესი სიურპრიზი იყო. მართალია, სულერთია, რომელი ნომრით ვითამაშებ, მაგრამ „ათიანის" მნიშვნელობა კარგად მესმის,"* - აცხადებს ჰოლტბი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში უკვე ორი თამაში აქვს ჩატარებული.

„პროფესორი რალფი" კი ახალი ფეხბურთელების შეძენაზეც ფიქრობს. „შალკეში" გადასვლის ერთ-ერთი კანდიდატი „ბრესტის" ფეხბურთელი **ნოლან რუა**, რომელმაც „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა, რომ გელზენკირხენში ეპატიჟებიან. აღსანიშნავია, რომ „ბრესტი" 23 წლის თავდამსხმელში 8 მილიონ ევროს ითხოვს.

### მეკარის საკითხი მოიცდის

ჯერ კიდევ გაურკვევლობაა მეკარის საკითხთან დაკავშირებით და როგორც იცით, ეს საკითხი მანუელ ნოიერის „ბაიერნში" გადასვლის შემდეგ გახდა აქტუალური. ფაქტია, რომ ვეტერანი **იენს ლემანი** „შალკეში" არ ითამაშებს და ამის შესახებ დაწვრილებით უკვე ვწერდით. ამ ეტაპზე რანგნიკი ახალწვეულ **რალფ ფერმანს** ენდობა, მეორე მეკარე კი გამოცდილი **მათიას შობერია**. თუმცა თუ მოსამზადებელი შეკრების შემდეგ „პროფესორი რალფი" დარწმუნდება, რომ ფერმანი პირველობას თავს ვერ გაართმევს, აუცილებლად იფიქრებს ახალ მეკარეზე.

**გოტფრიდ ლენცი**

უცხოური ფეხბურთი

● ესპანეთი. ლა ლიგა. სტატისტიკური მიმოხილვა

# ხელმოცარულნი თუ ოქროს შუალედი

დღეს პრიმერადივიზიონის 10 გუნდის ანალიზს შემოგთავაზებთ, იმათსას, რომელთაც ევროთასების საგზური ვერ მოიპოვეს, თუმცა ელიტაში ადგილი შეინარჩუნეს - მოკლედ გუნდები, რომელთაც მე-8 — მე-17 ადგილები დაიკავეს ჩემპიონატში. ბუნებრივია, „ბარსელონას“ და „რეალს“ თითო გვერდი დავუთმეთ და მეტადაც ჩავუღრმავდით გრანდების სტატისტიკას, ამ ათეულს კი უფრო ზოგადად შევეხებით. მაშ ასე, გავიხსენოთ საბოლოო ცხრილში ამ ათეულის ადგილი...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 8. ესპანიოლი | 38 | 15 | 4 | 19 | 46-55 | 49 |
| 9. ოსასუნა | 38 | 13 | 8 | 17 | 45-46 | 47 |
| 10. სპორტინგი | 38 | 11 | 14 | 13 | 35-42 | 47 |
| 11. მალაგა | 38 | 13 | 7 | 18 | 54-68 | 46 |
| 12. რასინგი | 38 | 12 | 10 | 16 | 41-56 | 46 |
| 13. სარაგოსა | 38 | 12 | 9 | 17 | 40-53 | 45 |
| 14. ლევანტე | 38 | 12 | 9 | 17 | 41-52 | 45 |
| 15. სოსიედადი | 38 | 14 | 3 | 21 | 49-66 | 45 |
| 16. ხეტაფე | 38 | 12 | 8 | 18 | 49-60 | 44 |
| 17. მალიორკა | 38 | 12 | 8 | 18 | 41-56 | 44 |

როგორც ხედავთ, მე-8 ადგილსა და მე-17-ს შორის სულ 5 ქულაა. ანუ ეს 10 კლუბი თითქმის თანაბარძალოვანი იყო, მიუხედავად იმისა, რომ „ესპანიოლს“ სულ ცოტა დააკლდა ევროსაგზურის მოპოვებამდე, ხოლო „მალიორკა“ გავარდნას გადაურჩა. ყველაზე ცოტა გოლი ასტურიულმა „სპორტინგმა“ გაიტანა - 35, ყველაზე მეტი კი - 49-49 „რეალ სოსიედადისა“ და „ხეტაფეს“ ანგარიშზეა. სამაგიეროდ, „სპორტინგი“ ამ გუნდებში ყველაზე საიმედო დაცვის ხაზით გამოირჩეოდა - 42 გაშვებული ბურთი, როცა „მალაგამ“ 68 გაუშვა. საოცარია, მაგრამ ამ 10 გუნდიდან ერთსაც კი არ აქვს ბურთების დადებითი ბალანსი - საუკეთესო ვარიანტი „ოსასუნას“ -1-ია, უარესი კი - ბასკთა -17.

## ესპანიოლი

**ტაქტიკური სქემა**: 4-2-3-1 (29 მატჩი)
**დიდი ანგარიშით მოგება**: 4:0 (სარაგოსა)
**დიდი ანგარიშით მარცხი**: 1:5 (ბარსელონა)

**გოლები**: ოსვალდო (13), კალეხონი (6), ლუის გარსია (6), ვერდიუ (5), ა. ვასკესი (4), სერხიო (3), ი. ალონსო (2), ხ. მარკესი (2), დატოლო (2), გალანი (1), რ. კოშტა (ვალენსია) 1 ს.კ; ესტრადა (რეალ სოსიედადი) 1 ს.კ.

**საგოლე პასები**: კალეხონი (7), ვერდიუ (7), ლუის გარსია (7), ოსვალდო (4), ჩიკა (1), დიდაკ ვილა (1), რუი ფონტე (1), ხ. მარკესი (1), დ. გარსია (1), სერხიო (1).

**მეკარეები**: კამენი (33), კ. ალვარესი (5).

**მცველები**: ჩიკა (29), ამატი (26), გალანი (22), ფორლინი (21), დ. გარსია (17), რუისი (15), დიდაკ ვილა (13), როდრიგესი (10), ვ. ალვარესი (1).

**ნახევარმცველები**: ვერდიუ (37), მარკესი (29), ხ. ლოპესი (25), დუშერი (19), ბაენა (15), დატოლო (14), მოლინა (7), ისაიასი (4), დ. ლოპესი (3), ე. ლოპესი (2), დე ლა პენია (2), კორომინასი (1).

**თავდამსხმელები**: კალეხონი (37), ლუის გარსია (37), ა. ვასკესი (30), ოსვალდო (24), სერხიო (21), ი. ალონსო (20), რუი ფონტე (11), ტიევი (2).

**სასტარტო 11 (ოპტიმალური)**: კამენი - გალანი, ფორლინი, ამატი, ჩიკა - ხ. მარკესი, ხ. ლოპესი - ლუის გარსია, ვერდიუ, კალეხონი - ოსვალდო.

**უდისციპლინოები**: ფორლნი (1 წ, 8 ყვ); ვერდიუ (10 ყვ), დუშერი (9), ამატი (9), ლუის გარსია (8).

**ხანგრძლივი ტრავმა**: მატიონი - 186 დღე.

## ოსასუნა

**ტაქტიკური სქემა**: 4-2-3-1 (28 მატჩი)
**დიდი ანგარიშით მოგება**: 4:0 (ერკულესი)
**დიდი ანგარიშით მარცხი**: 0:3 (ატლეტიკო)

**გოლები**: კიკე სოლა (7), ნეკუნამი (6), კამუნიასი (4), არანდა (4), პანდიანი (3), ვადოცი (3), ფლანიო (2), შოჯაეი (2), სეხუდო (2), ლეკიჩი (2), სორიანო (2), ლოლო (2), სერხიო (2), მონრეალი (1), ნელსონი (1), ხუანფრანი (1), კალეხა (1).

**საგოლე პასები**: შოჯაეი (6), პუნიალი (5), კამუნიასი (5), სორიანო (4), არანდა (3), ხუანფრანი (2), სეხუდო (2), მონრეალი (2), სერხიო (2), კალეხა (1), ვადოცი (1)

**მეკარეები**: რიკარდო (38).

**მცველები**: მონრეალი (31), ფლანიო (29), ნელსონი (29), სერხიო (22), კალეხა (18), ხოსეჩო (10), ოიერი (3).

**ნახევარმცველები**: პუნიალი (33), ვადოცი (31), სორიანო (30), ლოლო (27), დამია (27), ნეკუნამი (26), ხუანფრანი (18), შოჯაეი (18), სეხუდო (13), კორომინასი (6), რუპერი (4), ანუნზიატა (1), ტიმორი (1).

**თავდამსხმელები**: კამუნიასი (31), ლეკიჩი (27), პანდიანი (21), არანდა (20), კიკე სოლა (16).

**სასტარტო 11 (ოპტიმალური)**: რიკარდო - ნელსონი, ფლანიო, სერხიო, მონრეალი - პუნიალი, ვადოცი - დამია, სორიანო, კამუნიასი - ლეკიჩი.

**უდისციპლინოები**: პუნიალი (16 ყვ), სორიანო (1 წ, 12 ყვ), სერხიო (2წ, 6 ყვ), დამია (1 წ, 7 ყვ), ნეკუნამი (10 ყვ).

**ხანგრძლივი ტრავმა**: რუპერი - 29 დღე.

## სპორტინგი

**ტაქტიკური სქემა**: 4-2-3-1 (27 მატჩი)
**დიდი ანგარიშით მოგება**: 4:0 (მალიორკა)
**დიდი ანგარიშით მარცხი**: 0:4 (ატლეტიკო)

**გოლები**: დ. კასტრო (9), დე ლას კუევასი (6), ბარალი (5), ნ. ნოვო (4), სანგოი (2), ანდრე კაშტრო (2), ეგურენი (1), ბოტია (1), კასესი (1), აიოსე (1), გრეგორი (1), ობრადოვიჩი (სარაგოსა) 1 ს.კ; კევინი (მალიორკა) 1 ს.კ.

**საგოლე პასები**: დე ლას კუევასი (4), დ. კასტრო (3), ლორა (3), რივერა (2), კასესი (2), კანელია (2), კარმელო (2), ანდრე კაშტრო (1), ხოსე ანხელი (1), აიოსე (1), სანგოი (1)

**მეკარეები**: ხუან პაბლო (25), კუელიარი (13), რაული (1).

**მცველები**: ლორა (36), ბოტია (28), ხოსე ანხელი (26), ი. ერნანდესი (25), გრეგორი (23), კანელია (17), სასტრე (8), ხორხე (5), მენდესი (1), ხავი პოვესი (1).

**ნახევარმცველები**: დე ლას კუევასი (37), ეგურენი (30), რივერა (30), დ. კასტრო (28), კასესი (18), კარმელო (18), ანდრე კაშტრო (16), მორანი (15), ს. ალვარესი (8), მატაბუენა (4), ლანდეირა (1), მუნისი (1), პორტილია (1).

**თავდამსხმელები**: ბარალი (34), ნ. ნოვო (30), სანგოი (19), ბილიჩი (18), აიოსე (13).

**სასტარტო 11 (ოპტიმალური)**: ხუან პაბლო - ლორა, ბოტია, ი. ერნანდესი, ხოსე ანხელი - ეგურენი, რივერა - დე ლას კუევასი, ანდრე კაშტრო, დ. კასტრო - ბარალი.

**უდისციპლინოები**: ბოტია (1 წ, 12 ყვ), ხოსე ანხელი (1, 9), ეგურენი (1, 9), ბარალი (12), ლორა (1, 7).

**ხანგრძლივი ტრავმა**: -

## მალაგა

**ტაქტიკური სქემა**: 4-2-3-1 (20 მატჩი)
**დიდი ანგარიშით მოგება**: 3:0 (მალიორკა)
**დიდი ანგარიშით მარცხი**: 0:7 (რეალი)

**გოლები**: რონდონი (14), ბაპტიშტა (9), ს. ფერნანდესი (7), ხუანმი (4), ელიზეუ (4), დუდა (3), ოვუსუ აბეიე (2), რესიო (2), ფერნანდო (2), აპონიო (2), მარესკა (2), სტადსგაარდი (1), ველიგტონი (1), დემიკელისი (1).

**საგოლე პასები**: ელიზეუ (7), დუდა (6), აპონიო (5), ს. ფერნანდესი (4), გამესი (3), რონდონი (2), ოვუსუ (2), მარესკა (2), რესიო (2), ხუანმი (2), მტილიგა (1), სანდრო სილვა (1), ველიგტონი (1), ეიდინიო (1), კამაჩო (1), ფ. პორტილიო (1).

**მეკარეები**: კაბალიერო (15), არნაუ (9), რუბენი (7), ასენხო (5), გალატო (4).

**მცველები**: ველიგტონი (31), გამესი (30), სტადსგაარდი (25), მტილიგა (19), დემიკელისი (18), გასპარი (9), მ. ტორესი (7), ი. გონსალესი (6), ელდერ როსარიო (3).

**ნახევარმცველები**: ელიზეუ (35), აპონიო (27), სანდრო სილვა (24), რესიო (23), ფერნანდო (21), მარესკა (20), დუდა (20), კამაჩო (15), ბაპტიშტა (11), ხუანიტო (6), ე. რამოსი (5), კალა (1).

**თავდამსხმელები**: ს. ფერნანდესი (30), რონდონი (30), ოვუსუ აბეიე (25), ხუანმი (17), ფ. პორტილიო (17), ედინიო (8), ბა (5), ლუკე (3).

**სასტარტო 11 (ოპტიმალური)**: კაბალიერო - გამესი, ველიგტონი, დემიკელისი, სტადსგაარდი - მარესკა, სანდრო სილვა - ელიზეუ, აპონიო, ს. ფერნანდესი - რონდონი.

**უდისციპლინოები**: ელიზეუ (2 წ, 11 ყვ), დემიკელისი (2, 8), გამესი (1, 9), სანდრო სილვა (8), აპონიო (7).

**ხანგრძლივი ტრავმა**: ასენხო - 137 დღე

## რასინგი

**ტაქტიკური სქემა**: 4-2-3-1 (19 მატჩი)
**დიდი ანგარიშით მოგება**: 4:1 (ოსასუნა)
**დიდი ანგარიშით მარცხი**: 1:6 (რეალი)

**გოლები**: როზენბერგი (9), კენედი (6), ჯ. დოს სანტოსი (5), ნაუელპანი (3), კრისტიანი (3), კოლსა (2), ენრიკე (2), პინილიოსი (2), ლასენი (1), სერანო (1), ბოლადო (1), მუნიტისი (1), არანა (1), ტორეხონი (1), გრეგორი (სპორტინგი) 1 ს.კ; რაკიტიჩი (სევილია) - 1 ს.კ; ნანო (ლევანტე) 1 ს.კ.

**საგოლე პასები**: მუნიტისი (5), ლასენი (3), კენედი (3), სისმა (2), ტორეხონი (2), პინილიოსი (2), დიოპი (2), როზენბერგი (1), არანა (1), ენრიკე (1), ა. გონსალესი (1), ლუკე (1), ფ. პერესი (1), ჯ. დოს სანტოსი (1), ბოლადო (1), კოლსა (1).

**მეკარეები**: ტონიო (37), კუესტა (1).

**მცველები**: ტორეხონი (36), ენრიკე (35), სისმა (32), ფ. პერესი (24), პინილიოსი (20), კრისტიანი (18), ოსმარი (4), ალვარო (3), პონსე (2).

**ნახევარმცველები**: ლასენი (33), კოლსა (31), ა. გონსალესი (23), დიოპი (19), ციოლისი (10), ედუ ბედია (6), სერანო (4), ტატო (2), რამონი (1).

**თავდამსხმელები**: მუნიტისი (36), როზენბერგი (33), კენედი (32), ნაუელპანი (30), ბოლადო (19), ჯ. დოს სანტოსი (16), არანა (14), ლუკე (7), ტჩიტე (1).

**სასტარტო 11 (ოპტიმალური)**: ტონიო - პინილიოსი, ტორეხონი, ენრიკე, სისმა - ლასენი, დიოპი - კენედი, კოლსა, მუნიტისი - როზენბერგი.

**უდისციპლინოები**: როზენბერგი (1 წ, 9 ყვ), მუნიტისი (1, 9), ენრიკე (1, 8), სისმა (1, 7).

**ხანგრძლივი ტრავმა**: სერანო - 198 დღე

## ლევანტე

**ტაქტიკური სქემა**: 4-2-3-1 (25 მატჩი)
**დიდი ანგარიშით მოგება**: 3:1 (რასინგი, მალაგა)
**დიდი ანგარიშით მარცხი**: 1:4 (4 მატჩი)

**გოლები**: კაისედო (13), სტუანი (8), რ. სუარესი (5), ხუანლუ (3), ნანო (2), ხორდა (2), ვალდო (2), სერხიო (2), დელ ორნო (2), ხისკო მუნიოსი (1), ბალესტეროსი (1).

**საგოლე პასები**: ვალდო (8), ხუანლუ (5), რ. სუარესი (3), სტუანი (2), ხისკო მუნიოსი (2), ხისკო ნადალი (2), კაისედო (2), ბალესტეროსი (1), ნანო (1), დელ ორნო (1), ხ. ტორესი (1), სერხიო (1), ხორდა (1).

**მეკარეები**: მუნუა (20), რეინა (18).

**მცველები**: ბალესტეროსი (35), ვენტა (33), ნანო (32), ხუანფრანი (23), დელ ორნო (22), სერა (9), რობუსტე (7), როდასი (5).

**ნახევარმცველები**: ხ. ტორესი (35), ხუანლუ (30), ვალდო (29), პალიარდო (27), იბორა (16), სერხიო (14), ლარეა (6), ი. გონსალესი (3), ლოისი (1).

**თავდამსხმელები**: სტუანი (30), კაისედო (27), რ. სუარესი (27), ხისკო მუნიოსი (26), ხისკო ნადალი (25), ხორდა (17), მონტერო (11), ველინგტონ სილვა (2), მონო (1).

**სასტარტო 11 (ოპტიმალური)**: მუნუა - ვენტა, ბალესტეროსი, ნანო, დელ ორნო - ხ. ტორესი, პალიარდო - ვალდო, რ. სუარესი, ხისკო მუნიოსი - კაისედო.

**უდისციპლინოები**: ბალესტეროსი (11 ყვ), ხუანფრანი (10), იბორა (9), ნანო (9).

**ხანგრძლივი ტრავმა**: ი. გონსალესი - 278 დღე

## სარაგოსა

**ტაქტიკური სქემა**: 4-2-3-1 (21 მატჩი)
**დიდი ანგარიშით მოგება**: 4:0 (ვალენსია)
**დიდი ანგარიშით მარცხი**: 0:4 (ესპანიოლი)

**გოლები**: გაბი (10), ბერტოლო (5), ლაფიტა (4), სინამა პონგოლე (4), იაროშიკი (3), ბრაულიო (3), ანდერი (2), ბუტაჰარი (2), პონსიო (2), მ. პერესი (1), ედმილსონი (1), უჩე (1), ლანცარო (1), დიეგო ალვეში (ალმერია) 1 ს.კ.

**საგოლე პასები**: გაბი (6), უჩე (4), ბრაულიო (4), ანდერი (3), პონსიო (2), იაროშიკი (1), ბუტაჰარი (1), პარედესი (1), ლაფიტა (1).

**მეკარეები**: ლეო ფრანკო (23), ტონი დობლასი (18).

**მცველები**: იაროშიკი (36), დიოგო (33), კონტინი (24), ობრადოვიჩი (20), პარედესი (19), ლანცარო (17), და სილვა (13), ნდავი (9), პინტერი (9).

**ნახევარმცველები**: ბერტოლო (36), გაბი (36), ანდერი (33), პონსიო (32), ლაფიტა (30), ხ. ლოპესი (27), ბუტაჰარი (21), ედმილსონი (12), კევინი (3) - ბრაულიო (27), სინამა პონგოლე (24), მ. პერესი (16), უჩე (14).

**თავდამსხმელები**: -

**სასტარტო 11 (ოპტიმალური)**: ტონი დობლასი - დიოგო, იაროშიკი, კონტინი, ობრადოვიჩი - ბერტოლო, პონსიო - ხ. ლოპესი, გაბი, ლაფიტა - სინამა პონგოლე.

**უდისციპლინოები**: პონსიო (2 წ, 13 ყვ), ანდერი (2, 12), კონტინი (1, 11), დიოგო (14), გაბი (13).

**ხანგრძლივი ტრავმა**: უჩე - 66 დღე.



ჩაბი პრიეტო, „რეალ სოსიედადის“ ლიდერი და პრიმერას ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი (7 გოლი, 13 საგოლე პასი).

## რეალ სოსიედადი

**ტაქტიკური სქემა**: 4-2-3-1 (30 მატჩი)
**დიდი ანგარიშით მოგება**: 4:0 (ხეტაფე)
**დიდი ანგარიშით მარცხი**: 0:5 (ბარსელონა)

**გოლები**: ტამუდო (7), გრიზმანი (7), პრიეტო (7), არანბურუ (5), ხ. ლორენტე (5), აგირეჩე (3), რივასი (2), სუტილი (2), ზურუტუზა (2), იფრანი (2), სარპონგი (1), ანსოტეგი (1), ესტრადა (1), ფორლინი (ესპანიოლი) 1 ს.კ; სან ხოსე (ბილბაო) 1 ს.კ; არბელოა (რეალი) 1 ს.კ; მარტინესი (ბილბაო) 1 ს.კ.

**საგოლე პასები**: პრიეტო (13), ხ. ლორენტე (6), დემიდოვი (2), სარპონგი (2), არანბურუ (2), ესტრადა (2), მიკელი (1), კ. მარტინესი (1), ტამუდო (1), ზურუტუზა (1), რივასი (1), დე ლა ბელა (1), ანსოტეგი (1), გრიზმანი (1).

**მეკარეები**: ბრავო (38).

**მცველები**: მიკელი (32), ანსოტეგი (32), დე ლა ბელა (30), კ. მარტინესი (25), ესტრადა (19), ლაბაკა (13), დემიდოვი (13).

**ნახევარმცველები**: პრიეტო (37), ზურუტუზა (36), რივასი (32), არანბურუ (32), ბერგარა (19), ელუსტონდო (18), სუტილი (17), სარპონგი (16), ილარამენდი (3).

**თავდამსხმელები**: გრიზმანი (37), ტამუდო (31), ხ. ლორენტე (18), აგირეჩე (11), იფრანი (10), ვიგერა (5).

**სასტარტო 11 (ოპტიმალური)**: ბრავო - კ. მარტინესი, ანსოტეგი, მიკელი, დე ლა ბელა - რივასი, არანბურუ - პრიეტო, ზურუტუზა, გრიზმანი - ტამუდო.

**უდისციპლინოები**: რივასი (9 ყვ), მიკელი (7).

**ხანგრძლივი ტრავმა**: იფრანი - 318 დღე

## ხეტაფე

**ტაქტიკური სქემა**: 4-2-3-1 (23 მატჩი)
**დიდი ანგარიშით მოგება**: 4:1 (ლევანტე, დეპორტივო)
**დიდი ანგარიშით მარცხი**: 0:4 (რეალი)

**გოლები**: დელ მორალი (9), მიკუ (7), კოლუნგა (7), რიოსი (7), პარეხო (3), ალბინი (2), გავილანი (2), არისმენდი (2), ბოატენგი (2), ადრი (1), კასკერო (1), კატა დიასი (1), მარკანო (1), ვ. სანჩესი (1), გალანი (ესპანიოლი) 1 ს.კ; კოლოტო (დეპორტივო) 1 ს.კ; ფლანიო (ოსასუნა) 1. ს.კ.

**საგოლე პასები**: გავილანი (7), დელ მორალი (5), პარეხო (4), რიოსი (3), ვ. სანჩესი (3), მიკუ (3), მანე (2), მოსკერა (2), კასკერო (2), ბოატენგი (2), არისმენდი (2), ალბინი (1), კატა დიასი (1), კოლუნგა (1)

**მეკარეები**: კოდინა (23), უსტარი (16)

**მცველები**: კატა დიასი (35), მ. ტორესი (32), მანე (31), მარკანო (29), რაფა (19), პინტოსი (6), მარიო (3).

**ნახევარმცველები**: პარეხო (36), დ. ბოატენგი (32), რიოსი (31), ვ. სანჩესი (29), კასკერო (27), გავილანი (18), მოსკერა (14), ბ. ფერნანდესი (13), ადრი (11).

**თავდამსხმელები**: მიკუ (31), დელ მორალი (30), კოლუნგა (29), არისმენდი (19), ალბინი (18).

**სასტარტო 11 (ოპტიმალური)**: უსტარი - მ. ტორესი, მარკანო, კატა დიასი, მანე - დ. ბოატენგი, კასკერო - დელ მორალი, პარეხო, რიოსი - მიკუ.

**უდისციპლინოები**: კატა დიასი (1 წ, 14 ყვ), დ. ბოატენგი (1 წ, 13 ყვ), მარკანო (1, 10), რაფა (1, 8), ვ. სანჩესი (10).

**ხანგრძლივი ტრავმა**: უსტარი - 31 დღე.

## მალიორკა

**ტაქტიკური სქემა**: 4-2-3-1 (25 მატჩი)
**დიდი ანგარიშით მოგება**: 4:1 (ალმერია)
**დიდი ანგარიშით მარცხი**: 0:4 (სპორტინგი)

**გოლები**: ვებო (11), პერეირა (5), დე გუზმანი (5), გ. კასტრო (5), ნსუე (4), ვიქტორი (3), რამისი (3), იენაგა (2), კავენაგი (2), ნუნიეში (1).

**საგოლე პასები**: ვებო (6), გ. კასტრო (6), დე გუზმანი (4), ნსუე (3), პერეირა (3), მარტი (3), ტეხერა (2), ვიქტორი (2), ჟოაო ვიქტორი (1), აიოსე (1).

**მეკარეები**: ავატე (35), ლუქსი (4).

**მცველები**: ნუნიეში (34), რამისი (33), სენდროსი (31), აიოსე (19), კევინი (19), რ. გონსალესი (12), ედსონ რამოსი (7), მარტი (5), კორალესი (2).

**ნახევარმცველები**: მარტი (34), დე გუზმანი (33), გ. კასტრო (33), ჟოაო ვიქტორი (32), ტეხერა (16), იენაგა (14), პინა (9).

**თავდამსხმელები**: ნსუე (38), მ. პერეირა (35), ვებო (34), ვიქტორი (19), კავენაგი (11), ენრიხი (5).

**სასტარტო 11 (ოპტიმალური)**: ავატე - სენდროსი, რამისი, ნუნიეში, აიოსე - მარტი, დე გუზმანი - მ. პერეირა, ნსუე, გ. კასტრო - ვებო.

**უდისციპლინოები**: ვებო (1 წ, 8 ყვ), ნუნიეში (1, 7), დე გუზმანი (1, 6), მარტი (9), აიოსე (8).

**ხანგრძლივი ტრავმა**: -

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრება

# დელიო როსი: ფერგიუსონს იტალიაში გაუჭირდებოდა



**"ინტერის" მთავარი მწვრთნელობის დიდი სურვილი ჰქონდა დელიო როსის, მაგრამ მილანური გრანდის მესვეურებმა არჩევანი ჯანპიერო გასპერინიზე შეაჩერეს – საერთოდ, ამბობენ, რომ როსი უიღბლო სპეციალისტია, რომელსაც ისე არ აფასებენ, როგორც იმსახურებს. სენიორ დელიომ თავისი მოსაზრებები "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტს გაუზიარა და რამდენიმე საინტერესო საკითხზე ისაუბრა...**

## ინტერი

არაერთხელ და საჯაროდ განვაცხადე იმის შესახებ, რომ "ინტერის" მთავარი მწვრთნელობა მსურდა, მაგრამ **მასიმო მორატიმ** არჩევანი **ჯანპიერო გასპერინიზე** შეაჩერა. ჯანპიერო ჩემი მეგობარია, შესანიშნავი სპეციალისტი და მინდა მას წარმატებები ვუსურვო. მორატიმ სათანადო გადაწყვეტილება მიიღო, ვფიქრობ, რომ გასპერინი კარგად გაართმევს მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავს და "ინტერს" თავის ხელს მალევე დაატყობს.

თუმცა, არის მეორე ფაქტორი, რასაც მორატის ვერაფრით გავუგებ – როდესაც **ჟოზე მოურინიო** წავიდა გუნდიდან, მის შემცვლელად ლეონარდო დაინიშნა, რომელიც გასპერინისგან რადიკალურად განსხვავებული სპეციალისტია. ეს იმას ნიშნავს, რომ დღევანდელ "ინტერს" არავითარი საფეხბურთო ფილოსოფია არ აქვს, რაც ჩემი აზრით, დიდი მინუსია. შევხედოთ "ბარსელონას", რომელიც დღეს აშკარად საუკეთესო გუნდია მსოფლიოში – ამ გუნდს აქვს თავისი სტილი და მწვრთნელები თუ ფეხბურთელები სწორედ ამის მიხედვით ირჩევიან. ამიტომაც არის, რომ "ბარსა" უკონკურენციოა.

## მწვრთნელები იტალიაში

იყო მწვრთნელი, ძალიან რთულია, განსაკუთრებით კი იტალიაში, სადაც შეიძლება ერთი მარცხის გამო პოსტიდან გაგათავისუფლონ. ჩემი აზრით, "ლაციოსა" და "პალერმოში" კარგად ვიმუშავე – არაფრით გამორჩეულ გუნდებს იტალიის თასი მოვაგებინე, ფინალში გავიყვანე და ევროტურნირების საგზური მოვაპოვებინე – მიუხედავად ამისა, კლუბების მესვეურებმა გაწეული სამუშაო უარყოფითად შეაფასეს და დამითხოვეს.

იტალია ის ქვეყანაა, სადაც გრძელვადიან, რამდენიმეწლიან გეგმებზე ლაპარაკობენ და შემდეგ, სამ კვირაში ყველაფერი თავდაყირა დგება. საკმარისია ერთი თამაში წააგო, მეორე ფრედ ითამაშო, რომ უმალ მწვრთნელის შეცვლის საკითხი დგება დღის წესრიგში. დარწმუნებული ვარ, **ალექს ფერგიუსონს** რომ იტალიაში გაეტარებინა სამწვრთნელო კარიერა, იმის ნახევარსაც ვერ შეძლებდა, რასაც ინგლისში მიაღწია. ამიტომ, ხშირად მიფიქრია უცხოეთში წასვლასა და ძალების სხვაგან მოსინჯვაზე, მაგრამ ჯერჯერობით საინტერესო წინადადებით არავის მოუმართავს. იყო შემოთავაზება აზიური გუნდებიდან, თუმცა მე ევროპაში მუშაობა მსურს – ჩემთვის სპორტული ინტერესი ყოველთვის უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ფინანსური მხარე.

## პრეზიდენტები

რაზეც ზემოთ ვილაპარაკე, დიდწილად სწორედ პრეზიდენტებს ეხებოდა. იტალიური კლუბების პრეზიდენტები ზედმეტად აქტიურად არიან ჩართულნი მწვრთნელის საქმეებში და ერევიან ყველაფერში, რაც გუნდს ეხება. ამიტომ არის, რომ პრეზიდენტებს ყველა იცნობს და მათი საქმიანობის თითოეული დეტალი საჯარო ხდება. შეგიძლიათ მითხრათ ვინ არის "არსენალის", ან "ლივერპულის" მფლობელი? – დარწმუნებული ვარ, რომ ვერ მიპასუხებთ. სამაგიეროდ, ყველამ კარგად ვიცით, რომ **სილვიო ბერლუსკონი** "მილანის" პრეზიდენტია, მასიმო მორატი "ინტერის", **ანდრეა დელა ვალე** "ფიორენტინასი", მაურიციო ძამპარინი "პალერმოსი", "იუვენტუსი" კი **ანიელების** ოჯახს ეკუთვნის. ჩვენთან ყველაფერი ცნობილია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტები ყველგან და ყველაფერში ცხვირს ყოფენ, ყოველთვის ყურადღების ცენტრში არიან.

## სამომავლო გეგმები

როგორც ზემოთ აღვნიშნე, დიდი სურვილი მაქვს, რომ უცხოეთში მოვსინჯო ძალები და რომელიმე ევროპულ გუნდს ჩავუდგე სათავეში. ეს ახალი გამოწვევა იქნებოდა ჩემთვის, რომელსაც თუ საშუალება მომეცა სიამოვნებით მივიღებ. გარკვეული პერიოდი კარგად დასვენება მჭირდება, შემდეგ კი წინადადებებს განვიხილავ და სასურველ ვარიანტზე შევჩერდები. უკვე მაქვს რამდენიმე შემოთავაზება, ძირითადად იტალიური გუნდებიდან და ვნახოთ, მალე ყველაფერი გაირკვევა.

**ლაშა წიკლაური**

ბაიერნი

# ოლიჩი დაბრუნდა!

## რვათვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, ივიცა, როგორც იქნა, ფეხზე დადგა



ივიცა ოლიჩმა სრული დატვირთვით ვარჯიში დაიწყო

2009/2010 წლების სეზონში **ივიცა ოლიჩი** „ბაიერნის" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო და **არიენ რობენთან** ერთად, სეზონის მთავარი გმირიც გახდა. ის ფაქტი, რომ შარშან რეკორდმაისტერმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა, მარტო რობენის დამსახურება არ ყოფილა – ოლიჩმა არაერთი მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა (2 გოლი „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ, მეოთხედფინალში, ჰეთ თრიკი „ლიონთან", ნახევარფინალში). 31 წლის ხორვატი ფორვარდი გასულ სეზონშიც მთავარი ფიგურა უნდა ყოფილიყო, მაგრამ სეზონის დასაწყისში უმძიმესი ტრავმა მიიღო და მას მერე 8 თვე ლაზარეთში გაატარა. ახლა კი, როგორც იქნა, ისევ ფეხზე დადგა და გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

*„ამ დღეს რვა თვის მანძილზე ველოდი. მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს სრულად გამოვჯანმრთელდი და თანაგუნდელებთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიში შემიძლია,* - უთხრა ოლიჩმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს გუშინ, ვარჯიშის შემდეგ.

ოლიჩმა მარცხენა მუხლის ოპერაცია ნოემბრის დასაწყისში, აშშ-ში ცნობილ პროფესორ **როჯერ სტიდმანთან** გაიკეთა. ივიცას გამოჯანმრთელებით გახარებულია „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესიც**, რომელიც ოლიჩს ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად მიიჩნევს. ასე რომ, 26 და 27 ივლისს, „აუდის" თასზე ივიცას თამაში შეეძლება. შეგახსენებთ, რომ „აუდის" თასზე „ბაიერნთან" და სხვა კლუბებთან ერთად, იტალიის ჩემპიონი „მილანიც" ითამაშებს.

**გოტფრიდ ლენცი**

დორტმუნდის ბორუსია



# ჩემპიონები ბოლოს იწყებენ

## კლოპი: ახლა უფრო ძლიერები ვართ, ვიდრე ერთი წლის წინ!

ბუნდესლიგის კლუბებიდან ახალი სეზონისთვის მზადება ყველაზე ბოლოს გერმანიის მოქმედმა ჩემპიონმა დორტმუნდის „ბორუსიამ" გუშინ დაიწყო. პირველ ვარჯიშზე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** გერმანიის ნაკრების წევრების გარდა, ყველა ფეხბურთელი შეკრიბა – ბუნდესგუნდის მოთამაშეები კი „ბორუსიას" 3 ივლისს შეუერთდებიან. სამაგიეროდ, გუშინ კლოპის ხელმძღვანელობით პირველად ივარჯიშეს დორტმუნდელთა ახალწვეულებმა: **ილქაი გიუნდოგანმა, ივან პერიშიჩმა, მორიტც ლაიტნერმა** და **კრის ლიოვემ**. ცხადია, ეს მოთამაშეები ყურადღების ცენტრში მოექცნენ.

კლოპი „ბორუსიას" ახალი სეზონისთვის უკვე მეოთხედ ამზადებს და მართალია, BVB-ს ეიფორია არც ადრე აკლდა, მაგრამ წელს ყველაზე დიდი საგიჟეთი იყო, რადგან იურგენის გუნდი გერმანიის ჩემპიონია. სეზონურ აბონემენტებზე უდიდესი, აქამდე არნახული მოთხოვნაა, რის გამოც აბონემენტების გაყიდვის სტარტმა ერთი დღით გადაიწია. მოგეხსენებათ, „ვესტფალენშტადიონი" 82 000 მაყურებელს იტევს და კლუბის ხელმძღვანელებს 53 000-ზე მეტი აბონემენტის გაყიდვა არ სურთ, რათა ყოველთვის არსებობდეს თავისუფალი ბილეთები. მენეჯერი **მიხაელ ცორკი** ამბობს, 82 000 აბონემენტი რომ გავყიდოთ, ყველა გაიყიდებაო.

მოკლედ, ეიფორია უდიდესია, მაგრამ ცორკი, კლოპი და გენერალური მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** წნეხის ქვეშ არ მოექცევიან. მიუნხენიდან უკვე გაისმა მუქარა – „ბაიერნმა" მზადება ორშაბათს დაიწყო და რეკორდმაისტერის ფეხბურთელებმა არაერთხელ თქვეს, ახალ სეზონში „ბორუსიას" ტახტიდან ჩამოვაგდებთო.

*„კარგად ვიცი, რაც თქვა თომას მიულერმა და თუ სიმართლე გაინტერესებთ, მისი მოსაზრება ფეხებზე მკიდია,* - ასეთი იყო 44 წლის კლოპის რეაქცია კითხვაზე, რა პასუხს გასცემდა ის „ბაიერნის" ფეხბურთელს, - *ფაქტია, რომ ჩვენ ყველაფერი ნულიდან უნდა დავიწყოთ. გასული სეზონი ფანტასტიკურად რომ ჩავატარეთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომდევნო სეზონშიც თავისთავად ასე კარგად ვითამაშებთ. დღეს კი იმიტომაც შევიკრიბეთ, რომ შრომას შევუდგეთ."*

ბოსი ვატცკე კლოპს ასი პროცენტით დაეთანხმა და აღნიშნა, თუ მიუნხენელები ჩვენგანაც სკანდალურ განცხადებებს ელოდებიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, კამათში არ ავყვებით და ყველაფერს ისევ მოედანზე დავამტკიცებთო.

ამრიგად, კლოპი, ვატცკე და ცორკი მხოლოდ დორტმუნდის „ბორუსიაზე" საუბრობენ, კონკურენტების ხსენება კი არ სურთ. მათი თქმით, „დორტმუნდი" აუცილებლად ტიტულის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის ლიდერი და გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი **ნური შაჰინი** მადრიდის „რეალში" გადავიდა, კლოპი ფიქრობს, რომ მისი გუნდი ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე ერთი წლის წინ იყო.

*„არ დაგიმალავთ, ისეთი განცდა მაქვს, რომ ახლა გაცილებით ძლიერები ვართ. რამდენიმე ძალიან კარგი ფეხბურთელი ვიყიდეთ: პერიშიჩი, გიუნდოგანი, ლაიტნერი და სხვები. შარშან ამხელა არჩევანი არ მქონდა,"* - ამბობს იურგენი.

თუმცა ფაქტია ისიც, რომ წელს დორტმუნდელებს ჩემპიონთა ლიგაშიც მოუწევთ თამაში, ორ ფრონტზე ბრძოლა კი ადვილი ნაღდად არ არის. თანაც, „ბორუსია" ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში გერმანიის ჩემპიონის სტატუსით წარსდგება და ვალდებულია, ჩემპიონთა ლიგაში კარგად ითამაშოს.

დორტმუნდელთა პირველი ვარჯიში ერთ საათს გაგრძელდა. „ბორუსიას" პირველი ოფიციალური მატჩი 30 ივლისს, გერმანიის თასის პირველ ეტაპზე მესამელიგელ „ზანდჰაუზენთან" ელის.

**გოტფრიდ ლენცი**


## საირმეს დაბადება 40 წლის შემდეგ

### განახლებული კურორტი საირმე!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.

3-ვარსკვლავიანი კომფორტული სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს, ყველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.

**ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნო - ევროპული სტანდარტების სპა ცენტრი.**

უფრო მეტს, საირმის განახლებული კომპლექსის შესახებ ვებგვერდის:
www.sairme.com.ge
შეიტყობთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ინტერვიუ ვლადიმერ ადეიშვილთან

# თაობა კარგი მოდის

## კარტოზიას მერე ეს ევროპამაც დაადასტურა

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა გუნდმა სერბულ ზრენჯანინში დამთავრებულ ევროპის პირველობაზე ოქროს მედალი ვერ მოიპოვა, მაგრამ მაინც წარმატებით იასპარეზა - 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო მოიპოვა. ევროპის ვიცე-ჩემპიონები **ნიკა ცეცხლაძე** (50) და **საჩინო დავითაია** (66) გახდნენ, **ზურაბ დათუნაშვილი** (74) და **სანდრო დიხამინჯია** (96) კი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ. ჩვენი ნაკრები ასევე მესამე იყო გუნდურ ჩათვლაში. ეს შედეგი მით უფრო კარგია იმის გათვალისწინებით, რომ მწვრთნელებმა ამჯერად ლიდერები დაასვენეს - მათ მსოფლიოსთვის ინახავენ, რომელიც 26-31 ივლისს ბუქარესტში გაიმართება. ნაკრები ამ ტურნირისთვის განსხვავებული გეგმით ემზადება. მსოფლიოსთვის სამზადისზე და ევროპის განვლილ ჩემპიონატზე ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **ვლადიმერ ადეიშვილი** გვესაუბრება.

პროცენტი მაინც. წლეულს მთავარი აქცენტი მსოფლიოს ჩემპიონატზე გადავიტანეთ და ვნახოთ, რა გამოვა ასეთი მიდგომით. მსოფლიოსთვის ეს ნაკრები 40-50 პროცენტით შეიცვლება. ევროპაზე დავინახე, ვის რა შეუძლია, დანარჩენზე კი ახლა მწვრთნელთა საბჭოზე ვიმსჯელებთ. ცვლილება მედალოსნებსაც შეეხებათ, რადგან ვითვალისწინებთ თაობათა ცვლის პროცესს და შანსს ყველას ვაძლევთ. ოლიმპიადამდე ცოტა დრო დარჩა და იქნებ ვინმე კიდევ გამოჩნდეს. მოგეხსენებათ, ახალგაზრდულ ნაკრებში ყველაფერი ეროვნული გუნდის ინტერესთა გათვალისწინებით კეთდება და ასე ამიტომ ვიქცევით.

წლეულს მსოფლიოსთვის განსხვავებული მიდგომა ავირჩიეთ - ლიდერები შემოვინახეთ, თორემ აქამდე ევროპაზე მეორე-მესამე ნომრებს არ ვაჭიდავებდი. მერე ისე ხდებოდა, ის ევროპაზე ნაჭიდავები ხალხი მსოფლიოსთვის მომზადებას ვერ ასწრებდა და შედეგიც ისეთივე იყო,

- კარგი ჭიდაობით გამოვარჩევ დათუნაშვილს, რომელიც პირველად ჭიდაობდა ამ ნაკრებში. სანდრო დიხამინჯიაც პირველად გამოდიოდა, თუმცა მისგან ცოტა მეტს ველოდით. მართალია, მან სომეხ არტურ ალექსანიანთან წააგო, რომელიც წლეულს უფროსებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა, მაგრამ მაინც მეტი გვეიმედებოდა. ოღონდ მათგან კარგ ჭიდაობას ველოდით კიდეც, ცეცხლაძემ კი მოლოდინს გადააჭარბა.

**- ამ გუნდიდან ვინმეს თუ აქვს მსოფლიოზე წასვლა განაღდებული და სად მოემზადება ნაკრები?**

- ჯერ არ მინდა შემადგენლობაზე ლაპარაკი. 10 ივლისს დუშეთში ვიწყებთ შეკრებას და 1-2 დღე კიდევ დამჭირდება გადაწყვეტილების მისაღებად. მწვრთნელთა საბჭოსთან ერთად ვიმსჯელებთ გუნდის დაკომპლექტებაზე. შეიძლება ზოგან საკონტროლო შეხვედრებიც ჩავატაროთ - ესეც საბჭოსთან კონსულტაციებით გადაწყდება.



**- სერბეთში მოპოვებული წარმატება რამდენად შეესაბამება იმ გეგმებს, რომლითაც ჩემპიონატზე გაემგზავრეთ?**

- ცხადია, ოქროს მედალი კარგი იქნებოდა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამის დიდი იმედი არ მქონდა. კარგად ვიცოდი, ჩვენი ძირითადი კონკურენტები - თურქები, რუსები, აზერბაიჯანელები გადაზრდილი ფალავნებით იჭიდავებდნენ. ამ მხრივ იქ რაც ხდება, ყველამ კარგად ვიცით. თქვენ წარმოიდგინეთ, რუსმა მსაჯებმა მითხრეს, ასაკით მანიპულირებაზე ჩვენც ვუთითებთ რუსეთის ჭიდაობის ფედერაციას, რადგან ჩრდილოკავკასიელებს 3-4 წლით გადაზრდილები გამოჰყავთ და ჩვენი მოზარდები იჩაგრებიანო.

მთლიანობაში, სერბეთში მოპოვებული შედეგი ურიგო არ არის. საქმე მხოლოდ მედლებში არ არის, რადგან თითქმის ყველამ კარგად იჭიდავა. მძიმე წონის გარდა, სხვების ბოლომდე კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინეს, ხოლო 50-ში ნიკა ცეცხლაძემ მოსალოდნელზე მეტიც კი გააკეთა. ის, პრაქტიკულად, საკუთარ თავს გადაახტა და რეალურად რომ ვიმსჯელოთ, ფინალიც მოიგო - აზერბაიჯანელი ვილაიათ გარამანლი ორჯერ დააგდო წმინდაზე, მაგრამ მსაჯებმა არ მისცეს.

**- ნაკრებში რამდენიმე ისეთი მოჭიდავე გყავდათ, რომლებმაც საერთაშორისო ტურნირებში კარგად იასპარეზეს და ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის პრეტენზიასაც აცხადებენ. ამ ფონზე გასაკვირია, რომ ოქროს მედალს არ ელოდით.**

- მოლოდინი ყოველთვისაა - ტურნირზე ყველა ამისთვის მიდის, მაგრამ რუსებისა და თურქების ამბავი კარგად ვიცი და ასე იმ რეალობიდან გამომდინარე ვფიქრობდი, რაც ზემოთ ვთქვი. ამ ასაკში 4-5 წელიწადი ბევრს ნიშნავს. თანაც, ამჯერად სერბეთში ძირითადად მეორე ნომრები მყავდა წაყვანილი - 50 რაც - კონტინენტის პირველობაზე. ამჯერად განსხვავებული მიდგომა ავირჩიეთ და ვნახოთ, რა გამოვა.

**- ანუ, თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, ევროპაზე კარგი გამოსვლა კი იყო, მაგრამ რეზერვი მეტია და მსოფლიოსთვის ცვლილებებიც ამიტომ იგეგმება?**

- კი, ასეა. რეზერვი რომ არის, ეს კარტოზიას სახელობის „ოქროს დიდმა პრიზმაც" დაადასტურა - იქ სუსტი ნაკრებები არ იყვნენ, მაგრამ ახალგაზრდებმა კარგად იჭიდავეს. ცვლილებებიც აქედან გამომდინარე იქნება. ყოველ შემთხვევაში, მძიმე წონაში ეს გარდაუვალია.

**- მძიმეს გარდა კიდევ თუ იყო ისეთი წონა, რომლითაც უკმაყოფილო დარჩით?**

- სხვა არც ერთი არ ყოფილა. კიდევ ვიმეორებ, რომ ყველას კმაყოფილი ვარ, ბიჭებმა მაქსიმუმი გამოავლინეს. ცხადია, იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა მსაჯებმა არ მისცეს მეტის გაკეთების საშუალება, თუმცა ეს მათი ბრალი არ არის. მსაჯთა მიკერძოება რომ არა, დათუნაშვილი ფინალში უნდა გასულიყო, გოგიტა გოგიბერაშვილს ბრინჯაო უნდა აეღო, ცეცხლაძეზე კი ზემოთ გითხარით... ეს იმათზე ვლაპარაკობ, რაც ყველაზე მეტად გულსატკენი იყო, თორემ წვრილ-წვრილი უსამართლობები სხვაც ბლომად ხდებოდა. პირველ დღეს გუნდურში თურქებს ორი ქულით ვუსწრებდით, მაგრამ მეორე დღეს სერბეთში სასწრაფოდ ჩამოვიდა მათი ფედერაციის ახალარჩეული პრეზიდენტი და იმის მერე დაიწყო ზეწოლა ყველაზე, ვინც კი თურქთა კონკურენტი იყო. აქეთობისას სტამბოლში მათთან ერთად ჩამოვფრინდით და აეროპორტში დიდი ზარ-ზეიმით დახვდნენ იმის მიუხედავად, რომ ჩემპიონი არ ჰყავდათ, ისე მოიგეს გუნდური.

**- ცეცხლაძის გარდა სხვამ თუ შემოგთავაზათ სიურპრიზი კარგი ჭიდაობით?**

**- თვითონ ჩემპიონატი არ იყო მაინცდამაინც ძლიერი, ცოტა ხალხი გამოდიოდა. საერთოდ, გუნდების კლება ტენდენციად იქცა ჭიდაობაში. ამაზე თუ საუბრობდნენ კულუარებში?**

- თუ დამიჯერებთ, იმასაც კი არ დავკვირვებივარ, ადრინდელთან შედარებით ბევრი ხალხი გამოდიოდა თუ ცოტა. მე იქ ძირითად კონკურენტებს ვაკვირდები - თურქებს, რუსებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს... ალბათ, სხვებიც ძირითად აქცენტს მსოფლიოზე აკეთებენ და იქ უფრო მეტი მონაწილე გამოვა, თუმცა ეს გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე, ყველა ვარიანტში ასე იქნება.

**- თაობათა ცვლა ახსენეთ და თქვენი აზრით, რომელი უფრო უკეთესია - ახლანდელი თუ ის, რომელიც ამ ათიოდე წლის წინათ გამოვიდა ასპარეზზე და მსოფლიოს რამდენიმე კაშკაშა ვარსკვლავი აჩუქა, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები თუ სხვა ტიტულოვნები - მანუჩარ კვირკველია, ალექსანდრე დოხტურიშვილი, გიორგი წურწუმია, ბადრი ხასაია, ირაკლი ჭოჭუა?**

- ცოტა მიჭირს ასე მკვეთრად გავმიჯნო, რომელია უკეთესი. თუმცა ახლანდელი თაობა უდავოდ ნიჭიერია, რომელსაც დიდი შედეგების მიღწევა შეუძლია. იქნებ იმიტომ, რომ მათ ახლა ვუყურებ, ისინი კი წლების წინ იყვნენ ჩემი მოსწავლეები, ესენი უფრო უკეთესები მგონია. თუმცა მთავარი ისაა, რომ ძალიან ნიჭიერები არიან და ცუდია, რომ თაობათა ცვლის პროცესი ცოტა იგვიანებს, საოლიმპიადოდ ვერ მოასწრებენ ნაკრებში დამკვიდრებას. აი, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებში ეს ცვლილება ერთი წლის წინ დაიწყო და ასწრებენ, ჩვენთან კი ცოტა დაგვიანებულია.

**ირაკლი თავაძე**

● ძიუდო




# საუკეთესო შედეგი ბოლო ათწლეულში

ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ ჭაბუკ ძიუდოისტებს ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელებთან და მწვრთნელებთან ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილი** შეხვდა და ბოლო ათწლეულის საუკეთესო წარმატება მიულოცა.

მალტის ქალაქ კოტონერაში საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრებს 2 ოქროს, 3 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად. **გიორგი ვაზაგაშვილის** გაწვრთნილი გუნდიდან ჩემპიონის ტიტული **ვანო მამისაშვილმა** (55 კგ) და **ბექა ღვინიაშვილმა** (81) მოიპოვეს. **თამაზ კირაკოზაშვილი** (60), **შალვა ჩოჩელი** (90) და **გიორგი ლაზუაშვილი** (+90) ფინალში დამარცხდნენ და ვერცხლის მედალს დასჯერდნენ, **ლევან გუგავა** (73) და **გურამ თუშიშვილი** (90) კი ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ.

ჩემპიონატში 37 ქვეყნის 366 ძიუდოისტი ასპარეზობდა. საქართველოს ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა.

11-14 აგვისტოს ჭაბუკ ძიუდოისტთა სეზონის უმთავრეს ტურნირს - მსოფლიოს ჩემპიონატს კიევი უმასპინძლებს.

**თამუნა ყულუმბეგაშვილის** ფოტო

● ჭადრაკი

# უდანაკარგოდ მხოლოდ კრუსია

ესპანეთში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრების ერთადერთმა ქართველმა მონაწილემ **ანა მათნაძემ** (2429) მე-4 ტურის პარტია რეიტინგით მასზე დაბლა მდგარ **ერიკ რამირეს მარტინესთან** (ესპანეთი, 2206) წააგო და 1,5 ქულით 42-ე ადგილზეა. 4 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა პერუელი **კრისტიან კრუსი,** რომელმაც მასპინძელი **ფერნანდო ხოზე ხიმენესი** დაამარცხა. ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: მიგელ მუნიოსი (პერუ)-ჰოლდენ ჰერნანდესი (კუბა) 0,5:0,5, ჰექტორ რამოს დელგადო (კუბა)-ალექსანდერ კუარტასი (კოლუმბია) 1:0, მარკ დუბლან ნარკისო (ესპანეთი)-დელა რივა ლაზარო ლორენცო (ესპანეთი) 1:0, არიან პერეს გონსალესი (კუბა)-ალონსო ბაკალაო (კუბა) 0,5:0,5, სალვადორ დელ რიო (ესპანეთი)-იაჩეკ სტოპა (პოლონეთი) 1:0, მიხაელ მასონი (საფრანგეთი)-მარკ ესერმანი (აშშ) 1:0. 3.5-3,5 ქულით მეორე-მეხუთე ადგილებს ნარკისო, მასონი, დელ რიო და დელგადო ინაწილებენ.

მე-5 ტურში მათნაძე თეთრი ფიგურებით მარიო გავილანს ეთამაშება. ლიდერები კი ასე დაწყვილდნენ: ნარკისო-კრუსი, მასონი-დელ რიო, პერალტა-დელგადო.

**ვაჟა დანელია**

# ქართველები თურქულ ლიგაში

კონიის სასტუმრო „ჰილტონ გარდენ ინში" დაიწყო თურქეთის საკლუბო ჩემპიონატი. 14 გუნდი (თითოეულში 10-10 მონაწილე) წრიული სისტემით გამოავლენს მედლების მფლობელებს. ტურნირზე სხვადასხვა კლუბის ღირსებას 12 ქართველი დიდოსტატი იცავს. გაუწყებთ პირველი ორი ტურის გუნდურ და ქართველ მოჭადრაკეთა შედეგებს:

I ტური. **„მერინ ეზგი სანტრაჩი"-„გაზი უნივერსიტესი"** 4,5:5,5 (ამ გუნდებში ქართველები არ თამაშობენ), **„ტარსუს ზეკა სანტრაჩი"-„იარი კვედი სფორი"** 3,5:6,5 (მიხეილ მჭედლიშვილი-მიხაილ გურევიჩი 0,5:0,5, ოლგა ზიმინა-ბელა ხოტენაშვილი 0:1, ლუკა პაიჭაძე-დემრე კერიგანი 0,5:9,5), **„თურქ ჰავა ვოლარი"-„დენიზ გენჩლიკი"** 4,5:5,5 (სალომე მელია-რასულ იბრაჰიმოვი 0,5:0,5, მერაბ გაგუნაშვილი-ემილიან-მირჩეა პარლიგრასი 0,5:0,5), **„ბეშიქთაში"-„ისეკ აქუამატჩი"** 2:8 (კახრამან მარაჩლი-ლევან ფანცულაია 0:1), **„ბურსა"-„მანიშა"** 3,5:6,5 (სოფიო გვეტაძე-ანა უშენინა 0,5:0,5), **„ვეშილკოვ სფორი"-„ჩელიკოლი"** 2,5:7,5 (მარინა ბრუნელო-სოფიკო გურამიშვილი 0:1), **„ადანა"-„ისტანბული"** 6:4 (ნანა ძაგნიძე-მაშა კლინოვა 1:0).



ნანა ძაგნიძე

II ტური. **„გაზი უნივერსიტესი"-„ისტანბული"** 4:6 (ამ გუნდებში ქართველები არ თამაშობენ), **„ჩელიკოლი"-„ადანა"** 4,5:5,5 (სოფიკო გურამიშვილი-ნანა ძაგნიძე 0:1), **„მანიშა"-„ვეშილკოვ სფორი"** 6,5:3,5 (ბორის სავჩენკო-დავით არუთინიანი 1:0, იაკურ ერტურანი-თორნიკე სანიკიძე 0:1), **„ისეკ აქუამატჩი"-„ბურსა"** 5,5:4,5 (ლევან ფანცულაია-ნეჩმეტინ კორკმაზი 1:0, ეკატერინა ატალიკი-სოფიო გვეტაძე 0,5:0,5), **„დენიზ გენჩლიკი"-„ბეშიქთაში"** 3:7, **„იარი კვედი სფორი"-„თურქ ჰავა ვოლარი"** 7,5:2,5 (მიხაილ გურევიჩი-მერაბ გაგუნაშვილი 0,5:0,5, ბელა ხოტენაშვილი-სალომე მელია 1:0), **„მერსინ ეზგი"-„ტარსუს ზეკა სანტრაჩი"** 6,5:3,5 (ნიჯათ მამედოვი-მიხეილ მჭედლიშვილი 1:0, აზერ მირზოევი-ლუკა პაიჭაძე 0:1).

შეჯიბრება 9 ივლისს დამთავრდება.

**ვაჟა დანელია**

## ქართული სპორტი

ველოსპორტი. საქართველოს ჩემპიონატი

# ნატახტარი–ფასანაური–ჯვრის მონასტერი

მცხეთაში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი საგზატკეცილო ველორბოლაში (უფროსები, ახალგაზრდები) თბილისის, ქუთაისის, აჭარის და ზესტაფონის ველომრბოლთა მონაწილეობით.

დიდი ინტერესი გამოიწვია უფროსთა შორის ჯგუფურმა რბოლამ 120 კმ-ზე მარშრუტით: ნატახტარი-ფასანაური-ჯვრის მონასტერი (ფინიში). სტარტიდან 15 კმ შემდეგ დაწინაურდნენ **გიორგი ნადირაძე** (აჭარა) და თბილისელი **გიორგი სიდიანი.** ანანურის აღმართზე სიდიანმა ტემპს ვერ გაუძლო და ჩამორჩა, თუმცა ბოლომდე იბრძოლა და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, რაც უკვე წარმატებაა.

მთაგორიან ტრასაზე ასპარეზობამ გიორგი ნადირაძეს ეულად მოუწია და მან ასევე უკონკურენციოდ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. სიდიანი მას მხოლოდ 2 წუთის შემდეგ მიჰყვა. აგრეთვე ქების ღირსია ზესტაფონელი **ბაჩუკი ბერაძე,** რომელმაც მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. საერთოდ, ამ რაიონის მრბოლები ჩემპიონატზე კარგად გამოიყურებოდნენ, რაც მწვრთნელ **ამირან მაჩხაშვილის** დამსახურებაა.

ახალგაზრდებში ჯგუფური რბოლა დი... უპირატესობით მოიგო ქუთაისელმა **ალეკო ქათამაძემ** (მწვრთნელი **გია ქოჩაკიძე**), ხოლო მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად თბილისელმა **გურამ აზმაიფარაშვილმა** და **ნიკა გოგიშვილმა** დაიკავეს.

შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩაატარა მსაჯთა ბრიგადამ **ვანო რთველიაშვილისა** (მცხეთა) და **შოთა დაიაურის** (თბილისი) ხელმძღვანელობით.

საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესარიონ ნადირაძე** კმაყოფილი დარჩა ასპარეზობის შედეგებით.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. ახალგაზრდები. ინდივიდუალური რბოლა 10 კმ:** 1. ნიკა გოგიშვილი, 2. გურამ აზმაიფარაშვილი, 3. კობა შუბითიძე (სამივე-თბილისი); **ჯგუფური. რბოლა 40 კმ:** 1. ალეკო ქათამაძე (ქუთაისი), 2. აზმაიფარაშვილი, გოგიშვილი; **ორი ეტაპის ჯამი:** 1. გოგიშვილი - 41ქ, 2. აზმაიფარაშვილი - 40, 3. ქათამაძე - 38.

**უფროსები. ინდივიდუალური რბოლა 32 კმ:** 1. გიორგი ნადირაძე (აჭარა), 2. გიორგი სიდიანი (თბილისი), 3. ვიტალი ეროხინი (ქუთაისი); **ჯგუფური რბოლა 120 კმ:** 1. ნადირაძე, 2. სიდიანი, 3. ბაჩუკი ბერაძე (ზესტაფონი); **ორი ეტაპის ჯამი:** 1. ნადირაძე - 48ქ, 2. სიდიანი - 40, 3. ეროხინი - 32.

**„ლელოს" კორ.**



გიორგი ნადირაძე

ჭადრაკი

# მონაგარი ქულით გაიმდიდრა

ალბენას მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე ორი ტურის პარტიები გათამაშდა. **ნაზი პაიკიძემ** საკუთარ მონაგარს მხოლოდ ქულა შესძინა. მე-4 ტურში ბულგარელ **პეტარ ლიანგოვთან** დამარცხდა. მეხუთეში კი **გრიგორე ეიგულიანს** (რუმინეთი) აჯობა და ახლა 3 ქულა აქვს.

ხუთი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ **მაქსიმ როდშტეინი** (ისრაელი) ლიდერობს. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები 8 მოჭადრაკემ მოაგროვა.

მეექვსე ტურში ითამაშებენ: **ჩეპარინოვი** (ბულგარეთი, 4,5)-**როდშტეინი** (5), ნიკოლოვი (ბულგარეთი, 4,5)-**ლუპულესკუ** (როუმინეთი, 4,5), **არნაუდოვი** (ბულგარეთი, 4,5)-**დელჩევი** (ბულგარეთი, 4,5), **გრიგორიანი** (სომხეთი, 4,5)-სვეტუშკინი (მოლდოვა, 4,4), **იარაში** (პოლონეთი, 4)-**ანტონი** (რუმინეთი, 4,5), **ფარუკ ოსმანოვიჩი** (გერმანია, 3)-ნაზი პაიკიძე (3).

**ვაჟა დანელია**





„ლელო" წარმოგიდგენთ

ქართული სპორტის ქრონიკები

ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

# ომარ ფხაკაძე



დაიბადა - 12. 08. 1944, ქუთაისი; გარდაიცვალა - 23. 05. 1993, თბილისი. ველოსპორტი, ტრეკი, სპრინტი. მსოფლიოს ჩემპიონი (1965), მეორე (1969) და მესამე (1966) პრიზიორი, 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, 1964 წლის ტოკიოს (მეოთხედფინალი) და 1968 წლის მეხიკოს (IV ადგილი) ოლიმპიადების მონაწილე. სსრკ ათგზის ჩემპიონი (1963, 64, 66-73), ორგზის მეორე (1965, 67) და მესამე (1968) პრიზიორი, სსრკ თასის ოთხგზის მფლობელი (1963-65, 69). გდრ-ის, კოპენჰაგენის, ამსტერდამისა და ტულის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. ორგზის მსოფლიო რეკორდსმენი: ჰიტი 200 მ სვლით - 10,69 წმ და 10,61 წმ (1967). სსრკ და საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1965). იყო სსრკ და საქართველოს სპრინტერთა ნაკრებების მწვრთნელი (1974-93), საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი (1986-93). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. მისი სახელი მინიჭებული აქვს თბილისის ცენტრალურ ველოდრომს. გადაღებულია ქართულ ფილმში „ხარება და გოგია", რომელშიც ასრულებს ერთ-ერთი მთავარი გმირის - ხარებას როლს.

აჰა ბურთი და ჰა მოედანი

თავი მოსწია გაქანებულ ცხენს,  
ყალყზედ შემდგარი მოატრიალა,  
ასკუპა, ჯიქურ გამოაქანა,  
მივარდა, ბევრი აღარ აცალა  
და უპასუხა: - „გმირს არ შეშვენის  
დაჩემება და თავის ქებაო!  
აჰა ბურთი და ჰა მოედანი,  
მზათა ვარ, გახლდეს თქვენი ნებაო!"  
მოღუნეს მშვილდი, მოსდევს საცერე  
და ერთმანეთსა სტყორცნეს ისარი,  
მაგრამ ორივემ სწორის სიმარდით  
მას მიაგებეს მათ-მათი ფარი,  
და აიცილეს მითი ფინთიხი,  
გულის გამპობი, ხორცის მომწყვლელი;  
მერე გადიგდეს მშვილდები მხარზედ  
და ხმლებს მოავლეს საომრად ხელი.  
მათი ფარ-გება და კენწლაობა,  
სიჩქარით ელვა, გასაკვირვალი,  
მოჩხუბართ მხოლოდ ბრაზს უმატებდა  
და ედებოდათ თანდათან ალი.  
მოსწყინდათ ფარი და უკუაგდეს,  
დაადგნენ ორნივ მარტო შიშველ ხმალს;  
თავი გადასდვეს მათ სასიკვდილოდ,  
აღარ იზოგვენ ღონესა და ძალს.

**აკაკი წერეთლის პოემიდან „თორნიკე ერისთავი"**

პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** მწვრთნელი ქართულ ჩოგბურთში იყო **იან ჰომერი.** იგი ჭიათურაში ცხოვრობდა, შემდეგ გადმოსახლდა თბილისში.

**პირველმა** ყველაზე მაღალ სპორტულ შედეგებს საქართველოს ხელბურთელებიდან მიაღწია **ალექსანდრე ანპილოგოვმა.** იგი ოლიმპიური თამაშების (1976) და მსოფლიოს (1982) ჩემპიონია.

**პირველად** ტრეკზე ველორბოლაში შეჯიბრება საქართველოში გაიმართა თბილისში 1886 წელს.



ფოტომატიანე



მარცხნიდან: ანზორ კიკნაძე, გურამ გობეჯიშვილი, შოთა ლომიძე, ზარბეგ ბერიაშვილი, გურამ სალარაძე, ვლადიმერ რუბაშვილი, ზაურ შეყრილაძე, ვლადიმერ არსენიანი. 1960-იანი წლები.

# კროსვორდი

**თარაზულად:** 3. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში, 5. ბადმინტონის ბურთი, 6. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 9. ღერძზე მიზიდვა, 10. ახლო წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, 11. კალათბურთის კალათის სამაგრი, 14. შეფასება ძიუდოში, 15. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა ახალი მწვრთნელი, 17. მძლეოსნობის ერთ-ერთი კომპლექსური პროგრამა, 18. მედიცინის მუშაკი, 19. ოსტატობის ხარისხის განმსაზღვრელი აღმოსავლურ ორთაბრძოლებში, 20. მუქარა ჭადრაკში, 25. პლაჟბურთში გიას მეწყვილე, 26. საქართველოს ნაკრების ახალწვეული უცხოელი კალათბურთელი, 27. მწვერვალი სვანეთში, 31. ცხენოსნობის ეროვნული სახეობა, 32. ძალოსნობის ორჭიდის პროგრამა, 33. ზაფხულის 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი.

**შვეულად:** 1. თბილისის საფეხბურთო კლუბი 90-იან წლებში, 2. საჭადრაკო კლუბი ქუთაისში, 3. ასპარეზობის დასასრული, 4. სპორტნაწარმის ცნობილი ფირმა, 6. ასპინძის საფეხბურთო კლუბი, 7. თავდავიწყებით გატაცება თამაშით, 8. ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი, 12. არჩევანი და... 13. ვეტერანი ფეხბურთელი ვლადიმერ (სიომა)..., 14. „იუვენტუსისა" და იტალიის ყოფილი ფორვარდი ჯანლუკა... 16. ბრაზილიელი ფეხბურთელი, რომელიც რუსთავის „ოლიმპში" თამაშობდა, 21. ტანვარჯიშული იარაღი, 22. საქართველოს ნაკრების ყოფილი კალათბურთელი, ფორვარდი, ირაკლი..., 23. ზამთრის ოლიმპიადის (1952) მასპინძელი ქალაქი, 24. მძლეოსნობის ოლიმპიური დისციპლინა, 28. მოჭადრაკე... ძაგნიძე, 29. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (შემოკლებით), 30. ფრანგი ფეხბურთელი (მეკარე) სებასტიან...

თარიღი

## 30 ივნისი-6 ივლისი

**30. 06. 1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია.

**01. 07. 1904 წ.** საზეიმოდ გაიხსნა ზაფხულის ოლიმპიური თამაშები სენტ-ლუისში (აშშ).

**02. 07. 1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ეროვნული ფედერაცია.

**02. 07. 1952 წ.** დაიბადა **ვლადიმერ გრუზდევი** (აფროსანი, **გურამ ბიგანიშვილის** მეწყვილე).

**02. 07. 1952 წ.** დაიბადა **ანდრო ცხოვრებოვი** - თავ. ჭიდაობა. გარდაიცვალა 1991 წელს.

**03. 07. 1933 წ.** დაიბადა **გურამ აბაშიძე** - კალათბურთ.

**04. 07. 1969 წ.** სუ-ალტოს მწვერვალზე (დოლომიტები, იტალია) დაიღუპა ლეგენდარული ქართველი მთამსვლელი **მიხეილ ხერგიანი** (დაიბ. 1932 წელს).

**05. 07. 1958 წ.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა ავსტრიაში ვენის „ვიენას" 6:2 მოუგო - ამხანაგური მატჩი.

**05. 07. 1990 წ.** დაფუძნდა ხელბურთის ეროვნული ასოციაცია.

**05. 07. 1964 წ.** დაიბადა **ლერი ხაბელოვი** - თავისუფალი ჭიდაობა.

**05. 07. 1967 წ.** დაიბადა **თენგიზ თედორაძე** - ბ/რ ჭიდაობა.

**06. 07. 1960 წ.** სსრ კავშირის საფეხბურთო ნაკრებში შედგა **გივი ჩოხელის** დებიუტი.

**06. 07. 1973 წ.** დაიბადა **გიორგი ქინქლაძე** - ფეხბურთი.

თქვენთვის, ერუდიტებო!

**1. ვინ იყო საქართველოში პირველი ველოსიპედისტი?**

ა — მომღერალი ლადო კავსაძე  
ბ — არკადი ხაბურზანია  
გ — თავადი ვასილ ჯორჯაძე

**2. რიგით მერამდენე მწვრთნელია თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბში ალექს გარსია?**

ა — მეხუთე  
ბ — მეექვსე  
გ — მეშვიდე

**3. რომელ წელს ითამაშა პირველად სსრ კავშირის საფეხბურთო ნაკრებში გივი ჩოხელმა?**

ა — 1958 წელს  
ბ — 1959 წელს  
გ — 1960 წელს

**4. რომელმა მორაგბემ მოიპოვა საქართველოდან პირველმა საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული?**

ა — მამუკა გორგოძემ  
ბ — დავით ზირაქაშვილმა  
გ — გოდერძი შველიძემ

**5. საქართველოს რამდენგზის ფალავანია ალექსი დავითაშვილი?**

ა — რვაგზის  
ბ — ცხრაგზის  
გ — თერთმეტგზის

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-გ, 4-ბ, 5-ა.

სათავეები

# თავისუფალი ჭიდაობა

საქართველოში თავისუფალი (იგივე ინგლისურ-ამერიკული) ჭიდაობა 1944 წელს შემოვიდა. იმ წელს ჭიდაობის ცნობილი სპეციალისტის **ვახტანგ კუხიანიძის** ხელმძღვანელობით თბილისში მოეწყო მწვრთნელთა პირველი საკავშირო სემინარი, რომელმაც სათავე დაუდო თავისუფალი ჭიდაობის ისტორიას მთელ საბჭოთა კავშირში. თბილისშივე გადაწყდა, რომ სსრკ პირველი ჩემპიონატი 1945 წელს ლენინგრადში ჩატარებულიყო. ამ ჩემპიონატში შვიდი წონითი კატეგორიიდან ოთხში გაიმარჯვეს საქართველოს წარმომადგენლებმა: **ვასილ ილურიძემ, დავით ციმაკურიძემ, ვალარშაკ მაჩკალიანმა** და **არსენ მეკოკიშვილმა.** აქედან მოყოლებული, მრავალი წლის განმავლობაში ქართველი მოჭიდავეები ლიდერობდნენ საბჭოთა კავშირში, წარმატებით გამოდიოდნენ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### ღირსშესანიშნავი თარიღი



# ყველაზე დიდი გამარჯვება: 29 ივნისს, 49 წლის წინათ...

## დინამო-რეალი ციფრებში

49 წლის წინათ, 1962 წლის 29 ივნისს თბილისის „დინამომ" ქართული სპორტის ისტორიაში არნახულ წარმატებას მიაღწია - მოიპოვა ჩემპიონთა თასი.

29 ივნისი ფინალური მატჩის დღეა - დინამოელები მადრიდის „რეალს" ნეიტრალურ მოედანზე, ჟენევაში დაუპირისპირდნენ და 90:83 გაიმარჯვეს.

ჩვენების გუნდურ თამაშზე საბოლოო სტატისტიკაც მეტყველებდა - ხუთმა კალათბურთელმა 12-17 ქულებს შორის იტრიალა. ხოლო ესპანელების რიგებში მხოლოდ ამერიკელი **უეინ ჰაიტაუერი** თამაშობდა - 30 ქულა ჩააგდო. იგი 1962 წელს NBA-ს დრაფტზე „სან ფრანცისკო უორიორზმა" მე-7 ნომრად აიყვანა. ...ჰაიტაუერმა NBA-ში 1972 წლამდე ითამაშა.

- ოცდაათი წელია კალათბურთში ვარ და ასეთი საინტერესო ბრძოლა ჯერ არ მინახავს. ესპანელები ქარიშხალსა და ტექნიკას განასახიერებდნენ, ქართველები - ქარიშხალს, ტექნიკასა და სათამაშო დისციპლინას, - განაცხადა მატჩის შემდეგ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უილიამ ჯონსმა.**

გთავაზობთ შეხვედრის სტატისტიკასა და სრულ ქრონოლოგიას.

**ჩემპიონთა ლიგა 1962**

**ფინალი**

**29 ივნისი, 21:30**

დინამო-რეალი 90:83

| დინამო | ქულა | ფოლი |
|---|---|---|
| 5. ლევან მოსეშვილი | 3 | 1 |
| 6. გურამ მინაშვილი | 9 | 5 |
| 7. ილარიონ ხაზარაძე | 2 | 3 |
| 8. რევაზ გოგელია | 0 | 0 |
| 9. ვალერი ალთაბაევი | 17 | 5 |
| 10. ანზორ ლეჟავა | 16 | 4 |
| 11. ლევან ინწკირველი | 3 | 0 |
| 12. ვლადიმერ უგრეხელიძე | 14 | 5 |
| 13. ალექსანდრე კილაძე | 14 | 2 |
| 14. ალექსანდრე პეტროვი | 12 | 3 |
| 16. ამირან სხიერელი | 0 | 0 |

მწვრთნელი: ოთარ ქორქია

| რეალი | ქულა | ფოლი |
|---|---|---|
| 4. პედრო ლოპი | 0 | 0 |
| 5. ჟოსე-რამონ დურანდი | 0 | 0 |
| 6. ხულიო დესკარტინი | 0 | 0 |
| 7. მანუელ საინსი | 4 | 3 |
| 8. ხოსე ლუისი | 5 | 5 |
| 9. ანტონიო პალმერო | 0 | 0 |
| 10. ემილიანო როდრიგესი | 21 | 3 |
| 11. კარლოს სევილიანო | 11 | 4 |
| 12. უეინ ჰაიტაუერი | 30 | 5 |
| 13. სტენლი მორისონი | 12 | 5 |
| 14. ლორენცო ალოცენი | 0 | 0 |

მწვრთნელი: პედრო ფერანდისი

**ქრონოლოგია**

| | |
|---|---|
| **I ტაიმი** | |
| **1 წუთი** | |
| 2:0 | ალთაბაევი |
| **2 წუთი** | |
| 4:0 | ალთაბაევი |
| 4:2 | ლუისი |
| **3 წუთი** | |
| 6:2 | ხაზარაძე |
| 6:4 | ჰაიტაუერი |
| 6:6 | როდრიგესი |
| **4 წუთი** | |
| 8:6 | ალთაბაევი |
| 8:8 | მორისონი |
| 8:10 | სევილიანო |
| **5 წუთი** | |
| 8:12 | როდრიგესი |
| 10:12 | ლეჟავა |
| 12:12 | ლეჟავა |
| 12:13 | ჰაიტაუერი |
| 14:13 | მინაშვილი |
| **6 წუთი** | |
| 14:14 | ჰაიტაუერი |
| **7 წუთი** | |
| 15:14 | მინაშვილი |
| 17:14 | ლეჟავა |
| **9 წუთი** | |
| 19:14 | კილაძე |
| **10 წუთი** | |
| 19:16 | სევილიანო |
| 21:16 | ალთაბაევი |
| 21:18 | როდრიგესი |
| **11 წუთი** | |
| 21:20 | როდრიგესი |
| **12 წუთი** | |
| 21:22 | ჰაიტაუერი |
| 23:22 | მინაშვილი |
| 23:24 | მორისონი |
| **13 წუთი** | |
| 25:24 | მინაშვილი |
| 26:24 | მოსეშვილი |
| 28:24 | პეტროვი |
| **14 წუთი** | |
| 28:26 | ლუისი |
| **15 წუთი** | |
| 30:26 | პეტროვი |
| 30:27 | სევილიანო |
| **16 წუთი** | |
| 32:27 | პეტროვი |
| 34:27 | კილაზე |
| 34:29 | ჰაიტაუერი |
| **17 წუთი** | |
| 36:29 | პეტროვი |
| 36:31 | ჰაიტაუერი |
| **18 წუთი** | |
| 36:32 | ლუისი |
| 36:34 | ჰაიტაუერი |
| **19 წუთი** | |
| 36:36 | ჰაიტაუერი |
| 38:36 | პეტროვი |
| **II ტაიმი** | |
| **21 წუთი** | |
| 38:38 | როდრიგესი |
| 38:40 | როდრიგესი |
| 40:40 | ლეჟავა |
| **22 წუთი** | |
| 40:42 | ჰაიტაუერი |
| 42:42 | უგრეხელიძე |
| 42:44 | როდრიგესი |
| 44:44 | კილაძე |
| **23 წუთი** | |
| 44:46 | მორისონი |
| 46:46 | უგრეხელიძე |
| 46:48 | მორისონი |
| 48:48 | მინაშვილი |
| **24 წუთი** | |
| 48:50 | სევილიანო |
| 50:50 | ლეჟავა |
| **25 წუთი** | |
| 51:50 | ლეჟავა |
| 53:50 | უგრეხელიძე |
| 53:52 | როდრიგესი |
| **26 წუთი** | |
| 55:52 | ალთაბაევი |
| 55:54 | ჰაიტაუერი |
| 57:54 | ლეჟავა |
| **28 წუთი** | |
| 57:55 | ჰაიტაუერი |
| 58:55 | ალთაბაევი |
| **29 წუთი** | |
| 60:55 | კილაძე |
| 62:55 | ალთაბაევი |
| **30 წუთი** | |
| 62:57 | ჰაიტაუერი |
| 62:59 | ჰაიტაუერი |
| **31 წუთი** | |
| 64:59 | კილაძე |
| 66:59 | უგრეხელიძე |
| 66:61 | ჰაიტაუერი |
| **32 წუთი** | |
| 68:61 | ალთაბაევი |
| 68:62 | ჰაიტაუერი |
| 70:62 | უგრეხელიძე |
| 70:64 | მორისონი |
| **33 წუთი** | |
| 70:66 | როდრიგესი |
| 72:66 | უგრეხელიძე |
| 74:66 | კილაძე |
| 76:66 | ლეჟავა |
| **34 წუთი** | |
| 77:66 | ლეჟავა |
| **35 წუთი** | |
| 77:68 | სევილიანო |
| 79:68 | ალთაბაევი |
| 79:70 | ჰაიტაუერი |
| **36 წუთი** | |
| 81:70 | უგრეხელიძე |
| 83:70 | ინწკირველი |
| 83:72 | სევილიანო |
| 83:74 | როდრიგესი |
| **37 წუთი** | |
| 85:74 | კილაძე |
| 85:76 | მორისონი |
| **38 წუთი** | |
| 85:78 | ჰაიტაუერი |
| 85:80 | საინსი |
| 87:80 | პეტროვი |
| 87:81 | როდრიგესი |
| 87:83 | საინსი |
| **39 წუთი** | |
| 89:83 | მოსეშვილი |
| 90:83 | ინწკირველი |

### საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

# ჰოლანდიაში გენერალურისთვის

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ჰოლანდიაში საკონტროლო მატჩების გასამართავად მიემგზავრება. ჩვენი 20-წლამდელთა გუნდი ნიდერლანდებში ხუთშაბათს, თბილისი-სტამბოლი-ამსტერდამის რეისით გაფრინდება, სადაც ქალაქ ზვოლეში 1-3 ივლისს ავსტრიის 20-წლამდელებსა და მასპინძლებს დაუპირისპირდება. ეს მატჩები საქართველოს ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის ტურნირის წინ გენერალური რეპეტიცია იქნება.

ნაკრების მომზადებაზე მთავარი მწვრთნელი **დავით უსტიაშვილი** მოგვითხრობს:

*- 20 დღეა, შეკრებაზე ვართ და გარკვეული წინსვლაც გვაქვს. ვმუშაობდით როგორც ფიზიკური, ისე კომბინაციური თამაშის დახვეწაზე. ჰოლანდიაში გასამართი მატჩები კარგი საშუალება იქნება საიმისოდ, რომ ჩვენი შრომის შედეგი დავინახოთ. რა მინუსებიც გვაქვს, იმის აღმოფხვრაზე ვიმუშაოთ და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს უფრო მომზადებულები შევხვდეთ.*

დავით უსტიაშვილმა ასევე გვითხრა, რომ საქართველოში ჰოლანდიიდან ორი ფაქსი მოვიდა, ერთში ეწერა, რომ ავსტრიის გარდა ქართველებს ჰოლანდიის 20 და 23-წლამდელთა ნაკრებებთან მოუწევთ თამაში, ხოლო მეორე ფაქსის მიხედვით ჩვენს გუნდს ერთხელ ავსტრიელებთან უნდა ეთამაშათ და ორჯერ 20-წლამდელ ჰოლანდიელებთან. ზვოლეში რეალურად არ გუნდები დაგვხვდებიან, ამას ჰოლანდიაში ჩასვლის შემდეგ ვნახავთო, - გვითხრა მწვრთნელმა.

**შესაძლებელია...**

აქვე გთავაზობთ ინტერვიუს 20-წლამდელთა ნაკრების გამთამაშებელ **გივი ბაქრაძესთან**, რომელიც გასულ სეზონში „არმიის" ღირსებას იცავდა, თუმცა გაისად ამ კლუბში აღარ ითამაშებს. გივის თავდაპირველად 20-წლამდელთა ნაკრების მზადყოფნაზე ვკითხეთ:





- ფიზიკური მომზადება რამდენიმე დღის წინ დავასრულეთ. თავს ყველა კალათბურთელი კარგად გრძნობს, ნორმალურ კონდიციებში ვართ. ჰოლანდიაში საკონტროლო მატჩები ჩვენს მომზადებაზე უკეთეს წარმოდგენას შეგვიქმნის და თბილისში ჩამოსვლის შემდეგ კიდევ შვიდი დღე გვექნება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებამდე...

**- B დივიზიონის მატჩებისთვის თუ სასურველ კონდიციებში იქნებით, წარმატებაზე ფიქრიც შეიძლება...**

- ამის იმედი ჩვენც გვაქვს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კარგი შემადგენლობა გვყავს. ყველა პოზიცია თანაბრადაა დაბალანსებული.

**- შეთამაშების პრობლემაც არ უნდა გქონდეთ...**

- ეს კალათბურთელები ერთად 2007 წლიდან ვთამაშობთ. პირველად საერთაშორისო სარბიელზე სწორედ 2007-ში გავედით, ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშეთ. შემდეგ 2009 წელს გამოვედით ჭაბუკთა ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირზე. ვფიქრობ, ერთმანეთს კარგად ვუგებთ, რაც ჩვენს თამაშზეც დადებითად უნდა აისახოს.

**- B დივიზიონში საქართველოს ნაკრების მეტოქეებს თუ იცნობ?**

- ჩვენი თაობის მეტოქე კალათბურთელებზე მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა მაქვს, რადგან კადეტთა ასაკიდან თითქმის ყველასთან გვითამაშია. პოლონეთს, ესტონეთს, რუმინეთს და შვეიცარიას კარგი შემადგენლობები ჰყავთ, მაგრამ ისეთი გამორჩეული არავინაა, რომ უშანსოდ ვიყოთ. ვიბრძოლებთ და იმედია, წარმატებასაც მივაღწევთ.

| მოთამაშე | ამპლუა | დაბადების თარიღი | სიმაღლე | გუნდი |
|---|---|---|---|---|
| იოსებ ლეჟავა | გამთამაშებელი | 31.05.1991 | 187 | სამედიცინო |
| ტატო თავართქილაძე | გამთამაშებელი | 16.02.1991 | 192 | სამედიცინო |
| გივი ბაქრაძე | გამთამაშებელი | 21.05.1991 | 183 | არმია |
| ბექა ჩიკვილაძე | მსროლელი | 12.02.1992 | 195 | სტუ |
| მერაბ ბოძოლიშვილი | მსროლელი | 27.02.1992 | 200 | აველინო. იტალია |
| დუდა სანაძე | მსროლელი | 25.07.1992 | 197 | ბათუმი |
| აკაკი ლომოური | მს. ფორვარდი | 17.01.1991 | 198 | სტუ |
| ნოდარ თენიეშვილი | მძ. ფორვარდი | 07.06. 1992 | 197 | ბათუმი |
| დავით დეკანოიძე | მძ. ფორვარდი | 19.12.1991 | 198 | შსს |
| თორნიკე შენგელია | მძ. ფორვარდი | 05.10.1991 | 207 | პევინსტერი, ბელგი |
| გიორგი რევაზაშვილი | ფორვარდი | 24.01.1991 | 209 | მაკაბი |
| ბექა ბექაური | ცენტრი | 18.01,1991 | 108 | სამედიცინო |
| აკაკი დვალიშვილი | ცენტრი | 14.02.1991 | 206 | სამედიცინო |

### საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები

# მიქელაძე არ დაშავებულა

**მიხეილ ბერუაშვილის** მიერ გაწვრთნილი 18-წლამდელთა ნაკრები უკრაინის ჭაბუკთა გუნდთან საწყისი 2 მარცხის შემდეგ მესამე შეხვედრაში გამარჯვებას მიუახლოვდა, თუმცა ბოლო წუთზე მასპინძლებმა უკეთ ითამაშეს და 74:71 გაიმარჯვეს.

ქუთაისელ **გიორგი ცირეკიძეზე** უკრაინის კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდმა დაწერა: *„ქართველების მწვრთნელმა მიხეილ ბერუაშვილმა უკრაინელ ვიზავის ცირეკიძის სახით სიურპრიზი მოუმზადა, რომელმაც წინა მატჩი საერთოდ გამოტოვა, ხოლო პირველ შეხვედრაში გამორჩეული არ ყოფილა. ცირეკიძემ ქართველების მთლიანად მოპოვებული ქულების მესამედზე მეტი ჩააგდო - 25 ქულითა და შეტევაში მოპოვებული 5 მოხსნით მან დიდი პრობლემები შეუქმნა უკრაინელებს. სანამ გიორგი მოედანზე იყო, დაახლოებით თანაბარი თამაში მიდიოდა, ხოლო მესამე მეოთხედში მწვრთნელმა ცირეკიძე მოედნიდან გაიყვანა და მასპინძლების უპირატესობამაც ამ დროს გადააბიჯა 10-ქულიან ზღვარს".*

ცირეკიძე კვლავ დაბრუნდა მოედანზე, ამასობაში **ირაკლი მიქელაძეც** ამოქმედდა, ფოთელმა დებიუტანტმა, **კახა ჯინჭარაძემაც** შეაშველა ჩვენებს ხელი და ქართველებმა ბოლო წუთებზე ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირეს. გადამწყვეტ მომენტში უკრაინელებს გაუმართლათ. მათმა ლიდერმა **ანატოლი შუნდელმა** საჭირო ბურთები ჩააგდო და საბოლოოდ მასპინძლებმა 3 ქულის სხვაობით იმარჯვეს.

საქართველოს ნაკრებმა ამით დაასრულა უკრაინული ტურნე და საქართველოში გამობრუნდა. ბერუაშვილის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მომზადებას თბილისში გააგრძელებს.

უკრაინელებზე დაყრდნობით დავწერეთ, რომ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს მეორე მატჩში გამთამაშებელი ირაკლი მიქელაძე დაუშავდა, თუმცა ეს მცდარი ინფორმაცია აღმოჩნდა: როგორც კიევიდან დაბრუნებულმა მწვრთნელთა კონსულტანტმა **გელა წულაძემ** გვითხრა, მიქელაძეს ტრავმა არ მიუღია, დაშავდა **ილია ჯიშიაშვილი,** რომელმაც კუნთი დაიზიანა. თუმცა ტრავმა სერიოზული არ არის.

**უკრაინა-საქართველო 74:71**

**19:17, 18:15, 21:17, 16:22**

**უკრაინა:** შუნდელი (19ქ, 5მ, 3პ), სმირნოვი (14), არტამონოვი (10)

**საქართველო:** ცირეკიძე (25ქ, 7მ, 3ჩ), მიქელაძე (11ქ, 7მ, 5პ, 5ჩ), ჯინჭარაძე (10ქ, 4მ), ნადირაძე (7ქ, 5მ)

### საქართველო და ევრობასკეტი

# ნაკრების ახალი პარტნიორი

გუშინ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** და კომპანია „ბორჯომის" გენერალურმა დირექტორმა **ზაზა კიკვაძემ** ხელი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ ეროვნული ნაკრების თბილისში მყოფი ყველა წევრი: **ნიკა ცქიტიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, ნიკა მეტრეველი, ლაშა გამყრელიძე, გიორგი ცინცაძე, კოტე ტულუში, ანატოლი ბოისა, ლაშა ფარლალავა, ლევან ფაცაცია, მიხეილ ბერიშვილი...**

*- ეროვნული ნაკრების პარტნიორად ასეთი სერიოზული კომპანიის გამოჩენა ჩვენთვის საამაყო და სასიხარულოა. იმედია, ნაკრები ყველას იმედებს გაამართლებს,* - აღნიშნა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა.

ზაზა კიკვაძემ დასძინა:

*- დღეს გაფორმებული პარტნიორობით, პირველ რიგში, მხარდაჭერას ვუცხადებთ ჩვენს ეროვნულ ნაკრებს მეტად საპასუხისმგებლო თამაშების დროს, რომლებიც ლიტვაში გაიმართება ევროპის ჩემპიონატის ფარგლებში. ჩვენი კომპანია გარკვეულწილად მოვალეც არის გვერდით დაუდგეს გუნდს, რომელსაც ასეთი დიდი მისია აკისრია - საქართველოს სახელის საერთაშორისო არენაზე გატანა.*

გვერდი მოამზადა

**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# გამოუყენებელი შესაძლებლობების მწარე საზღაური



ბურთით ირაკლი ღვინჯილია (ლოკომოტივი)

| | |
|---|---|
| არმაზი | 15 |
| ლოკომოტივი | 19 |

**არმაზი** (15-9) ჩხაიძე (კოტორაშვილი 57), სირაძე, კაიფაჯიანი, მისრიაშვილი, ხუციშვილი, კიკნაძე, მჟავანაძე. (1-8) ჩომახაშვილი, სოსელია, ბუკია, ჭელიძე, ჯიშკარიანი, თიგიშვილი, მინაშვილი, ჟლენტი (თაგაური 41)

**5ს:** კიკნაძე

**ლოკომოტივი** (15-9) კავთიძე, კობერიძე, ბერძენიშვილი, ხაჩირაშვილი, ჟამუტაშვილი, კვინიხიძე, ღვინჯილია. (1-8) ელოშვილი, ზარიძე (ნადირაძე 57), ვეფხვაძე, გუნიავა, ოზგებაშვილი, გენებაშვილი, ჩიტიძე, მაისურაძე

**ლ:** მაისურაძე. 4ს, გ: კვინიხიძე

**მსაჯი:** ნ.რობიტაშვილი

დიდ დიღომში, „ვისოლის" სარაგბო სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო, მეშვიდე ტურის გადატანილი ერთი შეხვედრა გაიმართა. საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „ლოკომოტივმა", რომელიც დღესდღეობით მისთვის უჩვეულო მე-5 ადგილზე იმყოფება, სატურნირო ცხრილის მეზობელ „არმაზს" უშეღავათო ბრძოლაში ოთხი ქულის სხვაობით მოუგო -19:15.

თამაში საკმაოდ საინტერესო გამოდგა, რადგან ბოლო წუთებამდე გამარჯვებულის ვინაობის გამოცნობა ძნელი იყო. წარმატების მიღწევის შანსი არმაზელებსაც ჰქონდათ, თუმცა ვერ გამოიყენეს. ამაზე ოდნავ ქვემოთ.

რაც შეეხება „ლოკომოტივს", გამარჯვების მიუხედავად გუნდი შორსაა მისთვის საუკეთესო ფორმისგან, ხარვეზი თამაშში ბევრია და თუ ეს მატჩი რკინიგზელებისთვის სავალალოდ არ დასრულდა, დაცვაში მეტ-ნაკლებად კარგი თამაშისა და მეტოქის დამსახურებაა.

შეხვედრა საქართველოს ჩემპიონებმა აქტიურად დაიწყეს და მგეზავმა **ბობა კვინიხიძემ** ანგარიში მესამე წუთზე ზუსტი საჯარიმოთი გახსნა - 3:0. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე გუნდის მგეზავებმა, კვინიხიძემ და **დავით კიკნაძემ** ასპროცენტიანი შედეგი აჩვენეს. მათ მიერ დარტყმული ყველა საჯარიმო და გარდასახვა მიზანში მოხვდა.

რკინიგზელებმა ზეწოლა გააძლიერეს და ხუთი წუთის შემდეგ საკმაოდ ეფექტური იერიშის შემდეგ ლელოც გაიტანეს. რამდენიმეფაზიანი შეტევა „ლოკომოტივმა" მეტოქის მოედნის ნახევარზე მოლით განაგრძო, მერე 22-მეტრიან ზონაში კარის პირდაპირ მესამეხაზელმა ზვიად მაისურაძემ ხაზი გაჭრა და „არმაზის" ჩათვლის მოედანში შეაღწია. კვინიხიძემ გარდასახა - 10:0.

ეს საკმაოდ „ომახიანი" დასაწყისი იყო, თუმცა „არმაზი" ბედთან შეგუებას არაფრით აპირებდა. გუნდის ლიდერის, შერკინების კვაჭის **გიორგი სოსელიას** თავგანწირულ თამაშს თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი და მე-20 წუთისთვის არმაზელებმა ანგარიშის ოთხ ქულამდე შემცირება შეძლეს. ორი საჯარიმო მგეზავი **დავით კიკნაძის** ანგარიშზეა - 6:10.

„ლოკომოტივმა" ზურგს უკან წამოწეული მეტოქის სუნთქვა იგრძნო და ისევ აქტიურად ათამაშდა. 26 წუთიდან მოყოლებული სამ-სამ წუთიანი კვინიხიძემ ზედიზედ სამი საჯარიმო გაიტანა და ანგარიშში სხვაობა 13 ქულამდე გაზარდა - 19:6.

რკინიგზელთა აქტიურობას ისევ „არმაზის" შეტევები მოჰყვა. მათ მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში სამჯერ მიეცათ საშუალება დერეფნიდან მოლი აეგორებინათ და ლელოს გატანა ეცადათ, თუმცა სამივეჯერ, აუტიდან ბურთი თამაშში უხეიროდ შემოიტანეს და სამივეჯერ შეტევა ჩაეშალათ.

ბოლოს არმაზელებმა ისლა იხეირეს, რომ ტაიმის ბოლო წამებზე კიკნაძის საჯარიმოთი ანგარიშის ათ ქულამდე შემცირება შეძლეს - 9:19. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ 20 წუთის განმავლობაში უპირატესობას „არმაზი" ფლობდა. რკინიგზელებს ძირითადად თავის დაცვა უწევდათ, თუმცა ამას იმდენად კარგად აკეთებდნენ, რომ მეტოქეს ერთი სალელოვე შეტევის წამოწყების საშუალებაც არ მისცეს. თუმცა, ცხადია, ისინი შეცდომებსაც უშვებდნენ, რითაც კიკნაძემ იხეირა, ორი საჯარიმო გაიტანა და მე-60 წუთისთვის ანგარიშში სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირა - 15:19.

„ლოკომოტივმა" საფრთხე იგრძნო და ისევ გააქტიურდა. ნელ-ნელა რკინიგზელებმა სათამაშო უპირატესობის მოპოვებაც შეძლეს, რაც ძირითადად, მაინც მეტოქის მიერ დაშვებული შეცდომებით იყო განპირობებული. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ კვინიხიძემ რამდენჯერმე კარში დასარტყმელი საჯარიმო აუტში გადაიტანა.

ერთი სიტყვით, „ლოკომოტივს", ისე გამოვიდა, რომ 32-ე წუთიდან მოყოლებული მონაგარისთვის ალარაფერი დაუმატებია. „არმაზს" კი, თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე, კიდევ ერთხელ მიეცა მატჩის გადარჩენის შანსი. კიკნაძემ საჯარიმოდან ბურთი აუტში მეტოქის ლელოდან შვიდ მეტრში გადაიტანა. არმაზელებმა დერეფანში ისევ ნაცადი კომბინაციით სცადეს ბურთის მოპოვება, მაგრამ ისევ უხეიროდ ააგდეს, რასაც „ლოკომოტივის" კონტრშეტევა მოჰყვა.

თამაშის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე, რკინიგზელებმა საჯარიმოს შესრულების უფლება მოიპოვეს. კვინიხიძემ ისევ აუტში დაარტყა. დერეფანი მეტოქისგან განსხვავებით სუფთად მოიგეს, მოლიც შეკრეს, მაგრამ არმაზელთა წინააღმდეგობის დაძლევა ვერაფრით შეძლეს. თამაში რაკში გადავიდა, იქ კი „არმაზის" მორკინალებმა თამაშის წესი დაარღვიეს. მატჩის დრო ამოწურული იყო, კვინიხიძემ ბურთი ისევ აუტში გადაიტანა და არბიტრმა შეხვედრის დასრულების ნიშანი მისცა.

„ლოკომოტივმა" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა, თუმცა სატურნირო ცხრილში ისევ მე-5 საფეხურზე დარჩა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 6 | 6 | 0 | 0 | +95 | 12 |
| 2.არმია | 6 | 4 | 1 | 1 | +21 | 9 |
| 3.აკადემია | 7 | 3 | 2 | 2 | +8 | 8 |
| 4.ლელო | 7 | 4 | 0 | 3 | +36 | 8 |
| 5.ლოკომოტივი | 7 | 4 | 0 | 3 | +22 | 8 |
| 6.არმაზი | 7 | 2 | 1 | 4 | -31 | 5 |
| 7.ხარები | 6 | 1 | 0 | 5 | -66 | 2 |
| 8.ყოჩები | 6 | 0 | 0 | 6 | -85 | 0 |

VII ტური

აია-არმია



გიორგი მჟავანაძე (არმაზი)

მეტოქეები



# ნარშავები ქენთერბერიმ ახალი ტექნოლოგიით შეაიარაღა

შოტლანდიის ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ, ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე საასპარეზოდ, სპეციალურად შეკერილი ახალი სათამაშო ფორმის პრეზენტაცია გამართა. პირველად „ნარშავების" ისტორიაში კვართებზე გამოჩნდა ოქროსფერი დეტალი, რამაც ფორმა ბევრად ეფექტური გახადა.

„სკოტებს" ახალი სათამაში ფორმა საყოველთაოდ ცნობილმა კომპანია „ქენთერბერიმ" შეუკერა. ამ ფირმის წარმომადგენლები დიდხანს იმყოფებოდნენ შოტლანდიელთა სავარჯიშო ბანაკში და კვართები სრულიად ახალი ტექნოლოგიით შეკერეს.

ყველა მოთამაშეს მკერდის არეში სპეციალურად ჩაკერილი განსხვავებული ქსოვილი აქვს, რათა ბურთის კონტროლი გაუადვილდეს. ამასთან, მორკინალებს დამატებითი ხელჩასჭიდი ადგილები აქვთ მხრებსა და წელზე, რათა შერკინებისას უფრო მჭიდროდ მოეკიდონ ერთმანეთს.

*„მოხარულნი ვართ, რომ „ქენთერბერის" სპეციალისტთა ხანგრძლივი შრომა ნაყოფიერი გამოდგა. კარგია, რომ მათთან თანამშრომლობით სარაგბო ატრიბუტიკის შექმნაში ნოვატორული იდეების განხორციელებას შევუწყვეთ ხელი. იმედი გვაქვს, მსოფლიოს თასზე ახალი ტექნოლოგიით შექმნილი კვართები მიზნის მიღწევას ბევრად გაგვიადვილებს"* - თქვა შოტლანდიელთა ინგლისელმა თავკაცმა **ენდი რობინსონმა.**

ამ სიახლესთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა „ქენთერბერის" პრეზიდენტმა **კრის სტივენსონმა:**

*„ეს კომპლექტი ჩვენი ყველაზე თანამედროვე ნაწარმია. ყოველთვის ვცდილობდით რაც შეიძლება გამძლე, თუმცა მაინც მსუბუქი მაისური შეგვექმნა. ვფიქრობ, შოტლანდიელებთან მჭიდრო თანამშრომლობის წყალობით ეს მოვახერხეთ.*

*ვამაყობთ, რომ შოტლანდიის ნაკრებთან უშუალო კავშირი გვექნება როგორც მსოფლიოს თასზე, ისე მისი დასრულების შემდეგაც და ყოველთვის მზად ვართ, დავეხმაროთ."*

შეგახსენებთ, რომ შოტლანდიის ნაკრები ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე „ბორჯღალოსანთა" პირველი მეტოქეა ჯგუფურ ეტაპზე. ჩვენი მორაგბეები „ნარშავებს" 14 სექტემბერს ინვერქარგილში დაუპირისპირდებიან.

მსოფლიოს ჩემპიონატი

# ფრანგები მარკუსიში შეიკრიბნენ

საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიოს თასისთვის მზადება დაიწყო. „ლე ბლეს" თავკაცმა **მარკ ლივერმონმა** საწვრთნელ ცენტრ „მარკუსიში" 33 მორაგბე შეკრიბა. პირველი დღე კონტრაქტებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს დაეთმო. მოთამაშეები ფოტო და ტელეკამერების წინაშე პოზირებდნენ, რაც ფრანგთა უმთავრესი გუნდის სპონსორების სარეკლამო ბილბორდების ფონზე მიმდინარეობდა.

ამასთან, ლივერმონმა საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალისტების, „ტულუზისა" და „მონპელიეს" მორაგბეებს დამატებითი ფიზიკური და სამედიცინო შემოწმების გავლა დაავალა. აღსანიშნავია, რომ გამოძახებულთა სიიდან შეკრებაზე ჯერჯერობით არ იმყოფებიან **ორელიან რუჟერი** და **ტომას დომინგო.** ისინი ტრავმირებულნი არიან.

შეკრების მეორე დღეს ნაკრების საფრანგეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტ **პიერ კამიუს** და ოლიმპიური მზადების ცენტრის მენეჯერ **ჯო მაზოს** შეხვდებიან.

ფრანგთა გუნდი მზადების ოთხ ეტაპს, სამშობლოში, ოთხ სხვადასხვა ქალაქში გაივლის. ამ დროის განმავლობაში უნდა გაირკვეს, მოიშუშებენ თუ არა მიკროტრავმებს **დიმიტრი სზარჟევსკი, ვილიამ სერვა, ფაბიენ ბარსელა, მაქსიმ მერმოსი** და **დამიენ ტრაი.** მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე საფრანგეთის ნაკრები აგვისტოს მეორე ნახევარში ორჯერ ეთამაშება ირლანდიის ეროვნულ გუნდს. რის შემდეგაც ლივერმონი იმ 30 მორაგბის ვინაობას განაცხადებს, ვინც ახალ ზელანდიაში ვებ ელისის თასისთვის იბრძოლებს.

**საფრანგეთის ნაკრები**

პირველი ხაზი: **ვილიამ სერვა, დიმიტრი სზარჟევსკი, ფაბიენ ბარესელა, ტომას დომინგო, ჟან-ბატისტ პუ, ლუკ დუკალკონი, ნიკოლას მასი, სილვენ მარკონე.**

მეორე ხაზი: **პასკალ პაპე, ჟულიენ პიერი, რომან მიო-შლუსკი, ლიონელ ნალე.**

მესამე ხაზი: ჟულიენ ბონერი, იმანოლ არინორდოკი, ტიერი დუსოტუარი, ფულენსე უოდრაოგო, რაფაელ ლაკაფია, ლუი პიკამოლი.

№9: მორგან პარა, დიმიტრი იაშვილი

№10: დავიდ სკრელა, ფრანსუა ტრინდუკი

**№12-13:** ფაბრის ესტებანესი, მაქსიმ მერმოსი, დავიდ მარტი, ორელიან რუჟერი.

№11-14: ალექსის პალისონი, ვინსან კლერი, იონ უგე, სერდიკ ემონსი.

№15: მაქსიმ მედარი, დამიენ ტრაი.

გვერდი მოამზადა

**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA დრაფტი 2011

# მოგებულები და წაგებულები

**ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დრაფტის ცერემონია გაიმართა და პარალელურად რამდენიმე საინტერესო ტრეიდი განხორციელდა. საინტერესოა, ვინ რა მოიგო და რა დაკარგა ამ გარიგებებით?**




## ატლანტა

თავის დროზე, პირველ რაუნდში არჩევანი „ჰოქსმა" ტრეიდში ჩართო, რითაც **კირკ ჰაინრიხი** გადაიბირა. ამ დრაფტზე ერთადერთი შენაძენი გახდა ოკლენდის ცენტრი **კიტ ბენსონი**. საკმაოდ კარგი არჩევანი 48-ე ნომრის პირობაზე.

## ბოსტონი

„სელტიქსმა" დრაფტი თავის სტილში ჩაატარა: აიყვანა მოთამაშეები, რომელიც მას სჭირდებოდა და რომლებიც ბრძოლითა და შრომისუნარიანობით გამოირჩევიან. „ნეტსთან" ტრეიდით გადაიბირა ფორვარდი **დაჟუან ჯონსონი**, მეორე რაუნდში აიყვანა მცველი **იტაუნ მურაი**. ორივე კალათბურთელი პერდიუს უნივერსიტეტიდანაა და ორივენი მოხვდებიან ახალ სეზონში შემადგენლობაში.

## შარლოტი

ეს გუნდი დრაფტის ერთ-ერთი გამარჯვებულია. „ბობკეტსმა" იხეირა „მილუოკისთან" და „საკრამენტოსთან" გარიგებით, აგრეთვე დრაფტიც შესანიშნავად წარმართა. მეშვიდე ნომრად აირჩია საუკეთესო დამცველი **ბისმაკ ბიიომბო**, მეცხრე ნომრად - სტუდენტური ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, რომელმაც იცის გამარჯვების გემო და ნამდვილი ლიდერია - **კემბა უოკერი**.

## ჩიკაგო

„ხარებს" დრაფტზე მნიშვნელოვანი გაძლიერების იმედი არ ჰქონდათ, ამიტომაც განსაკუთრებით არ უაქტიურიათ. მათი ორი არჩევანი ვერ ბრწყინავს - **ნიკოლა მიროტიჩი** ევროპაში დარჩება, **ჯიმი ბატლერი** კი საუკეთესო შემთხვევაში კარგი სათადარიგო იქნება.

## კლივლენდი

დრაფტის პირველი ნომრის მფლობელმა ძალიან მოინდომა და გამოუვიდა კიდეც. პირველ ნომრად აირჩია **კაირი ირვინგი**, რაც არ იყო გასაკვირი - ის დრაფტის საუკეთესო მოთამაშე გახლდათ. მეოთხე ნომრად აიყვანეს **ტრისტან ტომპსონი**. ეს არჩევანი ბევრისთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ „კავალიერსი", ალბათ, სწორად მოიქცა კანადელის აყვანით. მეორე რაუნდში გუნდს ერგო **მილან მაჩვანი**.

## დალასი

ახალ ჩემპიონს არავინ აუყვანია, მაგრამ დრაფტის წყალობით **რუდი ფერნანდესი** მიიღო.

## დენვერი

კიდევ ერთი გუნდი, რომელიც კმაყოფილი უნდა იყოს დრაფტით. „პორტლენდთან" და „დალასთან" ტრეიდში „დენვერი" გამარჯვებული გამოვიდა. მან მოიშორა მისთვის უსარგებლო **ფელტონი** - ის **ანდრე მილერით** შეცვალა, რომლის კონტრაქტი იწურება. მიიღო **ჯორდან ჰემილტონი**, რომელიც დრაფტზე შესამჩნევად დაეშვა ქვემოთ, მაგრამ ძალიან პერსპექტიულია. ასევე „ნაგეტსმა" დაიმატა **კენეტ ფარიდი**, ვინც გუნდს მეტ ენერგიასა და ათლეტიზმს მოუტანს. და კიდევ, გუნდში მივიდა **ჩუკვუდიბერე მადუაბუმი**.

## დეტროიტი

„პისტონზს" წარმატებული დრაფტი ჰქონდა. პირველ რაუნდში მათ ხელში ჩაუვარდათ **ბრენდონ ნაითი**, რომელსაც ბევრი პირველ ხუთეულში მოხვედრას უწინასწარმეტყველებდა. მეორე რაუნდში გუნდმა მიიღო **კაილ სინგლერი** და **ვერნონ მაკლინი**. ეს ორი ბიჭი, ეჭვგარეშეა, დაეხმარება „დეტროიტს". მერვე ნომერ ნაითის სახით, გუნდმა კარგი გამთამაშებელი იპოვა - **როდნი სტაკი** ამ დონემდე ვერ ქაჩავდა.

## გოლდენ სტეიტი

„მეომრებმა" მე-11 ნომრად აირჩიეს მცველი **კლეი ტომპსონი**. მართალია, **მარკ ჯექსონი** ამბობდა, რომ მისი მთავარი მიზანი დაცვის გაძლიერება იქნებოდა, მაგრამ ტომპსონის არჩევანი კარგი ჩანს. მეორე რაუნდში „გოლდენ სტეიტმა" მიილო **ჯერემი ტაილერი** და **ჩარლზ ჯენკინსი**. ახლა მთავარი ამოცანა **მონტა ელისის** გაცვლაა.

## ჰიუსტონი

ამ დრაფტზე „ჰიუსტონმა" ვერ გაისროლა. კლუბმა სამი ფორვარდი აიყვანა: პირველ რაუნდში **მარკუს მორისი** და **დონატას მოტეიუნასი**, მეორეში - **ჩენდლერ პარსონი**. ასევე „მინესოტადან" გადაიბირეს **ჯონი ფლინი**. ჯერჯერობით უცნობია, რა პოზიციაზე ითამაშებს მორისი, მოტეიუნასი კი ამ დრაფტის იქსფაქტორი უნდა გახდეს. გარდა ამისა, „მინესოტასთან" ტრეიდით „ჰიუსტონმა" დაკარგა მომავალი წრის დრაფტზე პირველი რაუნდი.

## ინდიანა

„პეისერსმა" თავისი ორი არჩევანი გაუცვალა „სან ანტონიოს" **ჯორჯ ჰილში**. საკმაოდ სარფიანი გარიგება იყო.

## კლიპერსი

„კლიპერსს" არ ჰქონდა არჩევანი პირველ რაუნდში. მეორეში აიყვანა ორი მოთამაშე „ჯორჯიადან" - **ტრეი ტომპკინსი** და **ტრევის ლესლი**.

## ლეიკერსი

მეორე კალიფორნიულ კლუბსაც არ აუყვანია მოთამაშე პირველ რაუნდში. მეორე რაუნდში კი სამი კალათბურთელი აირჩიეს: **დარიუს მორისი, ენდრიუ გუდლოკი** და **ატერ მაიოკი**. მორისმა სროლა არ იცის, მაგრამ შეუძლია დიდხანს დამკვიდრდეს NBA-ში, სამაგიეროდ, კარგი ტყორცნა აქვს გუდლოკს.

## მემფისი

49-ე ნომრამდე დაეშვა **ჯოშ სელბი**. „მემფისს" ძალიან გაუმართლა, რადგან ერთი-ორი წლის შემდეგ ეს არჩევანი შეიძლება წარატებულად ჩაითვალოს. რომ არა ასაკის შეზღუდვა, შარშან სელბი აუცილებლად დრაფტის ათეულში მოხვდებოდა.

## მაიამი

„მინესოტასთან" ტრეიდის მეშვეობით მიიღეს **ნორის კოული** - კარგი გამთამაშებელი, რომელსაც შეუძლია გუნდის მოქმედებაზე კონტროლი და პერიმეტრზე კარგი დაცვა.

## მილუოკი

„ირმებმა" კარგად ჩაატარეს ეს დრაფტი. „კინგზთან" და „ბობკეტსთან" ტრეიდით შეამცირეს სახელფასო ბიუჯეტი, გარდა ამისა, დრაფტზე აიყვანეს **ტობიას ჰარისი** და **ჯონ ლეუერი**. ჰარისი კარგი მოთამაშეა, რომელიც ვარსკვლავი ვერ გახდება, მაგრამ მისგან სარგებელი დიდი იქნება, ლეუერი კი ადგილობრივი აღზრდილია, რომელიც ფანების საყვარელი მოთამაშე გახდება.

## მინესოტა

მართალია, ფორვარდის პოზიციაზე „მგლებს" გაუგებარი სიტუაცია აქვთ, მაგრამ **დერიკ უილიამსის** არჩევანი სავსებით ლოგიკური იყო. იმ მომენტისთვის ის დრაფტზე საუკეთესო მოთამაშე იყო. ასევე, მინესოტამ" მიიღო **მალკოლმ ლი** მეორე რაუნდიდან - ასევე კარგი სვლა. 57-ე ნომრად კი **ტარგაი ნგომბო** ერგო.

## ნიუ ჯერსი

„ნეტსმა" საკმაოდ კარგად იმუშავა. „ბოსტონთან" გარიგებისას მათ მიიღეს **მაშონ ბრუქსი**, რომელიც უფრო მაღალ ნომერს იმსახურებდა. ასევე „ნიუ ჯერსიში" წავიდა **ბოიან ბოგდანოვიჩი**. საკუთარი არჩევანით მეორე რაუნდში მიიღეს მერილენდის ცენტრი **ჯორდან უილიამსი** საკმაოდ კარგი პოტენციალით.

## ნიუ ორლეანი

მეორე რაუნდში „ჰორნეტსმა" კენტუკიდან **ჯონ ჰარელსონი** აიყვანა, მაგრამ შემდეგ ფულზე გაცვალა. მეტი არჩევანი ამ გუნდს არ ჰქონია.

## ნიუ იორკი

„ნიქსმა" პირველ რაუნდში აირჩია მცველი **იმან შუმპერტი** - ეს არჩევანი სულაც არ ჩანს წარმატებული. ასევე „ნიუ ორლეანს" „წაართვეს" ჰალერსონი.

## ოკლაჰომა

„თანდერის" ერთადერთი არჩევანი გახდა **რეჯი ჯექსონი** - გამთამაშებელი „ბოსტონ კოლეჯიდან". მას მუხლებთან დაკავშირებული პრობლემები აქვს, საქმისადმი მიდგომაც ეჭვს იწვევს, თუმცა ძალიან ნიჭიერი კალათბურთელია.

## ორლანდო

„ორლანდომ" „კლივლენდთან" გარიგებით მიიღო ათლეტური, უნივერსალური და მაღალი პოტენციალის ფორვარდი **ჯასტინ ჰარპერი**. ასევე მეორე რაუნდში „მეჯიქმა" თავისი არჩევანით აიყვანა **დეანდრე ლიგინსი** - შესანიშნავი შემტევი მცველი, რომელსაც არ ეშინია „შავი" სამუშაოსი და სასარგებლო მოთამაშე უნდა გახდეს.

## ფილადელფია

„სიქსერზს" სჭირდებოდა მაღალი კალათბურთელი და ამ მხრივ კლუბს ხელი მიუწვდა **ნიკოლა ვუჩევიჩზე**. ის თამაშის მანერითა და ათლეტიზმით ჰგავს **სპენსერ ჰოვსს**. მეორე რაუნდში არჩეული **ლავოი ალენი** სავარაუდოდ ვერ მოხვდება გუნდში.

## ფინიქსი

ამ დრაფტზე „სანზის" ერთადერთი არჩევანი გახდა ერთ-ერთი ძმა **მორისი**, კერძოდ, **მარკიფი**, რომელიც პროგნოზების მიუხედავად, თავის ძმაზე ადრე აირჩიეს. ძმისგან განსხვავებით, მარკიფს მკაფიო პოზიცია აქვს - ის უნივერსალია და ბევრი რამ შეუძლია. მაგრამ მიუხედავად ამისა, ალბათ ვერ შეძლებს „სანზის" ადგილიდან დაძვრას.

## პორტლენდი

„პორტლენდმა" დრაფტი წარუმატებლად ჩაატარა. თავიდან იყო ცუდი ტრეიდი „დალასთან" და „დენვერთან", არც **ნოლან სმიტის** არჩევანია წარმატებული. მიუხედავად ამისა, სმიტი შეიძლება კარგი სათადარიგო გამთამაშებელი გახდეს. მეორე რაუნდში აიყვანეს **ჯონ დიბლერი** - კარგი სნაიპერი ოჰაიო სტეიტიდან.

## საკრამენტო

**ჯიმერ ფრედეტისა** ბევრს არ სჯერა, თუმცა მისი ნიჭის უგულებელყოფაც არ შეიძლება. „კინგზმა" არცთუ ისე წარმატებული ტრეიდი განახორციელა „შარლოტთან" და „მილუოკისთან". შემდეგ აიყვანა რეკლამირებული ფრედეტი, რომელიც ჯერ გაუგებარია, როგორ წარმოაჩენს თავს NBA-ში. მეორე მხრივ, „კინგზმა" კარგად ჩაატარა მეორე რაუნდი. თავიდან აიყვანა **ტაილერ ჰანიკატი**, შესანიშნავი მოთამაშე, რომელსაც ძალისმიერი თამაში არ ეხერხება. სამაგიეროდ, ამ მხრივ პრობლემა არ აქვს კლუბის კიდევ ერთ ახალწვეულს, **აიზეა ტომასს**.

## სან ანტონიო

„სპურსს" წარმატებული დრაფტი ჰქონდა. მათ „ინდიანას" დასტყუეს **კავაი ლეონარდი** და **დევის ბერტრამსი** (ჯორჯ ჰილის ნაცვლად). ლეონარდი ათეულის პოტენციური წევრი იყო, მაგრამ დრაფტზე დაქვეითდა. მიუხედავად ამისა, სულ მალე ის კარგ მოთამაშედ უნდა იქცეს და სასტარტო ხუთეულიც არ იქნება პრობლემა. ასევე „სან ანტონიოს" დარჩა გამთამაშებელი **კორი ჯოზეფი**, რომელსაც კარგი პოტენციალი გააჩნია. და კიდევ, 59-ე ნომრად აირჩიეს **ადამ ჰანგი**.

## ტორონტო

„ტორონტოს" სასწრაფოდ დღესვე სჭირდებოდა გაძლიერება, მაგრამ მან თავისი მეხუთე არჩევანი **იონას ვალანჩუნასზე** დახარჯა, რომელიც წესით კიდევ ერთი წელი დარჩება ევროპაში. **ბრაიან კოლანჯელოს** მორიგი ცუდი სვლა. ასეა თუ ისე, ლიტველს უდიდესი პერსპექტივები აქვს.

## იუტა

„ჯაზმენებმა" ბრწყინვალედ იმოქმედეს. მათ დარჩათ დრაფტის საუკეთესო ცენტრი და საუკეთესო შემტევი მცველი - **ენეს კანტერი** და **ალექს ბრუქსი**. ისინი პირველივე დღიდან გააძლიერებენ გუნდს.

## ვაშინგტონი

საუკეთესო დრაფტი კი „ვაშინგტონს" ჰქონდა - **ვესელი** და **სინგლტონი** სასტარტო ხუთეულის წევრები უნდა გახდნენ. გაუგებარია, რატომ დაეცა სინგლტონის პოზიციები. მაგრამ მისი არჩევა **ანდრე ბლეტჩის** უმტკივნეულო ტრეიდის საშუალებას იძლევა. ასევე მეორე რაუნდში აირჩიეს **შელვინ მაკი**, რომელიც **ჯონ უოლის** დუბლიორად უნდა იქცეს.

ახალი ამბები

# ოლიმპიაკოსი ჩამოიშალა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დღის მთავარი ამბავი ასე ჟღერს: **დევიდ უესტმა** გადაწყვიტა უარი თქვას „ნიუ ორლეანში" კონტრაქტის ბოლო წელზე, რომლის მიხედვითაც მას 7 მილიონი დოლარი ერგებოდა. როგორც ჩანს, მძიმე ფორვარდს სურს ლოკაუტის დადგომამდე უფრო სარფიანი კონტრაქტი გააფორმოს. და სწორადაც იქცევა, რადგან მას ახლა მთხოვნელთა რიგი დაუდგება: „ნეტსმა", „ნიქსმა", „პეისერსმა" და სხვებმა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდის გაფორმების სურვილი გამოთქვეს.

■ ■ ■

„სან ანტონიო სპურსს" უცნაური დამოკიდებულება აქვს თავის ერთ-ერთ ლეგენდასთან, **ტიმ დანკანთან**, რომლის სახელსაც უკავშირდება ამ კლუბის „ოქროს წლები". როგორც ირკვევა, ტეხასელები ჯერ არ აპირებენ თავიანთი მთავარი ვარსკვლავისთვის კონტრაქტის შეთავაზებას. ხელმძღვანელობას სურს ერთი წელი მოიცადოს და უკვე ლოკაუტის შემდეგ შესთავაზოს ახალი ხელშეკრულება. ლოგიკური და სწორი გადაწყვეტილებაა ბიზნესის მხრივ, მაგრამ, მეორე მხრივ, ვეტერანი ასეთ მოპყრობას არ იმსახურებს.

■ ■ ■

„სპურსის" კიდევ ერთმა ლიდერმა, გამთამაშებელმა **ტონი პარკერმა** ცხადად განმარტა ლოკაუტის შემთხვევაში სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა. *„მხოლოდ ერთი პროცენტია შანსი, რომ „ვილერბანში" ვითამაშო. ეს კლუბი ვერ გასწვდება დაზღვევის თანხას"*, - ამბობს ფრანგი გამთამაშებელი.

■ ■ ■

2011 წლის დრაფტის მესამე ნომერი **ენეს კარტერი** ევროპის ჩემპიონატზე თურქეთის ნაკრების რიგებში ითამაშებს. ოღონდ ახალგაზრდა კალათბურთელს ერთი პირობა აქვს - NBA-ში აუცილებლად ლოკაუტი უნდა დაიწყოს.

რა თქმა უნდა, ეს კარგი ამბავია თურქებისთვის, რომელთა წინა ხაზი ევროპის ნებისმიერ ნაკრებს შეშურდება. კანტერი, **ერდენი, ილიასოვა, ოქური, გიონლუმი, აშიქი, სავაში** - ასეთია **ბოგდან ტანიევიჩის** არჩევანი.

■ ■ ■

ამერიკული პრესა მსჯელობს იმ პირველი „ნომრების" შესახებ, რომლებმაც ამ ეტაპზე სავარაუდოდ შეიძლება გააძლიერონ „ლოს ანჯელეს ლეიკერსი". ჯერჯერობით ასახელებენ ორ გამთამაშებელს - **კირკ ჰაინრიხსა** და **რაიმონდ ფელტონს**. რჩება გარიგების დეტალების შეთანხმება „ატლანტასთან" და „პორტლენდთან", რომლებსაც, თავის მხრივ, ამ კალათბურთელების დაკარგვის დიდი სურვილი არ აქვთ.

■ ■ ■

ბერძნული გრანდი „ოლიმპიაკოსი" თანდათან იშლება. ძმები **ანგელოპულოსები** სუპერკლუბისთვის მყიდველს ეძებენ, რადგან თავად აღარ აქვთ პირეული კლუბის დაფინანსების საშუალება. ამის შესახებ წერს ყველა ბერძნული გაზეთი. ამბობენ, რომ უახლოეს პერიოდში დაიწყება მოთამაშეთა მასობრივი გაყიდვა. **ვასილის სპანულისი** პრესამ უკვე გაუშვა „ეფეს პილსენში", თუმცა კალათბურთელის აგენტმა **მიშკო რაზნატოვიჩმა** უკვე უარყო ეს ინფორმაცია.

■ ■ ■

„ბარსელონა" კი უსაქმოდ არ ზის - ის უკვე დაინტერესდა „ოლიმპიაკოსის" გამთამაშებლით - **მილოშ ტეოდოშიჩით**. გარდა ამისა, კატალონიური კლუბი „კახა ლაბორალში" ამავე ამპლუის ბრაზილიელ **მარსელინიო უერტასზე** მუშაობს.

■ ■ ■

კიდევ ერთი სახელოვანი პლეიმეიკერი **მარკო იარიჩი** ტოვებს იტალიის „მონტეპასკის", რის შესახებაც მან თავად განუცხადა ჟურნალისტებს. სერბს საუკეთესო წლები უკან დარჩა და წელს მას ევროლიგის მოგების ბოლო შანსი ჰქონდა. სავარაუდოდ, იარიჩი დიდი კლუბებისგან შეთავაზებებს აღარ უნდა ელოდოს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ავტოსპორტი

# ბარსელონა კალენდრის მიღმა?



ბარსელონის ავტოდრომი

როგორც იცით, ივნისის დასაწყისში ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ მოიწონა 2012 წლის სეზონისთვის შედგენილი კალენდარი, რომელშიც 21 ეტაპია შესული. თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტმა **ჟან ტოდტმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კალენდარში დარჩება მხოლოდ 20 გრანპრი, ასე რომ, ერთი რბოლა იქიდან ამოსაღები იქნება.

რა თქმა უნდა, მაშინვე დაიწყო მსჯელობა იმის შესახებ, რომელი რბოლა იქნება ზედმეტი. დაასახელეს ბაჰრეინის, თურქეთისა და ჩინეთის ეტაპები, ახსენეს აშშ-ის გრაპრის დებიუტის გადადება 2013 წლისთვის, აგრეთვე ივარაუდეს ორი ესპანური ეტაპიდან ერთ-ერთის გაუქმება...

დღეს ესპანეთი ორ გრანპრის მასპინძლობს - ბარსელონასა და ვალენსიაში. თანაც ამ რბოლებს შორის მხოლოდ რამდენიმეკვირიანი ინტერვალია, რის გამოც ორივე ავტოდრომის ხელმძღვანელობა წაგებაში რჩება, ხოლო სერიოზული სახელმწიფო მხარდაჭერა ქვეყანაში მხოლოდ ერთი გრანპრის ჩატარების შემთხვევაშია შესაძლებელი. ჭორების მიხედვით, ბარსელონამ, შესაძლოა, დატოვოს კალენდარი, რადგან დაუდასტურებელი ინფორმაციის თანახმად, **ბერნი ექლსტოუნმა** უკვე გაახანგრძლივა კონტრაქტი ვალენსიასთან, თანაც მომავალი წლისთვის მას კონკრეტული თარილი გამოუყო - 20 მაისი. ეს აქამდე ბარსელონას ეტაპის ჩატარების თარილი იყო.

სხვა წყაროები ამტკიცებენ, რომ ბერნი პრესას იყენებს ესპანური ტრასებზე ზეწოლისთვის, რათა მაქსიმალურად გაზარდოს კონტრაქტის თანხები, საბოლოოდ კი კალენდარს დატოვებს ავტოდრომი, ვინც გაზრდილ გადასახადს ვერ შესწვდება. თუმცა ასეთივე ტაქტიკით შეიძლება მოიშორონ ეტაპი რომელიმე სხვა ქვეყანაში.

■ ■ ■

„რედ ბულის" ხელმძღვანელობა იმედს გამოთქვამს, რომ გააგრძელებს თანამშრომლობას „რენოსთან". როგორც იცით, ფრანგული ავტომწარმოებელი ფორმულა 1-ის დღევანდელ ლიდერს ძრავებით ამარაგებს.

მხარეები ახლოს არიან მოქმედი ხელშეკრულების გაგრძელებასთან. ეს მანამდე უნდა მოხდეს, სანამ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია არ შეცვლის წესს ძრავებთან დაკავშირებით. 2014 წლიდან გუნდები ვალდებულნი იქნებიან გამოიყენონ 1.6 ლიტრი მოცულობის 6-ცილინდრიანი ტურბოძრავა. მართალია, „რედ ბული" ყოველთვის კმაყოფილი არ იყო „რენოს" შეთავაზებული ტექნიკით, მაგრამ სწორედ ამ ძრავამ მოუტანა მას წარმატება გასულ სეზონში.

# ალონსო სამეულშია

მორიგი სარბოლო უქმეების შემდეგ განახლდა „კასტროლის" რეიტინგი, რომელიც ნებისმიერი სერიის ბოლო 12 თვის შედეგებს ითვალისწინებს.

გასული უქმეების მთავარი რბოლა ფორმულა 1-ის მორიგი ეტაპი გახლდათ და მართალია, ვალენსიაში ევროპის გრანპრიზე საინტერესო მომენტი არც ისე ბევრი იყო, სტატისტიკის მხრივ ამ ეტაპმა ბევრი საინტერესო მოგვიტანა.

ამ უქმეების შემდეგ ფორმულა 1-ის პილოტებს ჩამოაკლდათ შარშან მონრეალში მოპოვებული ქულები, სამაგიეროდ, მარაგი შეავსეს ევროპის გრანპრიზე მიღებული ქულებით. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ **სებასტიან ფეტელმა** ლიდერობის განმტკიცების მხრივ მორიგი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, რადგან შარშან მონრეალში ის პოდიუმზე ვერ ავიდა, ვალენსიაში კი გამარჯვება მოიპოვა.

ასე რომ, სებასტიანი უკონკურენციოდაა „კასტროლის" კლასიფიკაციაში, სამაგიეროდ, საინტერესო ბრძოლა მიდის მეორე ადგილისთვის. **მარკ უებერი** თითქმის ერთი წელი ინარჩუნებდა ამ პოზიციას, მაგრამ ერთი კვირით მას რალისტმა **სებასტიან ლოებმა** გაუსწრო. შემდეგ „რედ ბულის" პილოტმა დაიბრუნა დაკარგული ადგილი. ახლა კი ვალენსიაში მოპოვებული მეორე ადგილის ხარჯზე ლოებს „ფერარის" პილოტმა **ფერნანდო ალონსომაც** გაუსწრო და მესამე პოზიციაზე გადავიდა. ამ პროექტის ისტორია საკმაოდ ხანმოკლეა, ამიტომაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონისთვის ეს შედეგი საუკეთესოა.

დიდი გაჭირვებით შეინარჩუნა პირველ ხუთეულში ადგილი **ლუის ჰემილტონმა** - ბრიტანელმა ძალიან ბევრი ქულა დაკარგა, რადგან შარშან მონრეალში პირველი იყო, თუმცა მაინც არ გაუშვა წინ ინდიკარის პილოტი **უილ პაუერი**. ლუისს გაუმართლა, რადგან პაუერი აიოვაში გამართულ ეტაპზე ავარიაში მოხვდა. სამაგიეროდ, ოკეანის გაღმა სერიის მეორე პილოტმა - **დარიო ფრანკიტიმ** იმავე რბოლაში მეხუთე ადგილი დაიკავა და ამით **ჯენსონ ბატონს** გაუსწრო.



ფერნანდო ალონსო

ქვეყნების ჩათვლაში კვლავინდებურად გერმანია, ავსტრალია და ბრიტანეთი ლიდერობენ.

რეიტინგის ახალი ათეული ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. ს. ფეტელი (ფორმულა 1) | 29 658 |
| 2. მ. უებერი (ფორმულა 1) | 21 014 |
| 3. ფ. ალონსო (ფორმულა 1) | 19 916 |
| 4. ს. ლოები (რალი) | 19 869 |
| 5. ლ. ჰემილტონი (ფორმულა 1) | 18 368 |
| 6. უ. პაუერი (IndyCar) | 18 317 |
| 7. დ. ფრანკიტი (IndyCar) | 17 730 |
| 8. ჯ. ბატონი (ფორმულა 1) | 17 613 |
| 9. კ. ედვარდსი (NASCAR) | 16 809 |
| 10. ჯ. ჯონსონი (NASCAR) | 15 025 |

ჰოკეი

# მატჩება დიდების დარბაზში



ჯო ნიუვენდაიკი

კანადის ქალაქ ტორონტოში გაიმართა ჰოკეის ეროვნული ლიგის დიდების დარბაზში ახალი წევრების შეყვანის ცერემონია. ლიგის ლეგენდების გვერდით დადგნენ წარსულში ცნობილი მეკარე **ედ ბელფური**, მცველი **მარკ ჰოუ** და ფორვარდები - **დუგ გილმორი** და **ჯო ნიუვენდაიკი**.

ბელფურს ხუთ კლუბში - „ჩიკაგოში", „სან ხოსეში", „დალასში", „ტორონტოსა" და „ფლორიდაში" უთამაშია. მან ლიგაში 963 მატჩი ჩაატარა და მესამე ადგილზეა NHL-ში მოგებული მატჩების რაოდენობით - 484. 1999 წელს „დალასის" შემადგენლობაში ბელფურმა სტენლის თასი მოიგო.

ლეგენდარული **გორდი ჰოუს** ვაჟმა - მარკმა NHL-ში 16 სეზონი ჩაატარა „ჰარტფორდის", „ფილადელფიასა" და „დეტროიტის" რიგებში. მის ანგარიშზე 929 მატჩში 197 შაიბა და 545 შედეგიანი პასი მოდის.

გილმორმა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში შვიდი კლუბის - „სენტ ლუისის", „კალგარის", „ტორონტოს", „ნიუ ჯერსის", „ჩიკაგოს", „ბაფალოსა" და „მონრეალის" ღირსება დაიცვა. მისი მონაგარი 1474 მატჩს, 450 გოლსა და 964 შედეგიან პასს უდრის. 1989 წელს გილმორმა „კალგარის" რიგებში სტენლის თასი მოიპოვა.

„დალასის" დღევანდელმა გენერალურმა მენეჯერმა ნიუვენდაიკმა „კალგარის", „დალასის", „ნიუ ჯერსის", „ტორონტოსა" და „ფლორიდას" რიგებში 1257 მატჩი ჩაატარა და 1126 ქულა (564+562) დააგროვა. 1989, 1999 და 2003 წელს მან სამ სხვადასხვა კლუბში მოიგო სტენლის თასი.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| ნორვეგია-ეკვ. გვინეა | 1:0 |
| ბრაზილია-ავსტრალია | 1:0 |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **UNDER 17** | |
| ბრაზილია-ეკვადორი | 2:0 |
| უზბეკეთი-ავსტრალია | 4:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ორჰუსი-ჰორსენსი | 1:2 |
| აუსტრია (ვ)-რაპიდი | 1:2 |
| სტ. გალენი-აუსტრია (ლ) | 3:1 |
| პარტიზანი-რუსენბორგი | 0:0 |
| პლზენი-უნივერსიტატეა (კლ) | 1:2 |
| ნიტრა-დიორი | 0:1 |
| ჟილინა-უიპეშტი | 4:0 |
| შახტარი-მაკაბი (ჰ) | 2:0 |
| სიონი-სერვეტი | 1:0 |
| სონდერიისკი-ვოლფსბურგი | 2:0 |
| ვესტერლო-გეელი | 2:0 |
| გენტი-გენკი | 2:0 |
| აალსტი-ბრიუგე | 1:4 |
| დინამო (ბ)-ინგოლშტადტი | 0:1 |
| **ნორვეგია** | |
| ფრედრიკსტადი-ჰაუგესუნდი | 1:0 |
| ლილესტრიომი-სტარტი | 2:1 |
| ვოლერენგა-მიოლდე | 1:2 |
| **ფინეთი** | |
| იარო-როვანიემი | 8:2 |
| ინტერი-კუოპიო | 4:4 |
| მიუპა-ჰიკ | 0:1 |
| **ბელარუსი** | |
| ბატე-შახტიორი | 2:2 |
| **ლატვია** | |
| გულბენე-იურმალა | 1:1 |
| **ლიტვა** | |
| კუოია-ტაურასი | 1:1 |
| მაჟეიკიაი-სუდუვა | 0:0 |
| დაინავა-ატლანტასი | 7:0 |
| კაუნასი-ეკრანასი | 0:1 |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **აზია. შესარჩევი** | |
| კამბოჯა-ლაოსი | 4:2 |
| ნეპალი-ტიმორ ლესტე | 2:1 |
| მონღოლეთი-მიანმარი | 1:0 |
| შრი ლანკა-ფილიპინები | 1:1 |
| ავღანეთი-პალესტინა | 0:2 |
| ბანგლადეში-პაკისტანი | 3:0 |
| ვიეტნამი-მაკაო | 6:0 |
| მალაიზია-ტაივანი | 2:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| რუსეთი-ლატვია | 83:72 |
| ჩეხეთი-ხორვატია | 79:63 |

TV პროგრამა

**30 ივნისი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 კოპა ამერიკა 2007. არგენტინა-პერუ.
12:00 სეზონის შეჯამება. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი.
13:30 სეზონის შეჯამება. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი.
15:00 სუპერმატჩი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მარსელი.
17:00 სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია.
18:00 ჩემპიონის გზა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-არლი.
20:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:30 კოპა ამერიკა 2007. ბრაზილია-ეკვადორი.
22:30 ტელეჟურნალი - საფეხბურთო სამყარო.
23:00 კოპა ამერიკა 2007. არგენტინა-მექსიკა.
01:00 ჩემპიონის გზა. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-მილანი.

**GMG-სპორტი**

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-კორინთიანსი.
12:00 კალათბურთი. ევროლიგა. მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი.
13:30 რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-ინგლისი.
15:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის მიმოხილვა.
16:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი". უიმბლდონი. ქალები. 1/2 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 ყოველკვირეული ჟურნალი - ემოციები.
21:00 საფეხბურთო სამყარო.
21:30 კალათბურთი. ევროლიგა. მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი.
23:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-ინგლისი.

**SPORT+**

19:55 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. ჩერნოგორია-თურქეთი. პოლონეთი (LIVE).

**EUROSPORT**

17:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. გუნდების პრეზენტაცია (LIVE).
20:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. კანადა-საფრანგეთი. გერმანია (LIVE).
22:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ნიგერია. გერმანია (LIVE).
01:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/8 ფინალი. მექსიკა (LIVE).

**EUROSPORT-2**

16:00 ბალახის ჰოკეი. ტურნირი Champions Trophy. ქალები. ამსტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
19:00 ბალახის ჰოკეი. ტურნირი Champions Trophy. ქალები. ამსტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
00:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/8 ფინალი. მექსიკა (LIVE).

ამბები

**ჰოკეი**

## ბოსტონის კაპიტანი პოლიციაში დაიბარეს

უახლოეს დღეებში სტენლის თასის მფლობელის „ბოსტონის" კაპიტანი **ზდენო ხარა** მონრეალის პოლიციაში უნდა გამოცხადდეს. მას დაჰკითხავენ იმ ინციდენტთან დაკავშირებით, რომელსაც 9 მარტს, რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის დროს ჰქონდა ადგილი.

მაშინ სლოვაკმა ძალისმიერი ილეთის შესრულებისას უკნიდან ჰკრა ხელი „მონრეალის" ფორვარდ **მაქს პასიორეტის**, მოედნის დამცავ შუშას მიაჯახა მეტოქე, რომელმაც ხერხემლის მოტეხილობა და ტვინის შერყევა მიიღო.

ხარასთან გასაუბრების შემდეგ პოლიცია გადაწყვეტს განაგრძოს თუ არა ამ საქმის გამოძიება.

**კალათბურთი**

## უაილდ-ქარდი ციბონას

ევროლიგის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ მომავალი სეზონისთვის უაილდ-ქარდი ხორვატიის „ციბონას" გადაეცემა, მიუხედავად იმისა, რომ ამ კლუბმა ვერ შეძლო წელს ეროვნული ჩემპიონატის მოგება - პირველობა მან მეოთხე ადგილზე დაასრულა.

„ციბონა" ევროლიგაზე სტარტს საკვალიფიკაციო ეტაპიდან აიღებს. შეგახსენებთ, რომ ხორვატულმა კლუბმა შარშანდელი გათამაშების პირველ ჯგუფურ ეტაპზე ათიდან ათი მატჩი წააგო, თუმცა გუნდის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მომავალი სეზონისთვის ისინი კონკურენტუნარიანი კოლექტივის შექმნას აპირებენ.

**მძლეოსნობა**

## პეკინის ჩემპიონი მსოფლიოზე გაირბენს

400 მეტრზე სირბილში პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონმა **ლაშონ მერიტმა** ამერიკის მძლეოსნობის ფედერაციისგან მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება მიიღო.

მორბენალს ეს უფლება მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის რანგში ენიჭებოდა, თუმცა მას მაინც სჭირდებოდა ფედერაციის თანხმობა. საქმე ისაა, რომ დოპინგის გამოყენებისთვის მისჯილ 21-თვიან დისკვალიფიკაციას 27 ივლისს გასდის ვადა. ასე რომ, ლაშონს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო ამერიკის ჩემპიონატში, რომელსაც მსოფლიოს პირველობისთვის შესარჩევი ტურნირის სტატუსი ჰქონდა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. დევისის თასი



არგენტინა „პარკე როკაზე" ითამაშებს

# თითქმის ოპტიმალური შემადგენლობებით

**უიმბლდონის დასრულებიდან კვირის თავზე მსოფლიოს არაოფიციალურ გუნდურ პირველობაზე - დევისის თასზე მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება. ამ ეტაპზე მონაწილე რვავე გუნდის კაპიტანმა მომავალი მატჩებისთვის შემადგენლობები გამოაცხადა.**

### არგენტინა-ყაზახეთი

ბუენოს აირესში არგენტინისა და ყაზახეთის ნაკრებები უძლიერესი შემადგენლობებით დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. კორტის საფარი ღია გრუნტი იქნება.

**არგენტინა:** ხუან იგნასიო ჩელა (მე-20 ჩოგანი), ხუან მარტინ დელ პოტრო (21), დავიდ ნალბანდიანი (23) და ხუან მონაკო (43).

**ყაზახეთი:** ანდრეი გოლუბევი (45), მიხაილ კუკუშკინი (61), იური შჩუკინი (140) და ევგენი კოროლიოვი (214).

პირველ წრეში ყაზახეთმა სენსაციურად მოუგო სტუმრად ჩეხეთს 3:2, არგენტინამ კი იოლად გაიარა რუმინეთის ბარიერი - 4:1.

ალსანიშნავია, რომ ეს მატჩი დანარჩენ მეოთხედფინალებზე ერთი დღით ადრე დაიწყება და დასრულდება - 7-9 ივლისს, რადგან 10 ივლისს არგენტინაში არჩევნებია დანიშნული.

### გერმანია-საფრანგეთი

დანარჩენი სამი მეოთხედფინალი 8-10 ივლისს გაიმართება. შტუტგარტში შეხვდებიან ერთმანეთს გერმანიისა და საფრანგეთის ნაკრებები და აქაც ორივე გუნდს ოპტიმალური შემადგენლობა ეყოლება. მატჩები ღია არენაზე, გრუნტისსაფრიან კორტზე ჩატარდება.

**გერმანია:** ფლორიან მაიერი (18), ფილიპ კოლშრაიბერი (39), ფილიპ პეტცშნერი (67) და კრისტოფერ კასი (44-წყვილთა რეტინგში).

**საფრანგეთი:** გაელ მონფილსი (8), რიშარ გასკე (13), ჟო-ვილფრიდ ცონგა (19) და მიკაელ ლოდრა (35).

პირველი წრე ამ გუნდებმა ერთნაირი ანგარიშით - 3:2 მოიგეს. გერმანიამ ხორვატია დაამარცხა, საფრანგეთმა - ავსტრია.

### აშშ-ესპანეთი

ტექსასის შტატის ქალაქ ოსტინში, დარბაზში დაგებულ ჰარდზე ამერიკა ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს - ესპანეთს მიიღებს, რომელიც აშშ-ში **რაფაელ ნადალის** გარეშე ჩადის. ეს არის ერთადერთი სერიოზული დანაკლისი მონაწილეებს შორის.

**აშშ:** მარდი ფიში (9), ენდი როდიკი (10), ბობ ბრაიანი და მაიკ ბრაიანი (პირველი ნომრები წყვილთა რეიტინგში).

**ესპანეთი:** დავიდ ფერერი (6), ფერნანდო ვერდასკო (22), ფელისიანო ლოპესი (44) და მარსელ გრანოლერსი (48).

მერვედფინალში ამერიკამ 4:1 სძლია ჩილეს, ესპანეთმაც იგივე ანგარიშით მოუგო ბელგიას.

### შვედეთი-სერბეთი

ნადალისგან განსხვავებით, დევისის თასზე უარი არ თქვა მსოფლიო ჩოგბურთის კიდევ ერთმა ლიდერმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**, რომელმაც დაადასტურა ქალაქ ჰალმსტადის დახურულ ჰარდზე თამაში. იმავეს გაკეთება არ მოისურვა შვედების ლიდერმა **რობინ სიოდერლინგმა**. მის გარეშე, მასპინძლები თითქმის უშანსოდ რჩებიან, რადგან მათი ჩოგბურთელები ერთეულთა რეიტინგის საუკეთესო სამასეულშიც (!) არ შედიან.

**შვედეთი:** მიკაელ რიდერსტედტი (302), ერვინ ელესკოვიჩი (355), რობერტ ლინდესტედტი (მე-17 წყვილთა რეტინგში) და სიმონ ასპელინი (47-ე წყვილებში).

**სერბეთი:** ნოვაკ ჯოკოვიჩი (2), ვიქტორ ტროიცკი (12), იანკო ტიპსარევიჩი (29) და ნენად ზიმონჯიჩი (მე-6 წყვილთა რეიტინგში).

შვედებმა პირველ წრეში მოულოდნელად რუსეთს 3:2 მოუგეს, სერბეთმა კი ინდოეთი 4:1 გაანადგურა.

ერთ ნახევარფინალში სერბეთი-შვედეთისა და არგენტინა-ყაზახეთის წყვილში გამარჯვებულები შეხვდებიან ერთმანეთს, მეორეში - აშშ-ესპანეთისა და გერმანია-საფრანგეთის დუეტებში საუკეთესოები. ეს ეტაპი 16-18 სექტემბერს გაიმართება.

ცურვა

# ჰიდინკი არ არის საუკეთესო

ჰოლანდიაში საინტერესო გამოკითხვა ჩატარდა, რომლის მიხედვითაც გამოავლინეს ქვეყანაში ბოლო ათწლეულის საუკეთესო მწვრთნელი. პირველობა მოიპოვა ლეგენდარული ჰოლანდიელი მოცურავის **პიტერ ვან დენ ჰუნეგბანდის** დამრიგებელმა **იაკო ვერჰაერენმა** - ასე დააფასა მისი წვლილი ეროვნული სპორტის განვითარებაში ჰოლანდიურმა ორგანიზაცია NLcoach-მა.

ამ საპატიო ტიტულისთვის ბრძოლაში 42 წლის სპეციალისტმა აჯობა თურქეთის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელ **გუუს ჰიდინკს**, აგრეთვე ციგურებით მორბენალთა ნაკრების თავკაცს **გერარდ კემკერსს**.

*„იაკო ვერჰაერენი პირველი ჰოლანდიელი მწვრთნელია, რომელმაც ჩვენი ქვეყნისთვის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები მედლების ფაბრიკად აქცია. გარდა მწვრთნელობის ნიჭისა, მას საოცარი უნარი აქვს მიანიჭოს საკუთარ შეგირდებს მათთვის საჭირო ალმაფრენა"*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა ამ გადაწყვეტილებას NLcoach-ის პრეზიდენტმა **იუპ ალბერდამ**.

უიმბლდონი 2011. 1/4 ფინალი

# როჯერის წასვლის დროა

## ნოვაკ ჯოკოვიჩმა ტომიჩის ზღაპარი დაასრულა და ერთი მოგება სჭირდება რეიტინგში ლიდერობამდე

როგორც ჩანს, **როჯერ ფედერერი** ველარ შეძლებს უიმბლდონის მეშვიდედ მოგებას და **პიტ სამპრასის** რეკორდის გამეორებას. შვეიცარიელი ზედიზედ მეორედ მეოთხედფინალში გამოეთიშა თავის საყვარელ ტურნირს, თანაც ისე, რომ **ჟო-ვილფრიდ ცონგასთან** სეტებს შორის 2:0 იყო დაწინაურებული. ეს გახლდათ პირველი შემთხვევა „დიდი სლემის" ტურნირებზე, როცა როჯერმა ასეთი კომფორტული უპირატესობა გაფლანგა. მანამდე 178 შემთხვევაში დაფიქსირდა ანგარიში 2:0 ფედერერის სასარგებლოდ და „დიდი სლემის" 16-გზის ჩემპიონმა ყოველთვის გამარჯვებულმა დატოვა კორტი.

ეს სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, რომ ფედერერის საუკეთესო წლებმა ჩაიარა და ის მეოთხედფინალურ ან საუკეთესო შემთხვევაში, ნახევარფინალურ ეტაპებზე თამაშით უნდა დაკმაყოფილდეს.

ამ მატჩამდე ფედერერი და ცონგა ერთმანეთს ხუთჯერ შეხვდნენ და ოთხჯერ გამარჯვება შვეიცარიელს დარჩა, მათ შორის ორჯერ წლევანდელ სეზონში. ასევე ალსანიშნავია, რომ ეს მათი პირველი შეხვედრა იყო ბალახის კორტზე.

პირველი პარტია ფედერერმა ძალიან დამაჯერებლად დაიწყო და დაასრულა კიდეც. როჯერმა უპრობლემოდ აილო პირველი სამი გეიმი და გამოიყენა ერთი ბრეიკ-პოინტი. ამის შემდეგ ცონგამ ოდნავ გაათანაბრა თამაში და მეხუთე გეიმში ერთი ბრეიკ-პოინტიც მოიპოვა, მაგრამ ვერ გამოიყენა. როჯერმა უპრობლემოდ შეინარჩუნა სტარტზე მოპოვებული უპირატესობა და 27 წუთში მოიგო სეტი.

მეორეში მეტოქეები შესანიშნავად თამაშობდნენ საკუთარ მოწოდებებზე - ვერც ერთმა ვერ მოიპოვა თუნდაც ერთი ბრეიკ-პოინტი და გამარჯვებულის გამოსავლენად ტაი-ბრეიკის ჩატარება გახდა საჭირო, სადაც ფედერერი 6:1 დაწინაურდა, ხუთმაგი სეტბოლი მიილო და ანგარიში გახდა - 2:0.

მომდევნო სამი სეტი ერთნაირი სცენარით წარიმართა - თითოში ფრანგმა მხოლოდ თითო ბრეიკ-პოინტი მიილო, სამივე შანსი გამოიყენა და სენსაციის ავტორიც გახდა. ალსანიშნავია, რომ ფედერერმა მატჩი მხოლოდ 11 უნებლიე შეცდომით დაასრულა, მაგრამ სწორედ გადამწყვეტ მომენტებში დაუშვა ეს უზუსტობები, რაც დასანან წაგებად დაუჯდა.

*„ფანტასტიკურად ვაწვდიდი, ფანტასტიკურად ვთამაშობდი - და აი ახლა აქ, ნახევარფინალში ვარ. ახლაც არ მჯერა, რომ ასეთი რამ მოხდა.*

*ორი სეტის წაგების შემდეგ ყველაფერი გამომდიოდა. როჯერთან იოლი მატჩები არ არსებობს. ის ყველაზე დიადი ჩემპიონია ჩვენს სახეობაში. ბედნიერი ვარ, რომ მისი დამარცხება შევძელი, განსაკუთრებით კი ის მიხარია, რომ ეს მის საყვარელ საფარზე - ბალახზე გავაკეთე"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ცონგამ.

■ ■ ■

ფრანგის მეტოქე **ნოვაკ ჯოკოვიჩისა და ბერნარდ ტომიჩის** მატჩში ირკვეოდა. სერბმა ვარსკვლავმა თავისი მონაფის წინააღმდეგ ბეწვის ხიდზე გაიარა. სპარინგები პირველ ოფიციალურ მატჩს თამაშობდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. 18 წლის ავსტრალიელს თავიდან ნერვიულობა ეტყობოდა და ამან გავლენა იქონია პირველი სეტის მსვლელობაზე - ის ყველა მაჩვენებლით ჯოკოვიჩს დარჩა. ნოვაკმა პირველივე გეიმში აილო ბრეიკი, მეშვიდეშიც იგივე გააკეთა და დამაჯერებლად მოიგო პარტია.

მეორე სეტი ტომიჩმა უფრო წარმატებით დაიწყო. მან შეძლო მეოთხე პარტიაში მიღებული ბრეიკ-პოინტის რეალიზება და როგორც ალმოჩნდა, სწორედ ამან გადაწყვიტა ამ სეტის ბედი. ნოვაკი ანერვიულდა და მესამე პარტიის დასაწყისი ჩააგდო - 3:1 ტომიჩის სასარგებლოდ. თითქოს სენსაცია ახლოვდებოდა, მაგრამ ჯოკოვიჩი დროულად მოეგო გონს და ზედიზედ შვიდი გეიმის ალებით მესამე სეტი მოიგო - 6:3 და მეოთხეში წინ გავიდა - 2:0.

ამის შემდეგ ავსტრალიელის ჯერი დადგა. ახლა მან გააკეთა უკუბრეიკი და ანგარიში გაათანაბრა, რის შემდეგაც მეტოქეები კარგა ხანი ინარჩუნებდნენ საკუთარ გეიმებს. 5:4-ზე ტომიჩს ორი ქულა აკლდა სეტის მოგებამდე, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში სერბმა ანგარიში გაათანაბრა, მე-11 გეიმში კი ბრეიკი გაახერხა, რაც პრაქტიკულად გამარჯვებას ნიშნავდა.

ჯოკოვიჩი კარიერაში მესამედ გავიდა უიმბლდონის ნახევარფინალში. ცონგასთან მატჩი უმნიშვნელოვანესი იქნება ნოვაკისთვის. ჯერ ერთი, მოგების შემთხვევაში პირველად გავა ფინალში და რაც მთავარია, მომავალი ორშაბათიდან გაინალდებს რეიტინგში პირველ ადგილს. ესეც სიახლე იქნება მის კარიერაში.

■ ■ ■

ყველაზე იოლი მატჩი **ენდი მიურეის** ჰქონდა, რომელმაც სამი სეტი მოანდომა ეისების რაოდენობით ამ უიმბლდონის ლიდერთან **ფელისიანო ლოპესთან** გამარჯვებას. თამაში ორი საათი და ერთი წუთი გაგრძელდა და ბრიტანელმა ხუთიდან მეხუთე მატჩი მოუგო ფელისიანოს.

მიურეი თითო სეტში თითო ბრეიკის ხარჯზე აღწევდა მიზანს, თანაც სამივეჯერ მეხუთე გეიმში მოიგო მეტოქის მოწოდება. ასე რომ, მატჩის პერიპეტიების აღწერას აზრი არ აქვს.

■ ■ ■

ზედიზედ მეორე მატჩში წააგო სეტი **რაფაელ ნადალმა**. ამჯერად ესპანელთან მატჩში პარტიის მოგება მოახერხა ამერიკელმა **მარდი ფიშმა**, თუმცა აშშ-ის პირველი ნომერი უფრო შორს ვერ წავიდა.

ნადალს ფიშთან ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს - მეშვიდედ შეხვდა და მეშვიდედ მოახერხა მისი დამარცხება. ესპანელს ძალიან დამაჯერებელი სტარტი გამოუვიდა და ორი ბრეიკით გავიდა წინ, თუმცა სეტზე თავდაპირველად ვერ ჩაანოდა და საკუთარი გეიმი წააგო, სამაგიეროდ, იქვე პარტიაში მესამე ბრეიკი გააკეთა და 1:0 დაწინაურდა. არადა, წინა ოთხ მატჩში ფიშს ჯამში მხოლოდ ერთი საკუთარი გეიმი ჰქონდა წაგებული.

მეორე სეტის დასაწყისში ნადალს ოდნავ გაუჭირდა - ორი ბრეიკ-პოინტის მოგერიებამ მოუწია, თავად კი მეოთხე ცდაზე აილო ამერიკელის მოწოდება, 3:1 გაიმარჯვა და მშვიდად მოიგო სეტი.

მესამე სეტი ყველაზე დაძაბული გამოვიდა. ბრეიკების გაცვლის შემდეგ ყველაფერი ტაი-ბრეიკისკენ მიდიოდა, მაგრამ მე-12 გეიმში ნადალს ნერვებმა უმტყუნა, მეტოქეს ორი სეტბოლი მისცა, რომელთაგანაც ერთ-ერთი ამერიკელმა ხაზის გასწვრივ ზუსტი დარტყმით გამოიყენა.

ფიშს მატჩის გადარჩენის შანსი მიეცა, მაგრამ მეოთხე სეტის მესამე გეიმიდან მდევრის როლში ალმოჩნდა - რაფამ მატჩში მეექვსე ბრეიკი მოიპოვა. მას კიდევ შეეძლო მეტოქის მოწოდების ალება, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა. მთავარი ის იყო, რომ ესპანელმა ყველა საკუთარი მოწოდება აილო და საბოლოოდ, 2 საათისა და 50 წუთის შემდეგ ნახევარფინალში გასვლა გაინალდა. ალსანიშნავია რაფას კარგი თამაში ბადესთან - წინ 23-ჯერ გავიდა და აქედან 18 ცდა წარმატებული ალმოჩნდა. გარდა ამისა, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მხოლოდ ერთი ორმაგი შეცდომა დაუშვა.

ნახევარფინალში ნადალი მიურეის შეხვდება, რომელთანაც ურთიერთშეხვედრებში კოლოსალური უპირატესობა აქვს - 11:4. თანაც ესპანელმა მასპინძელს ბოლო სამი მატჩიც მოუგო, მათ შორის წელს როლან გაროსის ნახევარფინალში - 6:4, 7:5, 6:4.

### კაცები

### 1/4 ფინალი

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-მარდი ფიში (აშშ, 10) 6:3, 6:3, 5:7, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა) 6:2, 3:6, 6:3, 7:5; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 12)**-როჯერ ფედერერი (შვეიც, 3) 3:6, 6:7(3), 6:4, 6:4, 6:4; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:3, 6:4, 6:4.

### 1/2 ფინალი

ნადალი (1)-მიურეი (4); ცონგა (12)-ჯოკოვიჩი (2).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ცონგა დღის სენსაციის ავტორი გახდა